პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—90.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებ. წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მ. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9–3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— კოლორადოს მემაღაროეთა ბრძოლა.
— ავსტრია-უნგრეთის დავა ბურგენლანდის შესახებ.
— ტაურაგენის აჯანყების ხელმძღვანელი კაპ. [illegible]ბა ლიტვაში.
— ფრანგი მენშევიკები თავიანთი სარჩევნო ტაქტიკის შესახებ.
— გერმანელი ფაშისტები „ემზადებიან“ არჩევნებისათვის.
— წყალდიდობა მაროკოში.—თოვლიანი ქარიშხალი საფრანგეთში.
— პრეობრაჟენსკის, კამენევისა და რაკოვსკის მოხსნა თანამდებობიდან.

შაბათი, 31 დეკემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 298 (2043)

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა
იანვრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მომავალი საპარლამენტო არჩევნები საფრანგეთში და „სოციალისტები“

საფრანგეთში ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები. პარტიები ამ კამპანიისათვის დიდი ხანია მზადებას აწარმოებენ. თვითეული მათგანი არჩევნებთან დაკავშირებით არკვევს თავის სამოქმედო პროგრამას, იხილავს სხვა პარტიებთან დამოკიდებულების საკითხს და სხვ.

ამჟამად საფრანგეთში, როგორც ცნობილია, არსებობს ე. წ. „ნაციონალური გაერთიანების“ მთავრობა (პუანკარეს მეთაურობით), რომელსაც მხარს უჭერენ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ბურჟუაზიული ჯგუფები. „სოციალისტები“ დროგამოშვებით მხოლოდ თამაშობენ ოპოზიციობით, რომლის ღირებულება არარაობას უდრის. ერთად ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც მედგრად იბრძვის როგორც პუანკარეს დიქტატურის, ისე შემთანხმებლების წინააღმდეგ, რა თქმა უნდა არის კომუნისტური პარტია.

„ნაციონალური გაერთიანება“ შეიქმნა „მემარცხენე ბლოკის“ დაშლის შემდეგად, როცა რადიკალებმა და სხვა წვრილ-ბურჟუაზიულმა პარტიებმა 1924 წ. 11 მაისის არჩევნებში მემარჯვენე, ნაციონალურ ბლოკზე მოპოვებული გამარჯვება ფაქტიურად უკანასკნელს დაუთმეს „ნებაყოფლობით“. როგორი მდგომარეობა შეიქმნება მომავალ არჩევნებში: დარჩება „ნაციონალური გაერთიანება“, ესე იგი უკიდურესი მემარჯვენეები (პუანკარისტები) და წვრილ-ბურჟუაზიული ჯგუფები (რადიკალები და სხვ.) საერთო ფრონტით გამოვლენ, თუ ამა თუ იმ სახით კვლავ აღორძინდება მემარცხენე ბლოკი?

პირველ ყოვლის, აღსანიშნავია, რომ რადიკალებ შორის დიდ მერყეობას ჰქონდა ადგილი ამ საკითხში. მათ გამოეყო მემარჯვენე ფრთა ფრანკლინ-ბუიონის მეთაურობით და არსებითად ნაციონალურ ბლოკში გადაბარგდა. თვით რადიკალები გაიძახიან, რომ „ფრანკის განსამტკიცებლად ნაციონალურ გაერთიანების პოლიტიკის ცდა უნდა გაგრძელდეს“-ო. ამავე დროს რეაქციონური „ენ“ წერს: „რადიკალ სოციალისტებს არა აქვთ და არ შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი პოლიტიკური პროგრამა. ისინი ენერგიულად აყენებენ მეორე ხარისხოვან საკითხებს, რომელნიც მასებს ნაკლებად აინტერესებენ, და შორიხლო უტრიალებენ მთავარ პრობლემებს, ისე, რომ არ ბედავენ მათზე გარკვეული აზრის გამოთქმას. ისინი უკვე აღარ ბედავენ, როგორც ეს იყო წინედ, ხმა დასძრან მსხვილ კაპიტალის დაბეგვრის შესახებ“-ო.

სწორი დახასიათებაა. წვრილ-ბურჟუაზიის ისტორიული ხვედრია მსხვილ ბურჟუაზიის მიყვეს კუდში, ვინაიდან მას თავის მკიცე სახე არა აქვს და უნარიც არ ესწევს რაიმე რადიკალურ ზომის სატარებლად.

ამასთან, ბურჟუაზიის ორივე ფრთას აერთიანებს შიში რევოლიუციონური მოძრაობისა და კომუნიზმის წინაშე. ნაციონალურ ბლოკის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კრებამ, „დემოკრატიულმა ალიანსმა“ თავის ყრილობაზე დაადგინა გაუწოდოს „ყველა რადიკალებს რომელნიც ხელს აიღებენ ყოველგვარ კომპრომისზე რევოლიუციონურ სოციალიზმთან და მეორე ინტერნაციონალთან“.

ამგვარად, არის ერთგვარი მიმდინარეობა იმის სარგებლოდ, რომ ჩაშლილ იქნას მემარცხენე ბლოკის აღდგენის ცდა და მთელი ბურჟუაზია მთლიანი ფრონტით გამოვიდეს არჩევნებში. მაგრამ რადიკალებმა, ამომრჩეველთა დაკარგვის შიშით თავის ყრილობაზე უარყვეს ნაციონალურ ბლოკთან გაერთიანების წინადადება, და ხსენებულ მიმართულებას გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

გაცილებით ძლიერია მოძრაობა რადიკალების და სოციალისტების ბლოკის შესაქმნელად და ამ მხრივ საყურადღებოა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მიმდინარე ყრილობა.

პირველ ყოვლისა ჩვენ აქ არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ „ცნობილ“ პოლ ბონკურის გამოსვლას. „სოციალისტი“ ბონკური ტიპიური იმპერიალისტია. ტყუილად კი არ იყო იგი საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლად ერთა ლიგაში. ტყუილად კი არ შეასხა მან ხოტბა პოლონელ-ჯარისკაცს, რომელიც აღმოსავლეთის საზღვრებზე დგას „დასავლეთის ცივილიზაციის დასაცავად საბჭოთა კავშირისაგან“-ო. და აი, ეს არამზადა აცხადებს, რომ სიყალბეა რეინის დაუყოვნებლივ ევაკუაციის მოთხოვნა, ასეთივე უაზრობაა განიარაღების შესახებ ლაპარაკი-ო. რა თქმა უნდა, რაც ბონკურისათვის „უაზრობაა“, ის მშვიდობიანობის განმტკიცების, ერთად ერთი საშუალებაა, მაგრამ ამის შეგნებას სოციალ-იმპერიალისტს ვერ მოვთხოვთ.

სხვათა შორის. ამჟამად უფრო ინტერესებს ფრანგ სოციალისტების პოზიცია მომავალ არჩევნების საკითხში. მათ მიერ მიღებული ფინანსიური პროგრამა ამას ნათელყოფს. სოციალისტებმა ხელი აიღეს თავის ძველ „შეხედულებებზე“ — მსხვილ კაპიტალის დაბეგვრის მოთხოვნაზე და დაკმაყოფილდნენ ბუნდოვანი წინადადებით ქონებზე პროგრესიული გადასახადის შემოღების შესახებ. ჩვენ ვიცით რომ მსხვილი კაპიტალის დაბეგვრის ლოზუნგს წინედ სოციალისტები ფართო მასსების მოსატყუებლად აყენებდნენ, ვინემ მისი განხორციელების მიზნით. ეს აშკარად გახდა, როცა ისინი რადიკალებთან ერთად ხელისუფლების სათავეში მოექცნენ: მაშინ სერიოზულად არავითარი ბრძოლა არ უწარმოებიათ მათ მსხვილი კაპიტალის დაბეგვრის გასატარებლად. ეხლა სოციალისტები ფორმალურადაც უკუ იხევენ და არსებითად კაპიტალისტური სისტემის საფინანსო პოლიტიკის ნიადაგზე დგებიან, როგორც ეს კიდეც აღნიშნა „იუმანიტე“-მ.

ეს გადახრა მარჯვნივ ქმნის შესაძლებლობას რადიკალებთან შეთანხმებისა და არჩევნებში მათთან ერთად გამოსვლისათვის. რადიკალების პრესა, ამიტომაც ესალმება სოციალისტების „ზომიერებას“ ფინანსიურ საკითხებში. მართალია, სოციალისტების საფინანსო რეზოლიუციაში არის მუხლება მრეწველობის ზოგიერთ დარგების ნაციონალიზაციის და სხვა ასეთი „მაღალ მატერიების“ შესახებ, მაგრამ ამ მოთხოვნის ფასი კარგად იციან „მემარჯვენე“ ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, იციან რომ ის მხოლოდ ლამაზი სიტყვაა, რომლის განსახორციელებლად სოციალისტები თითსაც არ გაანძრევენ. ამიტომ არ აფრთხობს მათ ბლუმების და რენოდელების ასეთი „რევოლიუციონერობა“.

ამგვარად, სოციალისტების და რადიკალების ბლოკი მომავალ არჩევნებში ამა თუ იმ სახით გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. რა შედეგი მოყვება ამას ადვილად შესაძლებელია რომ მათ გამარჯვების შემთხვევაში არჩევნებში ისევ მოგვევლინება მემარცხენე ბლოკი, რომლის არსებობა წინად ასე სამარცხვინოდ დამთავრდა. არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამგვარი ბედი არ ეწევა მას, მომავალში, მიტომ, რომ წვრილი ბურჟუაზია (რომლის მემარცხენე ფრთას სოციალისტები წარმოადგენენ) თავისი ბუნებით მოკლებულია უნარს რაიმე ისეთი გარდატეხა მოახდინოს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სამეურნეო გაჯანსაღებას მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების ნიადაგზე. მასსები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან სოციალისტების პრაქტიკაში, რაც უეჭველად გააძლიერებს მათ ლტოლვას კომპარტიისაკენ, რომელიც ერთად-ერთი ნამდვილად იცავს მათ ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის ხუთი წლისთავი

კაპიტალიზმს არ შეუძლია იარსებოს ერების ჩაგვრის, მათი უთანასწორობის გარეშე, ჩაგრული ერების პრივილეგიებისა, ერების გაბატონებული კლასების პრივილეგიების გარეშე. ეროვნული წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის დაშლის და დაღუპვის ერთ ერთი უდიდესი ნიშანია.

ყოფილი მეფის იმპერიის ისტორია ბრწყინვალე ფაქტებს გვაძლევს ამის დასამტკიცებლად. რამდენმა მთავრობამ მოიტეხა კისერი ეროვნული საკითხის გამო ამ ქვეყანაში. მეფის მთავრობა თავის ეროვნული პოლიტიკით პირდაპირ სთხრიდა თავის თავს ორმოს: იგი ხელს უწყობდა ველიკორუსების დიდმპყრობელურ ჩაგვრას, ქვეყანაში, სადაც ველიკორუსები მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ. მილიუკოვის ლიბერალმა მთავრობამაც კბილები ჩაიმტვრია, სხვათა შორის, იმის გამო, რომ თვითმპყრობელობის პოლიტიკის გატარებას შეეცადა უკრაინის და ფინის საკითხში. კერენსკი მილიუკოვის გზით წავიდა, რის გამოც იგი მალე გადაგდებულ იქნა ისტორიის სანაგვე ბილიდან. მის შემდეგ მრავალი გენერლები, უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოების დაქირავებული პირები, —სკოროპადსკიდან დაწყებული და პეტლიურამდე, რომელნიც დემაგოგიურად იყენებდნენ იმ ფენების შოვინისტურ გრძნობას, რომელთაც მეფის დროიდან შეინარჩუნეს სიძულვილი ველიკორუსებისადმი,— ყველა ეს გენერლები და ეს პირები ზედი - ზედ შედიოდნენ მოქმედების ასპარეზზე. და ამ [illegible] ერთი - ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ყველასთვის იყო მათ, ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მთელი ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება სდგას შეურყევლად ათი წლის განმავლობაში, ყოველ [illegible]ბით მტკიცდება იმ ქვეყანაში, რომელშიაც 150 სხვადასხვა ერი მოსახლეობს. შეუძლებელია ამ ფაქტის გაგება [illegible] ახსნა იმის აღიარების გარეშე, რომ საბჭოთა ხელისუფლება მართლაც [illegible] აწარმოებს პოლიტიკას, რომელიც აკმაყოფილებს ეროვნებათა განვითარების ძირითად ინტერესებს. უგუნურება იქნებოდა ფიქრი იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას რევოლიუციონური დროის პირობებში შეეძლო განმტკიცებულიყო და გამაგრებულიყო ისეთი პოლიტიკის წარმოებით, რომელიც თუ გინდ ოდნავად ერების ჩაგვრასთან იქნებოდა დაკავშირებული.

საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკაა. საკავშირო კომპარტიის (ბ) პროგრამას ეროვნულ საკითხზე ბოლშევიკები იმუშავებდნენ ჯერ კიდევ რევოლიუციამდე და ომამდეც კი, როცა ბოლშევიკები მენშევიკ-ლიკვიდატორებისა და კადეტების წინააღმდეგ ბრძოლაში იცავდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპს. ბოლშევიკები იცავდნენ იმ თვალსაზრისს, რომ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს ყოველი მეორე ერისაგან სრული გამოყოფის უფლება, რომ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფლად გადასწყვიტოს თავისი ბედ - იღბალი, როცა ბოლშევიკებმა 1917 წლის ოქტომბერში ჩაიგდეს ძალა - უფლება, საქმით დაამტკიცეს, რომ ისინი მტკიცედ იცავენ თავის დაპირებას: მათ გამოაცხადეს, რომ ყოველ ერს აქვს სრული თავისუფლება გამოეყოს „რუსეთს“. რასაკვირველია, მშრომელებმა, უპირველეს ყოვლისა, ველიკორუსიის, უკრაინის, ბელორუსიის, კავკასიის მუშებმა თავის ექსპლოატატორების ბატონობა დაამხვეს არა იმისათვის რომ პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ გათიშულიყვნენ და მიეცათ საშუალება ბურჟუაზიისათვის „ცალ-ცალკე“ დაემარცხებიათ ისინი. ძალა - უფლებისათვის ბრძოლის პირობები მოითხოვდენ ყოფილი მეფის რუსეთის მუშათა და გლეხთა ყველა ძალების გაერთიანებას ერთ მთლიან მტკიცე ძალად. ამიტომ ეროვნებათა სრული თანასწორ - უფლებიანობის კავშირის საფუძველზე წარმოიშვა საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკა. (რ. ს. ფ. ს. რ.).

მაგრამ სამოქალაქო ომის პირობები და მასთან დაკავშირებული იმპერიალისტური ომის მემკვიდრეობა—ეკონომიური ნგრევა საბჭოთა ხელისუფლებას არ აძლევდა საშუალებას გეგმაშეწონილად და სისტემატიურად გაეტარებია ცხოვრებაში თავისი ეროვნული პროგრამა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩვენ გადავედით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, როცა შევუდექით ჩვენი მშენებლობის სამეურნეო ბაზის უზრუნველყოფას, განმტკიცებას, — საბჭოთა ხელისუფლებას მიეცა საშუალება მთელი თავისი სიგრძე - სიგანით პრაქტიკულად დაესვა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ამოცანა. ყველა ეროვნებათა ეს გადასვლა ცხოვრების ორგანიულ - შემოქმედებითი მშენებლობაზე აღნიშნულ იქნა ამით, რომ შეიქმნა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. ამიტომ თარიღი— 1922 წლის 30 დეკემბერი, — როცა საბჭოთა კავშირის საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო დადგენილება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, — ეს თარიღი მართლაც შეიძლება ჩაითვალოს იმ თარიღად, რომელიც ახალ ხანას ქმნის საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში და ამით მთელი მშრომელ კაცობრიობის ცხოვრებაში.

დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ ნიშნავდა არა მარტო საბჭოთა კონსტიტუციის რეფორმას, რომელიც აფართოებდა პოლიტიკური განვითარების ფარგლებს ყველა ერებისათვის. ეს ნიშნავდა რაღაც მეტს, ეს ნიშნავდა იმას, რომ გადაჭრით იქნა აღებული კურსი ყველა ეროვნულ რესპუბლიკების მეურნეობის განვითარებაზე და ეროვნული კულტურის აღორძინებაზე, უპირველეს ყოვლისა იმ ერების აღორძინებაზე, რომელთაც ცარიზმი ყველაზე უფრო დამონებულ მდგომარეობაში ამყოფებდა. ხუთი წელი, რომელმაც განვლო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის დღიდან, ნათლად მოწმობს იმას, თუ რამდენად სწორი იყო ჩვენი რესპუბლიკების საბჭოების ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებანი. სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირმა, რომელიც წარმოადგენს მთლიან სამეურნეო და პოლიტიკურ ერთეულს და რომელიც აგებულია ურთიერთობისადმი ძმური დახმარების საფუძველზე, ამ ხუთი წლის განმავლობაში უკვე მიაღწია უდიდეს სამეურნეო და კულტურულ ზრდას. ეს ზრდა მიმდინარეობდა განსაკუთრებული სწრაფი ტემპით, როგორც მთელს კავშირში მთლიანად, ისე ცალკე ეროვნულ რესპუბლიკებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი სამეურნეო და კულტურული მიღწევები საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ განაპირა ეროვნულ რესპუბლიკებში. საბჭოთა ხელისუფლებამ ხუთი წლის განმავლობაში დაიწყო მშრომელი მოსახლეობის გიგანტური ფენების გამოფხიზლებისა და კულტურული ცხოვრების აღორძინების დიდი საქმე, იმ მშრომელი მოსახლეობის, რომელსაც დღემდე ეძინათ თითქო, „სამუდამო“ ისტორიული ძილით. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ რესპუბლიკებში პირველად დაიწყო მრეწველობის მშენებლობა, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მელიორაციის შემოღება, სახელმწიფო აპარატის შენება მშრომელთა ადგილობრივი ეროვნულ ელემენტებისაგან, ქალების გამოფხიზლება და პოლიტიკური და კულტურულ ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანა. ციფრობრივი ფაქტიური შედეგები, რომელნიც გვაქვს ეროვნებათა განვითარების საქმეში, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ხუთი წლის თავზე, ნათლად მოწმობენ, თუ როგორი უდიდეს და სრულიად ახალ პროცესებს აქვს ადგილი. საბჭოთა კავშირის ყველაზე ჩამორჩენილი ერები დადგენ დიად გზაზე, სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე. რამდენად გადაჭრით იცავს პარტია ლენინური პოლიტიკის სწორ კურსს, ამას მოწმობს ის ბრძოლა, რომელსაც პარტია აწარმოებს თავის საკუთარ რიგებში შოვინისტური გადახრების წინააღმდეგ, როგორც დიდმპყრობელურ შოვინიზმის წინააღმდეგ, ისე ეროვნულ შუღლის გამწვავების წინააღმდეგ იმ პირთა მიერ, რომელნიც ადგილობრივი ნაციონალური შოვინიზმის გავლენის ქვეშ ექცევიან. პარტია მტკიცედ იცავს იმ კურსს, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათა შეთანხმებულ მუშაობას ძმობისა და თანასწორ-უფლებიანობის საფუძველზე.

ეროვნული საკითხი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის არის უპირველეს, ყოვლისა, საკითხი პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობისა, რომელნიც უმრავლესობას წარმოადგენენ ერში. უკვე ყოველივე აქედან ნათელია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ საკითხს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დიქტატურისათვის. თუ წინედ, როცა ხელისუფლების სათავეში იდგა ბურჟუაზია, — კომუნისტებს არ შეეძლოთ დაესახათ ნაციონალური კულტურის განვითარებისათვის ხელის შეწყობის ამოცანა, სამაგიეროდ, ეხლა ნაციონალურ კულტურის განვითარების, „მომწიფების“ ამოცანა, ხდება იმ საკითხად, თუ როგორ შეუძლია ხელისუფლების სათავეში მყოფ პროლეტარიატს უფრო ადვილად მიიყვანოს სოციალიზმამდე გლეხები სხვადასხვა ერების, რომელნიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მრავალი თავისებურებით.

უეჭველია, რომ ისტორიული გამოცდილება ეროვნული საკითხის გადაწყვეტისა საბჭოთა კავშირში, სავსებით იქნება გამოყენებული საერთაშორისო პროლეტარიატის მიერ მისი გამარჯვების შემდეგ. მაგრამ საბჭოთა კავშირის გამოცდილებას საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობისათვის ამჟამად აქვს სხვაგვარი, უფრო სადღეისო საჭირ - ბოროტო და აქტუალური მნიშვნელობა. ყოველივე იმას, რაც კეთდება საბჭოთა კავშირში, უყურებს მთელი მსოფლიო და კერძოდ აღმოსავლეთის მშრომელნი, რომელნიც აღშფოთებულნი არიან მჩაგვრელ იმპერიალისტების წინააღმდეგ. როცა ჩვენ საბჭოთა კავშირში ვახორციელებთ მრავალ ეროვნებათა, მათ შორის აღმოსავლეთის მთელი რიგი ხალხების მშვიდობიან თანა - ცხოვრებას, ჩვენ ამით აღმოსავლეთის ყველა ქვეყნების მშრომელთათვის წარმოვადგენთ ცოცხალ მაგალითს. სწორედ ამის გამო საბჭოთა კავშირი არაჩვეულებრივად პოპულიარულია აღმოსავლეთში, სადაც მას სამართლიანად სცნობენ ერთად - ერთ, ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისაგან თავისუფალ ქვეყნად.

ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის პირველი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ გადავდგით მხოლოდ პირველი ნაბიჯები ეროვნულ საკითხის სრული გადაწყვეტისაკენ. ჩვენს წინაშე ამ მხრივ აუარებელი ჯერ კიდევ გადაუწყვეტავი ამოცანები სდგას, ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში არის მრავალი ნაკლულოვანებანი, რომელნიც ჩვენ უნდა ავიცილოთ და ავიცილებთ კიდეც. მაგრამ ისიც, რასაც საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მიაღწია, საკმაო სიცხადით მოწმობს მთელი მსოფლიოს წინაშე და უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთის მშრომელთა წინაშე, რომ საბჭოთა კავშირი არის ანტი - იმპერიალისტური ძალა, მისი გზა არის ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისა და უთანასწორობის რადიკალურად მოსპობის გზა, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მშრომელთა სრული განთავისუფლების გზა.

„პრავდა“, 30 დეკემბერი.

საბჭოთა კავშირის არსებობის ხუთი წელი

ჩვენ ეს-ეს არის დავასრულეთ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი, დღესასწაული, საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ათი წლის თავი და ეხლა მივაღწიეთ ახალ ისტორიულ თარიღს —მ. მიმდინარე წლის 30 დეკემბერს — საბჭოთა კავშირის შექმნის ხუთი წლის თავს.

ამ ხუთი წლის წინად საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის საბჭოების პირველმა ყრილობამ ამხ. სტალინის მოხსენების მიხედვით, მიიღო დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების რწმუნებულ დელეგაციების წინადადება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ და დაამტკიცა შესაფერი დეკლარაცია-ხელშეკრულება.

რატომ აქვს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის შექმნას დღეს ისტორიული მნიშვნელობა? რატომ არ შეგვიძლია ჩვენ გვერდი ავუაროთ მისი არსებობის ხუთი წლის საიუბილეო თარიღს? იმიტომ, რომ, ამხ. სტალინის სიტყვებით, რომლებიც მან წარმოსთქვა საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე, „ის მიჯნას ჰყრის ძველ, განვლილ პერიოდსა, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები თუმცა ერთად მოქმედობდენ, მაგრამ ცალ-ცალკე მიდიოდენ და გართულიყვენ უწინარეს ყოვლისა თავის არსებობის საკითხებით. და ახალ პერიოდს შორის, როდესაც საბჭ. რესპუბლიკების ცალ-ცალკე არსებობას ბოლო ეღება, როდესაც რესპუბლიკები ერთდებიან მთლიან საკავშირო სახელმწიფოდ, რათა წარმატებით აწარმოონ ბრძოლა სამეურნეო ნგრევა-დარღვევასთან, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ფიქრობს არა მარტო არსებობის შესახებ, არამედ იმაზედაც, რომ განვითარდეს საერთაშორისო ძალად, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა იქონიოს საერთაშორისო მდგომარეობაზე და შეუძლია მშრომელთა სასარგებლოდ შესცვალოს იგი“.

განვლო ამ ახალ პერიოდის ხუთმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირი მართლაც გადაიქცა უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტორად. მსოფლიოში იბრძვის ორი სისტემა—კაპიტალისტური და საბჭოთა სოციალისტური, საბჭოთა სისტემა გახდა მსოფლიო მნიშვნელობის მქონე აღიარებულ ძალად (ამას წინად მომხდარ ეკონომიურ კონფერენციაზე). მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი კუთხე, სადაც ჩაგრული ხალხები არ სცნობდნენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს და არ ხედავდენ მასში თავის აღიარებულ ხელმძღვანელს.

სულ რაღაც ხუთმა წელმა განვლო, და სამეურნეო ფრონტზე ჩვენ უკვე გადავაბიჯეთ ომის წინა დროის დონეს, ვაწარმოებთ ჩვენი მრეწველობის გარდაქმნას ახალ საფუძვლებზე, სახალხო მეურნეობის განვითარების გზა; უფრო ჩქარა მივდივართ ბურჟუაზიულ მსოფლიოსთან შედარებით, ვადგენთ და ვემზადებით შევასრულოთ დედამიწის ზურგის მეექვსედ ნაწილის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ასეთი გეგმა პირველია მსოფლიოში.

განვლო ხუთმა წელმა და ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენმა საბჭ. სოციალისტ. რესპუბლიკების კავშირმა — მრავალეროვანმა სახელმწიფომ — ნამდვილად უზრუნველჰყო მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხთა ეკონომიური და კულტურული განვითარება. აქ, წინანდებურად, კიდევ უფრო გაღრმავებული სახით, ვხედავთ, როგორც ეს ნათქვამია დეკლარაციაში საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ, კიდევ უფრო „ურთიერთ გაგებას და მშვიდობიანობას, ეროვნულ თავისუფლებას და თანასწორობას, ხალხთა მშვიდობიან საერთო ცხოვრებას და ძმურ თანამშრომლობას“.

ამ ხუთ წელში მიღწეული შედეგები მოწმობს იმას, რომ ჩვენი გზა, რომელიც მიმართულია ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ღონისძიებათა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების გაერთიანებისაკენ სწორია; ეს მიღწევები მოწმობს ამ გზის სიძლიერეს და სიმტკიცეს, გვინერგავს იმის რწმენას, რომ შემდეგ ხუთწლედში ჩვენ გავხდით საბჭოთა კავშირს პროლეტარიატისა და მთელ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხების დიდ მეგობრად და გახრწნის გზაზე მდგარ კაპიტალისტურ წყობილების კიდევ უფრო მრისხანე მტრად. (ადს).

ა. ენუქიძე.

ინდოეთი და ეგვიპტის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სესია დაიხურა.—კონგრესის რეზოლიუციები

ეგვიპტელი ნაციონალისტები მოითხოვენ ინგლისის ჯარების გაყვანას ეგვიპტედან

სირიის მოსახლეობა მოითხოვს საფრანგეთისაგან კონსტიტუციური გარანტიების დაუყოვნებლივ შემოღებას სირიაში

საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ინგლისის მუშათა დელეგაციის მოხსენებები ლონდონში.—ინგლისის მუშები აწყობენ საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებას

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სესია

- სესიის დახურვა.—კონგრესის რეზოლიუციები

ლონდონი, 29 დეკემბერი. მადრასში დაიხურა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სესია. კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ყველა ზომები თანამშრომლობის მისაღწევად ინდუისტებსა და მუსლიმანებს შორის იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ნაციონალური ბრძოლის განვითარება ინდოეთის განთავისუფლებლად. კონგრესი საჭიროდ თვლის ინდუსების და მუსლიმანების გაერთიანებულ გამოსვლას ყველა საკანონმდებლო დაწესებულებების არჩევნებში და უმცირესობისთვის განსაზღვრული ადგილების დათმობას.

კონგრესი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო დაწესებულებებში მოხდეს ადგილების დაუყოვნებლივ გადანაწილება იმის მიხედვით, თუ რა ენაზე ლაპარაკობს მოსახლეობის ესა თუ ის ჯგუფი.

მიღებულია აგრეთვე დადგენილება, რომ არჩევნების დროს ინდოეთის პროვინციებში შეიქმნეს პასუხისმგებელი მთავრობები. **კონგრესმა დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს ინგლისურ საქონელს და მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ახალ კონსტიტუციას საფუძვლად დაედოს ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის პრინციპი.**

კონგრესის ლიდერების უმრავლესობა იმ თვალსაზრისზე დგას, რომ დამოუკიდებლობის მოთხოვნა არის მხოლოდ მორალური ჟესტი მთელი მსოფლიოს წინაშე, ნამდვილად კი კონგრესის მიზანს შეადგენს ინდოეთისათვის თვითმმართველობის მოპოვება დომინიონების მსგავსად. კონგრესის ლიდერები გაემგზავრენ კალკუტაში, რათა დაესწრონ მუსლიმანთა ლიგის კონფერენციას (ადს).

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

ანგორა, 29 დეკემბერი. კაირიდან მიღებული ცნობით, ეგვიპტის მეფის სეფე - სიტყვის პასუხის განხილვის დროს პარლამენტში გამოვიდა ნაციონალისტების ლიდერი **ხაფეზ ბეი რამადანი**, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო კაპიტულიაციების რეჟიმის გაუქმებას ეგვიპტეში. ორატორმა გამოსთქვა შიში, რომ მიუხედავად კაპიტულიაციების რეჟიმის გაუქმებისა, ინგლისი დაიტოვებს თავის მოქალაქეთა დაცვის უფლებას, რაც გამოიწვევს ინგლისის პრივილეგიების ახალ გაფართოებას ეგვიპტეში. ამასთანავე ხაფეზ-ბეი რამადანმა დაიმოწმა ის მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა ამას წინად ლონდონში ეგვიპტის პრემიერ **სარვატ-ფაშას** და ჩემბერლენს შორის, საკითხი აღიძრა ამ მოლაპარაკების დროს. ამ ადგილზე თავმჯდომარემ სიტყვა შეაწყვეტინა ორატორს და წინადადება მისცა მას არ შეხებოდა ამ საკითხს. შემდეგ მეორე ნაციონალისტმა დეპუტატმა განაცხადა, რომ „სარვატ - ფაშა მოლაპარაკებამ ლონდონში საფუძველი ჩაუყარა მომავალ შეთანხმებას, რომელიც ეწინააღმდეგება ეგვიპტის დამოუკიდებლობას“.

შემდეგ ორატორმა მოითხოვა, რომ სეფე - სიტყვის პასუხში შეტანილ იქნას მოთხოვნილება ინგლისის ჯარების ევაკუაციის შესახებ ნილოსის დაბლობიდან. (ადს).

ინგლისის სიტყვები და საქმეები ეგვიპტეში

ანგორა, 29 დეკემბერი. კაირიდან მიღებულ ცნობით, ეგვიპტის პრესა გაცხოველებულ კომენტარიებს უკეთებს ინგლისის სავაჭრო პალატის პროტესტს ეგვიპტის მთავრობის ახალ კანონპროექტის წინააღმდეგ, ლიბერალურ-კონსტიტუციონური პრესა ხაზს უსვამს ინგლისელების თვალთმაქცობას, **რომლებიც ერთის მხრივ იძლევიან დაპირებას, რომ სავსებით შეუწყობენ ხელს კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმებას ეგვიპტეში, მეორეს მხრივ კი აბრკოლებენ ყოველგვარ პრაქტიკულ ღონისძიების განხორციელებას ამ მიმართულებით.**

მანდატი ასი წლით

ანგორა, 29 დეკემბერი. ბეირუტიდან მიღებულ ცნობით, სირიის ყველა კუთხეებიდან საფრანგეთის უმაღლეს კომისარ პანსოს სახელზე მოდის პეტიციები თხოვნით, რომ დაჩქარებულ იქნას სირიის კონსტიტუციის გამოცხადება. ზოგიერთი გაზეთები სირიის ნაციონალურ მოძრაობის ამ მოთხოვნილებებს ადარებენ საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ მილიერანის განცხადებასთან. მილიერანი ჩავიდა ბეირუტში, რათა მონაწილეობა მიეღო ერთ სამოქალაქო პროცესზე მომჩივანის წარმომადგენლად, და ერთ - ერთ მის საპატივცემლოდ გამართულ ბანკეტზე განაცხადა, **რომ საფრანგეთის მანდატი სირიაზე „პრაქტიკულად გაგრძელდება ასი წელი“**. (ადს).

ინგლისის მუშები აარსებენ საბჭ. კავშირის მეგობართა საზოგადოებას

ლონდონი, 29 დეკემბერი. ლონდონის მუშათა საოლქო კონფერენციამ, მოისმინა რა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ მუშათა დელეგაციის წევრის მოხსენება, დაადგინა მოაწყოს „საბჭოთა კავშირის მეგობართა“ ორგანიზაციის ლონდონის საოლქო განყოფილება. შემდეგ კონფერენციამ აირჩია კომიტეტი ხუთი კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა დელეგატების მოხსენებების გამართვა ლონდონის ყველა პროფკავშირებში და მუშათა სხვა ორგანიზაციებში. დელეგაციის წევრებმა, რომელნიც ნიუკესტლის მუშების იყვნენ გაგზავნილი საბჭოთა კავშირში, მოხსენება საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ გააკეთეს მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციების დელეგატების და მემაღაროეთა კავშირის, პროფკავშირთა საბჭოების კონფერენციაზე, რომელიც ნიუკესტლში გაიმართა.

დელეგატების მოხსენებას დიდის ენტუზიაზმით შეხვდენ. კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ კონფერენციაზე დამსწრე დელეგატები დაეხმარებიან რუსეთის მუშებს, წინააღმდეგობას გაუწევენ ომის მომზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მთელი ძალ-ღონით იბრძოლებენ ინგლისისა და საბჭოთა მუშების მთლიანი ფრონტის დამყარებისათვის. კონფერენციამ ერთხმად გადასწყვიტა ნიუკესტლში მოაწყოს „საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების“ განყოფილება. (ადს).

მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

ნიუ-იორკი, 29 დეკემბერი. როგორც ბუენოს-აირესიდან იტყობინებიან, ბუენოს-აირესის ქალაქის საბჭოს წევრმა სოციალისტმა—მანაკორდამ ქალაქის საბჭოში შეიტანა წინადადება, რომ მუნიციპალიტეტმა სთხოვოს არგენტინის მთავრობას, იცნოს საბჭოთა კავშირი.

მანაკორდას წინადადებამ ამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ქალაქის საბჭოს წევრმა—კომუნისტმა პენელონმა ორივე სოციალისტურ პარტიის და ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენლებმა. **ქალაქის საბჭომ დაადგინა მანაკორდას წინადადება გადაეცეს სპეციალურ კომისიას, იმ მიზნით, რომ კომისიამ უახლოეს ხანში წარუდგინოს საბჭოს მოხსენება ამ საკითხის შესახებ.** (ადს).

ამერიკა საბჭ. კავშირის დაახლოვების სასარგებლოდ

„იუნაიტედ პრესის“ სააგენტოს დირექტორი — ბიკელი საბჭ. კავშირის შესახებ

ნიუ - იორკი, 29 დეკემბერი. სააგენტო „იუნაიტედ პრეს“-ის დირექტორმა ბიკელმა, რომელიც ნიუ-იორკში დაბრუნდა ევროპაში და საბ. კავშირში მოგზაურობის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: **„საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში“.**

ბიკელმა ნიუ - იორკში რეკლამის საქმის მუშაკთა კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა, საბჭოთა კავშირსა და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს შორის ეკონომიურ ურთიერთობათა გაძლიერების საჭიროება და მნიშვნელობა.

ბიკელი ფიქრობს მრეწველობისა და ვაჭრობის მოღვაწეთათვის მთელ რიგ ქალაქებში გამართოს ლექციები, მის მიერ საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ. (ადს).

გერმანელ რეფორმისტების მორიგი მოღალატეობა

ბერლინი, 29 დეკემბერი. ვინაიდან პროფკავშირთა რეფორმისტულმა ლიდერებმა უარი განაცხადეს ბრძოლაზე იმ სამედიატორო გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც გამოტანილია რკინის მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტის შესახებ, მელითონეთა კავშირის მემარცხენე ოპოზიციონურმა უმცირესობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ხაზს უსვამს, რომ კავშირის ორი სადელეგატო კონფერენცია ესენში, რომლებმაც მოიწონეს რეფორმისტული პოლიტიკა, სრულებითაც არ გამოხატავდა გერმანელ მელითონეთა ნამდვილ ნებისყოფას. ოპოზიცია აცხადებს, რომ რეფორმისტულმა ლიდერებმა შეგნებულად მოატყუეს დელეგატები, როდესაც არწმუნებდენ მათ, რომ მოლაპარაკების შედეგად თითქოს მოსალოდნელი იყო სამედიატორო გადაწყვეტილების რამოდენიმედ გაუმჯობესება. ოპოზიცია ჰგმობს რეფორმისტების მოღალატეობას და ხაზს უსვამს, რომ რეფორმისტულმა ლიდერებმა უხეშად დაარღვიეს კავშირის წესდება, რათა კავშირის უბრალო წევრებისათვის წაერთმიათ საშუალება გავლენა მოეხდინათ საკითხის საბოლოო გადაჭრაზე.

ოპოზიცია მოუწოდებს ყველა მელითონეებს—ნათქვამია განცხადებაში,—ხელი შეუწყონ ოპოზიციას ბრძოლაში იმისათვის, რომ კავშირი დაადგეს ნამდვილ კლასობრივ ბრძოლის გზას (ადს).

ავსტრიის მთავრობის რეორგანიზაციის საკითხი

მენშევიკებს უარს ეუბნებიან პორტფელებზე

ვენა, 29 დეკემბერი. მთავრობის გაზეთი „რაიხს-პოსტი“ მოწინავე წერილში ეხება საკითხს მთავრობის რეორგანიზაციისას ქრისტიანულ - სოციალური პარტიისა და სოციალ-დემოკრატების კოალიციის საფუძველზე. გაზეთი უარჰყოფს ხმებს ვითომც მმართველი ქრისტიანულ - სოციალური პარტიის რიგებში ამ საკითხის გარშემო უთანხმოება არსებობდეს; გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს პარტია მომხრეა ეხლანდელი ბურჟუაზიული კოალიციისა.

გაზეთი სწერს: „სოციალ - დემოკრატების პრეტენზია, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ მთავრობაში, არაფრით არ მართლდება, რადგან ახლანდელი მთავრობა აგებულია სწორედ იმ საპარლამენტო სისტემის საფუძველზე, რომელიც თავის დროზე სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს. ამიტომ სოციალ-დემოკრატია ყველა სხვა პარტიაზე მეტად არის მოვალე დაემორჩილოს, როგორც უმცირესობა, პარლამენტარიზმის წესებს, დაიცვას ლოიალობა უმრავლესობის მიმართ და ამ უმრავლესობის საქმიანობას საბოტაჟი არ გაუწიოს.

თუ სოციალ-დემოკრატები დაამტკიცებენ თავისი საქციელით, რომ ისინი ამისათვის მზად არიან, მაშინ ქრისტიანულ-სოციალური პარტია დიდის თანაგრძნობით შეხვდება მათ სურვილებს“ (ადს).

ჩინეთის ამბები

ჩუ-იუ-პუს ბრძანება

პეკინი, 29 დეკემბერი. ჩჟილის პროვინციის მმართველმა ჩუ-იუ-პუმ გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის ბრძანება: „საომარ მოქმედების დაწყების შემდეგ სამხედრო ხასიათის ხარჯები გაიზარდა, მთავრობა მუდამ განიცდის ფინანსიურ გაჭირვებას, რის გამოც ჯარებს ჯამაგირი წესიერად არ ეძლევათ. თუ ჩვენ ხარჯებში მომჭირნეობას არ გამოვიჩენთ, ახლანდელი გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობა კვლავ გაგრძელდება. პროვინციალური მთავრობის თანამდებობის პირნი, რომლებიც ცხოვრობენ უცხოელთა კონცესიების ტერიტორიაზე, კარგ მაგალითს არ აჩვენებენ იმ ხალხს, რომელსაც ისინი მეთაურობენ, მათი ცხოვრება ხალხს მეტად ძვირად უჯდება. თანამდებობის პირნი, რომელნიც უცხოელთა კონცესიების ტერიტორიაზე ცხოვრობენ, უნდა გადმოსახლდნენ ჩინელთა რაიონებში; თუ ასე არ მოიქცევიან, მაშინ სამსახურიდან დათხოვნა უნდა ითხოვონ. ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება, ის დაისჯება ომიანობის დროის კანონებით“.

ტიან-ცზინის თანამდებობის პირებმა პროტესტი განაცხადეს ჩუ იუ-პუს ბრძანების წინააღმდეგ (ადს).

ამხ. ბ. ა. პოხვალინსკი
საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული კანტონში

ვან-ცზინ-ვეის ძირს უთხრიან

შანხაი, 29 დეკემბერი. ნანკინის სააგენტოს „გომინის“ ცნობით უხანის სამხედრო ლიდერებმა, მათ შორის ბაი-ძუნ-ჩიმ, ნანკინის მთავრობას მიმართეს საერთო დეპეშით, რომელშიაც ისინი მოითხოვენ მთავრობის ცხრა წევრის გამორიცხვას გომინდანიდან და მათ დაპატიმრებას; დეპეშის ავტორთა სიტყვით „ამ ცხრა კაცს საქმეში კომუნისტური ტენდენციები ეტყობათ“. უხანელთა დეპეშას მხედველობაში ჰყავს ვან - ცზინ - ვეი და მისი მომხრეები.

პროტესტი ცენზურის წინააღმდეგ

შანხაი, 29 დეკემბერი. ინგლისური გაზეთის „ნორტ ჩაინა დეილი ნიუზის“ ცნობით, ჩინელი რადიკალები აიძულებენ მეგაზეთეებს აღარ გაჰყიდონ ჩინური გაზეთები; ამით რადიკალები პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ გომინდანის ცენზორები ამ გაზეთებში მხოლოდ ისეთი ცნობების დაბეჭდვის ნებას იძლევიან, რომლებიც მთავრობისათვის ხელსაყრელია. სხვა ინგლისური გაზეთები ასახელებენ მუშათა პიკეტებს, რომლებიც ხელს უშლიან ჩინური გაზეთების გაყიდვას.

მუშათა ბრძოლა

კლასობრივი ბრძოლა კოლორადოში

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. პოლიცია განაგრძობს აქტიურ ბრძოლას გაფიცულ მემაღაროეთა წინააღმდეგ კოლორადოს შტატში. **26 დეკემბერს პოლიცია თავს დაესხა მთავარ საგაფიცვო კომიტეტის ბინას და დააპატიმრა 65 კაცი.** კომიტეტს ხელმძღვანელობდა „მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშათა“ კავშირი. **პოლიციის მიერ სპეციალურად მოწყობილმა რაზმმა 500 „მოხალისე“ კერძო მოქალაქის შემადგენლობით მოახდინა ახალი თავდასხმა საგაფიცვო კომიტეტის ბინაზე, სადაც დააპატიმრა ყველა იქ მყოფი გაფიცული მუშები, სულ 41 კაცი. როგორც უკვე იყო ცნობა, პალმიერი და გაფიცვის სხვა ხელმძღვანელები უკვე უფრო ადრე დააპატიმრა პოლიციამ**

დამპყრობლების შურისძიება

ანგორა, 29 დეკემბერი. ბეირუტიდან იტყობინებიან, რომ სირიის ხელისუფლებას ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავთ დაპატიმრებული კომუნისტები და პროფესიონალური კავშირების ხელმძღვანელები, რადგან მათი ერთ ადგილზე დიდხანს ყოფნა მიაჩნიათ „საშიშად“. დაპატიმრებულები დიდ გაჭირვებას განიცდიან (ადს).

ფაშისტების გეგმები

ბერლინი, 29 დეკემბერი. კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ლიგამ თავის უკანასკნელ სესიაზე ჰააგაში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ყველა სახელმწიფოების მთავრობებს და პარლამენტების ყურადღებას მიაქცევს ბოლშევიკური საფრთხის ზრდაზე. რეზოლიუცია, სხვათა შორის, ურჩევს სახელმწიფოებს ყოველი ორგანიზაცია, რომელიც ემხრობა კომინტერნს, გამოაცხადონ უკანონოთ, არც ერთი კომუნისტი არ მიიღონ სახელმწიფო სამსახურში და აგრეთვე უცხოელ კომუნისტებს წაერთვას თავშესაფარის უფლება (ადს).

გერმანელი ფაშისტები

„ემზადებიან“ არჩევნებისათვის

ბერლინი, 29 დეკემბ. ტევტონთა (ფაშისტური) პარტია ოფიციალურად აცხადებს: პარტიაში შემავალმა კავშირებმა და ჯგუფებმა განაცხადეს, რომ რეიხსტაგის მომავალი არჩევნების დროს საჭიროა შეიქმნას უკიდურესი მემარჯვენე ჯგუფების უპარტიო პატრიოტული ბლოკი.

მომავალი ბლოკის პროგრამაა: „ბრძოლა განიარაღების პოლიტიკასთან და გერმანიის მიერ ამ მოვალეობათა შესრულების წინააღმდეგ, რომლებიც მას ვერსალის ხელშეკრულებამ მოახვია“.

დაწყებულია მუშაობა „პატრიოტული ბლოკის“ შესაქმნელად (ადს).

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის მუშათა დელეგაციის ანგარიში

პარიზი, 30 დეკემბ. დღეს პარიზის მუშათა უბანში შესდგა მიტინგი, რომელმაც მოისმინა ოქტომბრის დღესასწაულზე მყოფ დელეგატების ანგარიში. მიტინგი დაიწყო „ინტერნაციონალის" სიმღერით. პირველად გამოვიდა დელეგაციის წევრი სოციალისტი კანონი, რომელმაც განაცხადა: „მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცანით საბჭოთა კავშირს ჩვენ ვამბობთ: დავიცავთ სოციალიზმის პირველ მშენებლების საქმე". კანონის შემდეგ გამოვიდა დელეგაციის წევრი მუშა დიუბიც, რომელმაც თავის სიტყვაში გააბათილა ის ცილისწამება საბჭოთა კავშირის შესახებ, რომელსაც ავრცელებს ბურჟუაზია. შემდეგ გამოვიდა ანარქისტი კოლომბე, რომელმაც შეკითხა კრებას: დაიცავს თუ არა საფრანგეთის პროლეტარიატი საბჭოთა კავშირს, თუ კაპიტალისტებმა მოაწყვეს მასზე თავდასხმა? საპასუხოთ კრებამ იმღერა „ინტერნაციონალი". დასასრულ გამოვიდნენ შუმახერი, ბიგორიგო და მაიან კუტიური. მიტინგი დასრულდა „ინტერნაციონალის" მღერით (ადს).

საფრანგეთის სოციალისტების საარჩევნო ტაქტიკა

პარიზი, 30 დეკემბ. სოციალისტურ პარტიის ყრილობის დღევანდელ უკანასკნელ სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია ტაქტიკის შესახებ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. რეზოლიუციის თანახმად პირველი არჩევნების დროს სოციალისტური კანდიდატები წამოყენებული უნდა იქნენ ყველა საარჩევნო ოლქებში: ხელმეორე არჩევნების დროს-კი სოციალისტებმა, იმ შემთხვევაში თუ არ ექნებათ გამარჯვების იმედი, უნდა მოხსნან თავიანთი კანდიდატურა იმ კანდიდატის სასარგებლოთ, რომელსაც ექნება სხვაზე უფრო მეტი იმედი რეაქციაზე გამარჯვებისა, მიუხედავათ იმისა, რომელი პოლიტიკური ჯგუფის მიმდევარიც არ იქნება ეს კანდიდატი (ადს).

ფინ-იუი-სიანი მხარს უჭერს ხო-ინ-ტინს

შანხაი, 30 დეკემბ. გაზეთების ცნობით, ფინ-იუი-სიანმა და მის 20 ხელქვეით გენერალმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ გენერალ ხო-ინ-ტინს, რომელიც მოითხოვს გომინდანის აღმასკომის პლენუმის დაუყოვნებლივ მოწვევას, კომუნიზმის საბოლოო აღმოფხვრას ჩინეთში და ჩან-კაი-შის დაბრუნებას მთავარსარდლის პოსტზე.

კომუნისტური აჯანყების შიში

შანხაი, 30 დეკემბ. გაზეთი „შანხაი მერკური" ამტკიცებს, რომ ქიან-სის პროვინციის ქალაქ ძიძიანში მოხდება კომუნისტური აჯანყება რომელიც დანიშნულია 1 იანვრისათვის (ადს).

ლი-ფუ-ლინი მიემგზავრება

ტოკიო, 30 დეკემბ. გონკონგიდან მიღებულ ცნობის თანახმად ლი-ტი-სინი და ხუან-სიაო-სუნი შეუთანხმდენ ერთმანეთს. ლი-ფუ-ლინი აბარებს კანტონს ხუან-სიაო-სუნს და მიემგზავრება (ადს).

კანტონი ხუან-სიაო-სუნის ხელშია

შანხაი, 30 დეკემბ. ნანკინის სააგენტოს ცნობით გუანდუნის გენერალმა ხუან-სიაო-სუნმა 28 დეკემბერს 7.000 კაცის საშუალებით კვლავ დაიკავა კანტონი. ლი-ტი-სინის დაბრუნებამდე ხუან-სიაო-სუნი დარჩება გუანდუნის პროვინციის ჯარების სათავეში.

24 პოლონელ კომუნისტის პროცესი

ვარშავა, 30 დეკემბ. ლოძში დაიწყო 24-ის პროცესი, რომლებსაც აბრალებენ პოლონეთის კომპარტიის წევრობას. ბევრი ბრალდებული 17—20 წლის ახალგაზრდაა (ადს).

ბელორუსიის გრომადის პროცესი

ვარშავა, 30 დეკემბ. ვილნოში თებერვლის პირველ რიცხვებში დაიწყება ბელორუსიის გრომადის გრანდიოზული გასამართლება. საბრალმდებლო სკამზე ზის 490 კაცი. ბრალდებულთა შორის არიან ბელორუსიის სეიმის დაპატიმრებული დეპუტატები (ადს).

დეპუტატ ვოევუდსკის გაჩხრეკა

ვარშავა, 30 დეკემბ. დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის მიერ წარგზავნილ ყოფილ დეპუტატ ვოევუდსკის ბინაზე მოხდა ჩხრეკა. გაზეთების ცნობით, პოლიციამ ჩამოართვა ვოევუდსკის გლეხთა კავშირის „ძალა"-ს პლატფორმის ყველა საარჩევნო გამოცემანი.

მაიუსის მონანიება

ბერლინი, 29 დეკემბერი. ბერლინის გაზეთების ცნობით, ტაუროგენის აჯანყების ორგანიზატორი ლიტვაში კაპიტანი მაიუსი გამოცხადდა ლიტვის საელჩოში ბერლინში და განაცხადა, რომ იგი ინანიებს თავის დანაშაულს და რჩება ლიტვის მთავრობის განკარგულებაში. მაიუსი, რომელიც ბერლინში ჩავიდა პოლონეთიდან, თავის ნაბიჯს ასაბუთებს იმით, რომ მას არ სურს იყოს იარაღი პოლონეთის მთავრობის ხელში და აცხადებს, რომ პოლონეთი სცდილობს ლიტველი ემიგრანტები გამოიყენოს შირმათ მტაცებლური ზრახვებისათვის ლიტვის მიმართ.

გაზეთების ცნობით, მაიუსი მალე გაემგზავრება კოვნოში, სადაც წარსდგება სამხედრო სასამართლოს წინაშე (ადს)

ჩინელი კომუნარების დასაცავად

ბერლინი, 29 დეკემბ. ბერლინში გაიმართა კომპარტიის და სხვა პროლეტარული ორგანიზაციების მიერ მოწყობილი საპროტესტო კრება თეთრი ტერორის წინააღმდეგ ჩინეთში და ჩინელი კომუნარების დასაცავად. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის მუშათა კლასი თანაგრძნობას უცხადებს ჩინეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს (ადს).

ავღანისტანის ფადიშაჰი ეგვიპტეში

ანგორა, 29 დეკემბერი. როგორც კაირიდან იუწყებიან, ეგვიპტის გაზეთები დიდ წერილებს უძღვნიან ავღანისტანის ფადიშაჰის ჩამოსვლას ეგვიპტეში, ესალმებიან ფადიშაჰს როგორც „მაჰმადიანთა ბელადს" და ხაზს უსვამენ მის როლს ავღანისტანის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში (ადს).

თოვლიანი ქარიშხალი საფრანგეთში

პარიზი, 29 დეკემბერი. ჩრდილოეთ საფრანგეთში გრძელდება სასტიკი თოვლიანი ქარიშხალი. (ადს).

„ავსტრია ხელს ვერ აიღებს ბურგენლანდზე"

ვენა, 29 დეკემბ. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

ეროვნულმა საბჭომ (დეპუტატთა პალატა ავსტრიაში) მიიღო დროებითი ბიუჯეტი.

კამათის დროს სოციალ - დემოკრატებმა რიხტერმა მთავრობას განმარტება მოსთხოვა უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადების გამო; უნგრეთის მინისტრს უთქვამს: უნგრეთის არც ერთ პასუხისმგებელ მოღვაწეს არავითარი ისეთი განცხადება არ გაუკეთებია, საიდანაც შეიძლებოდეს იმ დასკვნის გამოტანა, თითქო უნგრეთი საბოლოოდ ხელს იღებდეს პრეტენზიებზე ბურგენლანდის მიმართ.

კანცლერმა ზეიპელმა რიხტერს უპასუხა, რომ ის ამჟამად მიზანშეუწონლად სთვლის გაარჩიოს საჭირო დისკუსია ამ საკითხის გარშემო; მას შეუძლია მხოლოდ ის განაცხადოს, რომ ავსტრია ბურგენლანდზე ხელს ვერ აიღებს.

შემდეგ კანცლერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მისი რწმენით, უნგრეთის საზღვარს არავითარი საფრთხე არ მოელის იმის გამო, რომ ბურგენლანდი ავსტრიის ხელში იმყოფება. ზეიპელმა სთქვა, რომ არავითარი ეჭვი არა აქვს უნგრეთის მთავრობის ლოიალობაში —ბურგენლანდის საკითხში. ამიტომ არ არსებობს საბუთი იმის, სერიოზულის ეჭვით შეხედოს იმ განცხადებას, რომ უნგრეთის მთავრობა განზე იქნება იმ მოძრაობისაგან, რომლის მიზანსაც შეადგენს ბურგენლანდის მოქცევა უნგრეთის შემადგენლობაში".

„მე უფლება მაქვს ასეთი იმედი გამოვსთქვა, — სთქვა ზეიპელმა, — ვინაიდან უფლება მაქვს მწამდეს, რომ უნგრეთი არ აწარმოებს ისეთ პოლიტიკას, რომელსაც შეეძლება დაარღვიოს ევროპის მშვიდობიანობა; უნგრეთისა და ბურგენლანდის საზღვარზე ატეხილი უსიამოვნებანი კი საფრთხეს შეუქმნიდა მშვიდობიანობას". (ადს).

ამერიკელი „დემოკრატები" ბაძავენ მეფის მთავრობას

გაფიცულ მემაღაროეთა ჟლეტა

ნიუ - იორკი, 29 დეკემბ. ამერიკის მემაღაროეთა გაერთიანებული კავშირის ორგანომ „კოლინის მაინერ"-მა გამოაქვეყნა წერილი იმ პირისა, რომელმაც 21 ნოემბერს თავის თვალით ნახა კოლორადოს გაფიცულ მემაღაროეთა ჟლეტის სურათი.

„მას შემდეგ, რაც გაფიცვა დაიწყო, — ნათქვამია წერილში, — ყოველ დილით ჯგუფ-ჯგუფად მივდიოდით „კოლუმბინის" მაღაროში. არც ერთ ჩვენგანს იარაღი არ მოეპოვებოდა და სრულებითაც არ გვქონდა განზრახვა რაიმე ზიანი მიგვეყენებინა მაღაროსათვის. ამ დღესაც ჩვენ უიარაღოდ მივედით მაღაროსთან. როდესაც ალაყაფის კარებს მიუახლოვდით, ჩვენ დაგვხვდნენ ჯოხების ცემით, ქვებითა და მხრჩოლავი გაზებით. პირადად მე სახეში მეცა მწველი გაზები. მიუხედავად ამისა, ჩვენ წინსვლას განვაგრძობდით, მაგრამ ამ დროს სროლა აგვიტეხეს ადმინისტრაციის დაქირავებულმა შეიარაღებულმა პირებმა, რომლებიც ჩვენ მაღაროებთან დილის 5 საათიდან გვიცდიდნენ. გვესროდნენ რევოლვერებიდან, თოფებიდან და ტყვიისმფრქვევლებიდან, გარდა ამისა, გაზებიც გამოუშვეს. ეს უფრო მეტი საშინელება იყო, ვიდრე აფეთქება მაღაროში. ჩემს გარშემო ტყვიებს ზუზუნი გაჰქონდათ, აქა-იქ ტყვიით განგმირული ადამიანები ძირს ეცემოდნენ. ჩვენ მოკლებული ვიყავით თავდაცვის ყოველგვარ საშუალებას. მოკლულ იქნა 8 კაცი, 21 მძიმედ დაიჭრა. ერთ მოკლულს დარჩა 6 მცირეწლოვანი ბავშვი. ახლა შტატის გუბერნატორმა მთელი არმია გაგზავნა მკვლელთა დასაცავად. არმიის განკარგულებაშია ტანკები და ყოველგვარი სხვა იარაღები. ჩვენ მხრით ერთი ტყვიაც კი არ გავარდნილა". (ადს).

ფრანგ მენშევიკების ყრილობაზე

კამათი საარჩევნო ტაქტიკის შესახებ

პარიზი, 29 დეკემბერი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობის მესამე დღეს სწარმოებდა კამათი საარჩევნო ტაქტიკის შესახებ. დისკუსია გაფართოვდა უმთავრესად იმ საკითხის გარშემო, თუ როგორი პოზიცია უნდა დაიჭიროს პარტიამ ხელმეორე კენჭის ყრის დროს, ამასთანავე დისკუსიის ძირითად მომენტს წარმოადგენდა საკითხი ვის სასარგებლოდ უნდა სთქვას უარი თავის კანდიდატურაზე სოციალისტურმა კანდიდატმა, და ვის უნდა მისცენ ხმა სოციალისტურმა ამომრჩევლებმა: რადიკალ-სოციალისტების კანდიდატებს, თუ კომუნისტების კანდიდატებს? თითქმის ყველა ორატორები იძულებული იყვნენ აღიარებიათ, რომ ბლოკი რადიკალებთან 1924 წელში მარცხით დამთავრდა. მაგრამ ძალიან ცოტა ორატორები ემხრობოდნენ უარის თქმას რადიკალ-სოციალისტების კანდიდატებისათვის მხარის დაჭერაზე კომუნისტების სასარგებლოდ და უპირატესობას აძლევდნენ ფორმულას „რეაქციის წინააღმდეგ". გრუმბახმა და ბრაკმ განაცხადეს, რომ სოციალისტებმა, რეაქციაზე გამარჯვების მიზნით, აუცილებელ შემთხვევებში უნდა განაცხადონ უარი თავის კანდიდატებზე კომუნისტების სასარგებლოთ.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა რენოდელმა. რენოდელი მიემხრო მემარცხენე ბლოკის აღდგენის ცდას. რენოდელის სიტყვის შემდგომი ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ტაქტიკას ხელმეორე კენჭის ყრის დროს, სავსე იყო იერიშებით კომუნისტების წინააღმდეგ.

— „ჩვენსა და კომუნისტებს შორის,— სთქვა რენოდელმა,— საარჩევნო კამპანიის საკითხი კი არ სდგას, არამედ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი"-ო.

ფორმაც თავისი სიტყვა დაიწყო კომუნისტების წინააღმდეგ გალაშქრებით, მაგრამ განაცხადა, რომ არჩევნები გამოყენებულ უნდა იქნას არა კომუნისტებთან ბრძოლისათვის, არამედ რეაქციასთან ბრძოლისათვის. (ადს)

პოლონეთის შიში

ვარშავა, 29 დეკემბერი. ოფიციალური „ეპოკა" ათავსებს დეპეშას კოვნოდან, რომელშიაც ნათქვამია, რომ ვოლდემარასის მოლაპარაკებას გერმანიის წარმომადგენელთან ლიტვისათვის კრედიტების მიცემის შესახებ, ლიტვის მთავრობის წრეებში აფასებენ, როგორც ლიტვის და გერმანიის სამეურნეო დაახლოების დასაწყისს.

ამის გამო „ეპოკა" შიშობს, რომ გერმანიის და ლიტვის დაახლოება ხელს შეუწყობს მოლაპარაკების გაჭიანურებას პოლონეთსა და ლიტვას შორის.

„ვოლდემარასი,—სწერს გაზეთი,—სცდილობს რაც შეიძლება გააჭიანუროს პოლონეთთან მოლაპარაკების დაწყება. გერმანიასთან შეთანხმების მიღწევის იმედით, ვოლდემარასს განზრახული აქვს საბოტაჟის გამოცხადება ერთა ლიგის გადაწყვეტილებებისათვის" (ადს).

ოსმალეთში

საზღვაო მინისტრის იჰან - ბეის ბოროტმოქმედება

ანგორა, 29 დეკემბ. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

ოსმალეთის მეჯლისის კომისიამ, რომელიც დანიშნულია ოსმალეთის ყოფილი საზღვაო მინისტრის იჰან - ბეის ბოროტმოქმედებათა გამოსაკვლევად, განიხილა მასალები კრეისერ „კაროუზის" შეკეთების შესახებ. კომისიამ მოისმინა ჩვენება შინაგან საქმეთა მინისტრის აბდულ ხალილ ბეისა, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება აგრეთვე საზღვაო სამინისტრო, და საზღვაო მინისტრის ამხანაგის მეჰმეტის ჩვენება. გამოძიება გრძელდება (ადს).

• იბრაჰიმ ტალი ბეის დანიშვნა

ანგორა, 29 დეკემბ. ანატოლის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ოსმალეთის ყოფილი ელჩი ვარშავაში იბრაჰიმ ტალი ბეი დაინიშნა ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილაეტების გენერალურ ინსპექტორად (ადს).

ლაძირის გარდაცვალება

რომი, 29 დეკემბ. ფილტვების ანთებით გარდაიცვალა კონსტანტინე ლაძირი.

—:—

ლაძირი, რომელიც უკანასკნელ წლებში ჩამოშორდა მუშათა მოძრაობას, წარსულში თვალსაჩინო როლს თამაშობდა ამ მოძრაობაში. ლაძირი არის პირველი წმინდა მუშათა სოციალისტური ორგანიზაციის დამაარსებელი იტალიაში. სოციალისტურ პარტიაში ლაძირი ყოველთვის იყო ეგრედწოდებული „შეურიგებლების" ფრაქციის ერთ-ერთი ბელადი და მაქსიმალისტების მემარცხენე ფრთას ემხრობოდა. ლაძირი მაქსიმალისტების პარტიის შიგნით ემხრობოდა „მეგობრული ურთიერთობის დამყარებას" კომინტერნთან (ადს).

მთავრობის კრიზისი

ლატვიაში

რიგა, 29 დეკემბერი. ლატვიის პრეზიდენტმა კაბინეტის შედგენა მიანდო სეიმის გერმანული ფრაქციის ლიდერს, შიმანს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ შიმანის ცდა შეადგენს კაბინეტი უადგილოა. მაგრამ უკანასკნელი ცნობა აღნიშნავს, შიმანის ცდის ერთგვარ წარმატებას. მან მოლაპარაკება დაიწყო დემოკრატიულ ცენტრთან ბურჟუაზიული მთავრობის შექმნის შესახებ.

ლინდბერგი „ამაღლებს"

ამერიკის პრესტიჟს

ნიუ-იორკი, 29 დეკემბერი. ამერიკელი მფრინავი ლინდბერგი მექსიკოდან მიფრინდა გვატემალაში. გვატემალიდან ლინდბერგი მოახდენს გადაფრენას ცენტრალურ ამერიკის ქვეყნებზე. რის შემდეგ გაფრინდება კუბაზე.

ლინდბერგის ფრენას ამერიკის დიპლომატია აშკარად იყენებს იმ მიზნით, რომ ასწიოს ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების პრესტიჟი ლათინურ ამერიკაში (ადს).

რა ხდება უცხოეთში

როგორ გაამასხარავეს ჯონსონ ხიკსი და სხ. „შუბლმაგრები"

ამ რამოდენიმე ხნის წინად მთელი კემბრიჯი (საუნივერსიტეტო ქალაქი ინგლისში) სტუდენტთა პოპულიარული ჟურნალის „გრანტა"-ს ფურცლებზე გაოცებით კითხულობდა შემდეგ შენიშვნებს:

„ერთმა ჩვენმა ამხანაგმა, რომლის გვარის გამოქვეყნებას ჩვენ მოვერიდებით დროებით, ცნობილმა თავისი მიდრეკილებით საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი, ღრმად ჩაფიქრების დროს რაც წარმოადგენდა შემდეგს მისი გატაცების, რომელიღაც აბსტრაქტიული თეორიით, სრულიად შეუმჩნევლად მოგლიჯა თავისი ქუდის სარჩული. იმ დროს, როცა ფილოსოფიურ აზრებში გახვეულმა ჩვენმა ამხანაგმა ის იყო მოგლეჯილი სარჩული მიიტანა ცხვირთან, რადგან ეგონა, რომ ხელში ცხვირსახოცი ეჭირა, მან შენიშნა, რომ სარჩულის შიგნითა პირზე ეწერა: „დამზადებულია რუსეთში". „გრანტა"-ს მკითხველებმა უწყიან, რომ ჩვენს ჟურნალს მუდამ ასულდგმულებდა დემოკრატიისა და კერძო საკუთრების წმინდა პრინციპები. ამასთანავე შეფარდებით ჩვენ ახლაც გადავწყვიტეთ დავდგეთ ბრიტანეთის იმპერიის ურყევ ინტერესების სადარაჯოზე. ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ინგლისის მოქალაქეებისაგან ნაძარცვი საქონელი ჩვენს ქვეყანაში იყიდებოდეს ბოლშევიკური ექსპორტის სახით. არც ერთი საბჭოთა ქუდი კემბრიჯში! შორს წითლები ინგლისიდან!".

ადვილი წარმოსადგენია გაოცება კემბრიჯის მოქალაქეების, როცა მეორე დღეს, ქუდების ყველა სახელოსნოების კარებთან იხილეს პლაკატები, რომლებზედაც უშველებელი ასოებით ეწერა:

„აქ საბჭოთა ქუდები არ იყიდება".

კომედია გრძელდებოდა. „გრანტა"-მ მორიგ ნომერში „საბჭოთა ქუდებს" უძღვნა მოწინავე, რომელიც იუმორისტული სერიოზულობით სწერდა „ჩვენ განვდევნეთ წითელი ქუდები". შემდეგ მოწინავე „ემუდარებოდა" ყველა მკითხველს არ ეყიდათ საბჭოთა ქუდები: „თითეული საბჭოთა ქუდი, რომელსაც თქვენ არ იყიდით, ეს არის ლურსმანი მოსკოვის მფლობელის კუბოზე".

ამის შემდეგ კემბრიჯის სტუდენტობა მიხვდა რაშიაც იყო საქმე. „გრანტა"-ს მოწოდების უკანასკნელი ტონი მათ ძლიერ ნაცნობად მოეჩვენათ: „გრანტა"-ს კამპანია ეს იყო პაროდია „დეილი მეილი"-ს კამპანიაზე საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ.

მთელი კემბრიჯი სიცილით იხოცებოდა.

მაგრამ „გრანტა" არ იშვებოდა გამასხარავებულ „შუბლმაგრებს". ორი დღის შემდეგ ჟურნალმა გამოაცხადა პრემია იმათთვის, ვინც ყველაზე მეტ „საბჭოთა ქუდებს" შეაგროვებდა. კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ „ასპროცენტიან" ინგლისელებს. „დეილ მეილ"-ის კილოს თავისებურობის დაცვით „გრანტა" სწერდა: „კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ მოწმობები დაბადების ან ინგლისის ქვეშევრდომობის შესახებ. შეგროვებული საბჭოთა ქუდები დაუყონებლივ გაეგზავნება სერ ჯონსონ ხიკსს ინგლისიდან გასაძევებლად".

კონკურსის პირობებს დართული ჰქონდა ამონაწერი განსვენებულ მისტერ მარქსის არარსებულ თხზულებიდან, რომ „სტუდენტის ქუდი — რევოლიუციის დასაყრდენია" და მითითება იხ. „სტუდენტები ბოლშევიკები", გვ. 137.

დასასრულ, „გრანტა"-მ მოათავსა სია ყველა იმ მექუდეების, რომლებმაც გამოაკრეს პლაკატები „საბჭოთა ქუდების" წინააღმდეგ.

ასე გაამასხარავეს შუბლმაგრები კემბრიჯელმა სტუდენტებმა.

ა. გ—ნი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დანიშვნა

მოსკოვი, 30 დეკემბერი. „გროზნეფტის" გამგედ დაინიშნა ამხ. განშინი, რეზინოტრესტის გამგეობის თავმჯდომარედ ამხ. ბოგდატიევის მაგიერ დაინიშნა „გლავტექსტილის" ყოფილი უფროსი ამხ. ნიკიფოროვი (ადს).

კაპიტალური მშენებლობა ნავთის მრეწველობაში

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმ. საბჭომ დაადგინა: მოეწყოს კომისია, რათა ადგილობრივ, ნავთის ტრესტების წარმომადგენელთა მონაწილეობით საბოლოოდ გადაწყდეს ნავთის მრეწველობაში კაპიტალური ხარჯების უფრო რაციონალურად განაწილების საკითხი 1927-28 წელს. კომისიას მეთაურობს სახელმწიფო სათბობ სამმართველოს უფროსი ამხ. ჩუბაროვი, კომისიაში შედიან სახელმწიფო სათბობ სამმართველოს წარმომადგენელნი, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს საფინანსო პოლიტიკისა და სავაჭრო პოლიტიკის განყოფილებათა წარმომადგენელნი. (ადს).

კოციოლ გვამის განკვეთა

ოდესა, 30 დეკემბერი ბანდიტების მიერ მოკლული იტალიის ოდესელი ვიცე-კონსული კოციოლ გვამი გასკვეთეს. გამოირკვა, რომ მკვლელობა აშკარა სისხლის სამართლის დანაშაულის ხასიათს ატარებს. ბანდიტებმა კოციოლისათვის რამოდენიმე ჭრილობა მოუყენებიათ თავში და თავის ქალა ჩაუმტვრევიათ. გამოძიება სასწრაფოდ სწარმოებს.

საკავშირო პროფსაბჭოს შუამდგომლობა

მოსკოვი, 30 დეკემბერი. ზოგიერთი სამეურნეო ორგანოები უარს აცხადებენ იმ შეთანხმების შესრულებაზე, რომელნიც სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ დასდვეს საბჭოთა კავშირს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოსთან და აგრეთვე კავშირების ცენტრ. კომიტეტებთან. საკავშირო პროფსაბჭომ სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა დაუყოვნებლივ მიეცეს წინადადება ამ სამეურნეო ორგანოებს შეასრულონ შეთანხმება სამუშაო ელფასის გადიდების შესახებ და პასუხისგებაში იქნან მიცემული ის პირნი, რომლებიც აფერხებენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დებას (ადს).

1922 წლის სახელმწიფო სესხის ტირაჟი

ტულა, 30 დეკემბერი. ტულაში ენერგიულად ემზადებიან 1922 წლის პირველი სახელმწიფო სესხის თამაშებისათვის, რომელიც 2 იანვარს მოხდება.

შექმნილია ტირაჟის კომისია, რომელშიაც შეიდენ დიდ ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა წარმომადგენლები და აგრეთვე გლეხთა წარმომადგენლები. ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად ტულაში მოელიან გლეხთა ბევრ დელეგაციას (ადს).

საბჭოთა გემ—მაცივარი

ოდესა, 30 დეკემბერი. ოდესაში ჩამოვიდა გემ-მაცივარი „დნეპრი", რომელიც საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართველომ შეიძინა ინგლისში.

გორკის ნაწერების გამოფენა

ლენინგრადი, 30 დეკემბერი. სამეცნიერო აკადემიის „პუშკინის სახლში" გაიხსნა გამოფენა მაქსიმ გორკის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად. გამოფენა შესდგება გორკის წიგნებისა, ფოტოგრაფიებისა, პორტრეტებისა და წერილებისაგან; გამოფენილია აგრეთვე შალიაპინის, რეპინის, კოროლენკოს, ლეონიდ ანდრეევის, იაკუბოვიჩის, ბრიუსოვის, ბერნარდ შოუს და სხვათა და უცხოელ მწერლების წერილები მაქსიმ გორკის მიმართ. (ადს)

პრეობრაჟენსკის, კამენევის და რაკოვსკის მოხსნა თანამდებობიდან

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: გაანთავისუფლოს: პრეობრაჟენსკი საბჭოთა კავშირის იმ დელეგაციის წევრის მოვალეობიდან, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთთან, კამენევი—საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობიდან იტალიაში, რაკოვსკი—გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილისა და იმ დელეგაციის თავმჯდომარის მოვალეობიდან, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთთან.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანია

მოსკოვი, 30 დეკემბერი. 31 დეკემბერი უკანასკნელი დღეა იმ ვადისა, რომელიც საბჭოთა კავშირის პროფსაბჭომ და სახალხო მეურნეობის საბჭომ დანიშნეს მრეწველობაში კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დასადებათ. მიღებული ცნობების მიხედვით, იანვრის დამდეგს თითქმის ყველა კოლექტიური ხელშეკრულება ხელახლა იქნება დადებული და ხელმოწერილი.

წელს კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის შესამჩნევი წარმატება ეტყობა. მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1927 28 წლისათვის ითვალისწინებენ შრომის ნაყოფიერობის ზრდას 18 პროცენტით. მუშების რეალური ხელფასი ამ წელს 11—12 პროცენტით მაინც გადიდდება. ამ მოსაზრებათა გამო, მრეწველობაში ელფასის ფონდები მიმდინარე სამეურნეო წლისათვის 130 მილიონი მანეთით არის გადიდებული. ამ თანხებიდან გამოყოფილია 30 მილიონი მანეთი იმისათვის, რომ ხელფასი მიმატოთ მუშების იმ ჯგუფებს, რომლებსაც დაბალი ხელფასი აქვთ.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადების კამპანიას მუშათა მასები არაჩვეულებრივად იყვნენ დაინტერესებულნი. (ადს).

სას.-სამ. წარმოებების გაერთიანება ტრესტებად

მოსკოვი, 30 დეკემბერი. სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენების თანახმად, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო მებამბეობის მთავარ კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის გამგებლობაში დასტოვოს ყველა სათესლე სელექციური მეურნეობანი, რომელთაც ექსპლოატაციას ისინი აწარმოებენ. ამ მეურნეობათა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობათა და „შაქარტრესტის" საცდელ დაწესებულებათა გარდა, ყველა დანარჩენი საწარმოო საბჭოთა მეურნეობანი, რომელნიც მიწათმოქმედების კომისარიატების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო და სამრეწველო დაწესებულებათ უშუალო გამგებლობაში იმყოფებიან, უნდა მოექცნენ სატრესტო ქსელში; ეს გადაყვანა ტრესტების ქსელში სისწორით უნდა ეთანხმებოდეს სასოფლო-სამეურნეო ტრესტების საწარმოო-საფინანსო და ორგანიზაციულ გეგმებსა და შესაძლებლობას. საბჭოთა მეურნეობათა გადაცემა უნდა ხდებოდეს მთელი მათი ქონებით და მათ მიერ მიღებული სახელმწიფო კრედიტებით (ადს).

სამოქალაქო ავიაცია

მოსკოვი, 30 დეკემბერი. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები იმ აზრის არიან, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში შეტანილ იქნას სამოქალაქო ავიაციის განვითარებისა და ფინანსებით უზრუნველყოფის პროგრამა. მიზანშეწონილად არის ცნობილი მოწყობა ახალი საჰაერო ხაზების, რომელიც საბჭოთა კავშირს შეაერთებენ მონღოლეთთან, სპარსეთთან, ავღანისტანთან, ოსმალეთთან, ჩინეთთან, იაპონიასთან, ლატვიასთან და გერმანიასთან; საჭიროთ არის ცნობილი აგრეთვე მოწყობა ტრანს-კონტინენტალური ხაზების: მოსკოვი—ამიერ-კავკასია, მოსკოვი—შორეული აღმოსავლეთი და მოსკოვი—შუა აზია. (ადს).

თეთრგვარდიელები

„ვაჭრობენ"

ოდესა, 30 დეკემბერი. მარსელიდან მიღებულია ცნობა, რომ მეზღვაურთა საკასაციო საჩივარი რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების ყოფილი გამგეობისადმი 4.500.000 ფრანკის შესახებ, გამგეობის წევრთა ცდით გამოურკვეველ დრომდე გადაიდო. ყოფილმა გამგეობამ პარიზში ყოველგვარ საშუალებას მიმართა ამ საქმის გადადებისათვის. ამავე დროს გამგეობამ მოახერხა ნებართვის მიღება იმ გემების გაყიდვაზე, რომელნიც საბჭოთა კავშირიდან გაიტაცეს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

რკინისგზის შტო განჯა - ელენენდორფი

ბაქო, 29 დეკემბ. უ. ე. საბჭომ საჭიროთ სცნო ფართელიანდაგიანი რკ. გზის შტოს გაყვანა განჯასა და ელენენდორფს შუა. ამასთან ერთად სახ. საგეგმო კომისიას დაევალა წარმოადგინოს თავისი მოსაზრება ხაჩმას-ყუბის რკ. გზის შტოს გაყვანის შესახებ. საჭიროთ არის ცნობილი აგრეთვე ნორმალური მიმოსვლის აღდგენა ნუხა - ზაქათალას ხაზზე (ადს).

ტყვიის მადნები

ბაქო, 30 დეკემბ. აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭო მომავალ წლიდან შეუდგება გიულმუშლაკის ტყვიის ბუდობების დამუშავებას. აღნიშნული ბუდობები მდებარეობენ სადგ. ნორაშენიდან 15 ვერსის მანძილზე. ანალიზით გამოირკვა, რომ მადნები შეიცავენ 64—70 პრო. წმინდა ტყვიას. ტყვიის ბუდობების ახლო განზრახულია ქარხნის აგება. ქარხნის ასაგებათ და ექსპლოატაციის დასაწყებად საჭირო იქნება 600.000 მან. (ადს).

სომხეთი

ელექტრონის ღუმელები

ერევანი, 30 დეკემბ. სომხეთის ელექ. მექან. ტრესტმა მიიღო შეკვეთები ა.-კ. რკ. გზებისა და სახ. ელმშენსტროისაგან ელექტრონული ღუმელების დამზადებაზე. ერევანში ამჟამად ასზე მეტ ადგილშია დადგმული სომხეთის ელმშენებლების მიერ დამზადებული ღუმელები (ადს).

რა დაადგინა რკინისგზელების კონფერენციამ

ლენინაკანი, 29 დეკემბ. დაიხურა ა.-კ. რკ. გზების სამხრეთხაზის რკინისგზელთა კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა მოხსენებები სომხეთის პროფკავშირების და ა.-კ. სატრანსპორტო - მომწარმოებელ საზოგადოების მუშაობის შესახებ. უკანასკნელ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საზოგადოების წევრებათ ითვლება მთელი სამხრეთ ხაზის მუშა - მოსამსახურეთა 90 პროც. კონფერენციამ დაავალა ა.-კ. სატ.-მომ. საზოგადოებას ჩააბას კოოპერატივში მუშა - მოსამსახურეების მთელი 100 პროც., ჩამოართვას კერძო ვაჭრებს სადგურის ბუფეტები და თვითონ დაიწყოს ამ ბუფეტების ექსპლოატაცია, შვიდ ახალ პუნქტში გახსნას [illegible] და სხვ.

კონფერენციამ აირჩია 9 დელეგატი სომხეთის პროფკავშირთა ყრილობაზე.

კონფერენციის დახურვის შემდეგ შესდგა რკინისგზელთა პროფკავშირის საუბნო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც შეიმუშავა თავისი განყოფილებების მუშაობის 6 თვის გეგმა და აირჩია ახალი შრომის ინსპექტორი დაზგის მუშებიდან (ადს).

მოჯამაგირე ქალთა შორის მუშაობა

მუშა და გლეხ-ქალთა ცენტრალურმა განყოფილებამ გამოიკვლია სეზონურად მომუშავე ქალების მუშაობა ერთ ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამ მაზრაში: აჭარისტანში, თელავის და სიღნაღის მაზრებში.

აჭარისტანში სეზონური ქალები მუშაობენ ჩაის და მანდარინის პლანტაციებში, და ჩაის ფაბრიკაში ჩაქვში; ოზურგეთის მაზრაში—მუშაობენ აბრეშუმის პარკზე და ჩაის პატარა პლანტაციაში; სიღნაღის და თელავის მაზრებში—უმთავრესად ვენახებში მუშაობა—ფოთლების მოცლა, ვაზის გასხვლა, ყურძნის კრეფა და სხვა. ნაწილობრივი მუშაობა აბრეშუმის პარკზე (ახალშენი, კარიდანაში) სულ ოთხივე აღნიშნულ ერთეულში სეზონურად მუშაობს 3.670 ქალი, აქედან 230 ქალი ჩაქვში, 530 ოზურგეთის მაზრაში და 2.340—თელავის და სიღნაღის მაზრებში.

თელავის, სიღნაღის და ოზურგეთის მაზრებში სეზონურ მუშაობაში ჩაბმული არიან ადგილობრივი ღარიბი გლეხი ქალები, რომლების შერჩევა ხდება ადგილობრივ გლეხკომების და თემაღმასკომების საშუალებით; რაც შეეხება ჩაქვის პლანტაციებს. იქ მუშაობენ არა ადგილობრივი გლეხი ქალები, არამედ ჩამოსული გურული და მეგრელი ქალები.

მუშაობის ხანგრძლივობა ყველგან უდრის 2 ნახევარ—3 თვეს. ჩაქვში ექვს თვეს. მუშაობის პირობები მძიმეა: სამუშაო დღე ჩაქვის პლანტაციებში გრძელდება 10—12 საათით, მხოლოდ ფაბრიკაში სეზონურად მომუშავე ქალები მუშაობენ 8 საათს. რაც შეეხება დანარჩენ სამ მაზრას, იქ სეზონურად მომუშავეებს უხდება მუშაობა—10—11 საათი, გარდა ოზურგეთის მაზრისა. სადაც მუშაობა 8 საათზე მეტი არ გრძელდება, სიღნაღის და თელავის მაზრებში ადგილი აქვს შრომის დაცვის კანონების დარღვევას; 10—12—13 წლის მოზარდებს კანონიერ ან 4 ან 6 საათის მაგიერ მუშაობენ 8—9 საათს, მოზრდილ მუშა-ქალების უმრავლესობა მუშაობს 10—11 საათს, 1 საათის შესვენებით სადილისათვის.

საშუალო დღიური ხელფასი ოთხივე ერთეულში უდრის 80 კაპ.; უმცირესი—70 კაპ.; მაგრამ ცალკე შემთხვევებში მუშა-ქალები ნარდ სამუშაოზე ღებულობენ 1 მანეთიდან 1 მან 50 კაპეიკამდე დღიურად. იშვიათ შემთხვევაში ზოგიერთი მუშა ქალი ღებულობს 2 მ. 50 კ. უმრავლესობა ვერ ღებულობს 90 კაპეიკზე ან 1 მანეთზე მეტს:

ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული სეზონურად მომუშავე ქალთა კვების საკითხი: ჩაქვის პლანტაციებთან არსებობს კოოპერატიული სასადილო, მაგრამ ძალიან ძვირი; სადილი ღირს 50 კაპ; და მიუწვდომელია მუშა-ქალების უმრავლესობისათვის, რომლებიც იკვებებიან რითაც შეხვდებათ, რაც შეეხება დანარჩენ სამ მაზრას, იქ არავითარი სასადილოები არ არსებობს, და მუშა ქალები იკვებებიან უმთავრესად პურით და მწვანილით

ჩაქვში საბინაო პირობები, წარსულ წელთან შედარებით გაუმჯობესდა: არსებობს ცალკე საერთო საცხოვრებლები ქალებისათვის და კაცებისათვის—დიდი ოთახები—40 საწოლით: ოთახები არის ნათელი, ზოგს აქვს ხის იატაკი, ზოგს კი მიწის საჭიროა ბინების საბოლოოდ მოწყობა.

რაც შეეხება ოზურგეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებს. აქ სეზონური მუშა ქალები არიან უმთავრესად ადგილობრივი ღარიბი გლეხი ქალები, რომლებიც ცხოვრობენ იქვე, სოფლად საკუთარ ბინებში მათი შემადგენლობა ძლიერ ცვალებადია; მუშაობენ 1, 2, იშვიათად სამი კვირა. შემდეგ მათ სცვლის ადგილობრივ გლეხ ქალების ახალი ჯგუფი სეზონურად მომუშავე ქალების ასეთი ცვალებადობა აიხსნება ადგილობრივ აღმასკომების, გლეხკომების და თვით მიწა-ტყის კავშირის თავისებური მიდგომით. ისინი სეზონურ მუშაობას უცქერიან, მხოლოდ როგორც მატერიალურ დახმარების აღმოჩენის საშუალებას ღარიბ მოსახლეობისათვის და დაინტერესებული არიან იმაში, რომ სეზონურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღებიონ რაც შეიძლება მეტ გლეხ-ქალებს.

სეზონურად მომუშავე ქალები საერთოდ სუსტად არიან ჩაბმული კავშირში, ასეთი ცვალებადობა კი კიდევ უფრო ართულებს მათ ჩაბმას კავშირის წევრთა რიცხვში. ჩაქვის რაიონში სულ კავშირის წევრად ირიცხება 124 მუშაკი, რაც შეადგენს 2,9 პროცენტს კავშირში ჩაბმულ მუშათა საერთო რიცხვთან შედარებით (სულ კავშირში ჩაბმულია—426 კაცი).

ოზურგეთის მაზრაში 530 სეზონურად მომუშავე მუშა ქალიდან კავშირში ჩაბმულია მხოლოდ ხუთი პროცენტი, სიღნაღის და თელავის მაზრებში არა უმეტეს ოთხი პროცენტისა.

სამეურნეო და ადმინისტრატიულ თანამდებობაზე არ მუშაობს არც ერთი ქალი. საკითხმა ქალების დაწინაურების შესაძლებლობის შესახებ გამოიწვია ჩაქვის პლანტაციების ადმინისტრაციის გაკვირვება.

მუშათა კომიტეტში რომელიც 9 კაცისაგან შესდგება, შედის 1 მუშა-ქალი. არც ერთი ქალი არ მუშაობს არც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში, არც შრომის დაცვის კომისიაში. ასეთივე მდგომარეობაა სხვა მაზრებშიაც. ოზურგეთის მაზრაში სეზონურად მომუშავე ქალთა დაწინაურების ერთად ერთ სახეს წარმოადგენს მათი გამოყოფა, ზედამხედველებად. სულ 11 პუნქტში ირიცხება 18 ზედამხედველი ქალი. სხვა მაზრებში არც ამას აქვს ადგილი, ან ადგილი აქვს მეტად სუსტად.

ყველა მაზრებში ერთნაირად სუსტად არის დაყენებული კულტურულ- განმანათლებელი მუშაობა სეზონურ მუშა-ქალებს შორის. ეს მუშაობა ოდნავ ვერ მოაგვარა ვერც პოლიტგანმა, ვერც კავშირმა და ვერც მუშა და გლეხ ქალთა ადგილობრივმა განყოფილებებმა.

თელავის და სიღნაღის მაზრებში სეზონურად მომუშავე ქალების უმრავლესობა წერა კითხვის უცოდინარია. მაგრამ არავითარი მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მათ შორის არ ჩატარებულა.

ჩაქვში გამოდის კედლის გაზეთი, მაგრამ არც ერთი მუშა ქალი მასში არაფერს სწერს (აქ სეზონურ მუშა ქალების უმრავლესობა წერა კითხვის მცოდნეა). ქალები ჩაბმული არ არიან საკლუბო მუშაობაშიაც.

მუშა ქალთა შემადგენლობის ცვალებადობის გამო არ არსებობს ბაზისი სპეციალურ სადელეგატო პუნქტების მოსაწყობად სეზონურ მუშა ქალთათვის, გარდა ჩაქვისა და თელავისა. შეიძლება და უნდა მოგვარდეს მასიური მუშაობა სეზონურად მომუშავე ქალთა შორის.

დღემდე კომპარტიის უჯრედებს და სათემო კომიტეტებს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ამ მუშაობისათვის. თემკომები, თემაღმასკომებთან და გლეხკომებთან ერთად კმაყოფილდებიან მხოლოდ იმ „ხელმძღვანელობით" სეზონურად მომუშავე ქალთა მუშაობაში, რომ ჰკრებენ მუშა-ხელს.

შ. გ—ძე.

გახურებული შანთით

ნუ „შეიჭრებით ეკონომიკაში"

ფ. ჩიქვილაძეს ნიჭს არავინ უფასებდა. კაცი საუკეთესო თეორეტიკოსი იყო საზოგადოებ—მეცნიერების დარგში და იძულებული გახდა საჩხერის „ემო"-ს თავმჯდომარის ადგილზე დაეღუპა თავისი უმაღლესი მეცნიერული მუშაობის ნიჭი. მაგრამ, ძველათ ამბობდნენ „მღვდელს ჭილოფშიაც იცნობენ"-ო (ახლა შეიძლება ითქვას, მღვდელს უჭილოფოთ ვეღარ იცნობენ). ჩიქვილაძესაც ასე მოუვიდა. ის რაიონის მასშტაბის კოოპერატორი იყო, მაგრამ ისეთ მეცნიერულ მარგალიტებს გადმოალაგებდა ხოლმე, რომ კაცი ერთი შეხედვით იტყოდა; აფსუს, რა ნიჭი იღუპება პროვინციაში. ვინ ჩიქვილაძე და ვინ კოოპერატორი, ეს ოქსფორდის უნივერსიტეტში საზოგადოებათ-მეცნიერების კათედრის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩიქვილაძე თავის კოოპერატიულ მუშაობას მეცნიერულ ბაზისზე აშენებდა. აი, მაგალითად მისი ლოზუნგი: „კომუნისტებს და კომკავშირლებს ადგილი არა აქვთ კოოპერატივში. პოლიტიკა მათთვისაა, ხოლო ეკონომიკა ჩვენთვის. ვთხოვ მათ ეკონომიკაში ნუ შემომეჭრებიანო".

ერთხანს სამწუხაროდ მართლაც არავინ „ეჭრებოდა ეკონომიკაში" ჩიქვილაძეს. ამიტომ ჩვენი საჩხერელი სწავლული კოოპერატორი დანავარდობდა კოოპერატივში თავის გემოზე. თავისი თეორიის მიხედვით ჩიქვილაძემ მიზანში ამოიღო კოოპერატივის ბუხჰალტერი ცხვედიანი, რადგან ეს უკანასკნელი საბჭოთა კაცად ითვლება და მჭიდრო კავშირშია კომუნისტებთან. იმდენი ეცადა ჩიქვილაძემ, რომ ცხვედიანი სამსახურიდან მოხსნა. საქმე გადავიდა სასამართლოში. დაიწყო ასეთ შემთხვევებისათვის ჩვეული ისტორია. 1927 წლის 18 ივნისს ჭიათურის უბნის სასამართლომ გაარჩია საქმე და სცნო, რომ ცხვედიანი აღდგენილ უნდა იქნას ძველ თანამდებობაზე. მაგრამ ეს თურმე არ კმარა, საჭიროა ეს სცნოს აგრეთვე ჩიქვილაძემ. ჩიქვილაძემ კი სხვა სცნო, ბუხჰალტერის ადგილას მიიყვანა თავისი კაცი და, რადგან ორი ბუხჰალტერი საჩხერის „ემო"-ისათვის საჭირო არ იყო, უარი მოახსენა ცხვედიანს თანამდებობის დაბრუნებაზე.

საქმე გადავიდა დასავლეთ საქ. ოლქის სასამართლოში. იქიდან ხელმეორედ გასარჩევად გადაეცა ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს, რომელმაც აგრეთვე გაამართლა ცხვედიანი და დაადგინა მისი თანამდებობაში აღდგენა. ჩიქვილაძეს, აქაც მოგახსენეთ, ჩირის ფასადაც არ მიაჩნია სასამართლოს დადგენილება..

აქ მოხდა ცოტა გაუგებრობა. ადგილობრივმა ხელისუფლება „შეიჭრა ჩიქვილაძის ეკონომიკაში", რადგან გამოირკვა, რომ საჩხერის კოოპერატივის გამგე, სრულიად არაკოოპერატიულ საქმეებით იყო გატაცებული. ჩიქვილაძე მიაბრძანეს საჩხერიდან მეტეხის ციხეში, როგორც საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტერი.

ცხვედიანის საქმეს მაინც საშველი არ დაადგა. კოოპერატივის გამგეობა ძველი თავმჯდომარის კვალდაკვალ მიდიოდა. ცხვედიანმა განცხადება მისცა რესპუბლიკის პროკურორს, რომლის განკარგულების თანახმად მას 1927 წლის 1 ნოემბრიდან დაუბრუნეს ძველი თანამდებობა, თან 720 მანეთი გაცდენილი დღეების მისცეს. აღსანიშნავია, რომ გამგეობამ ცხვედიანის ადგილზე მიღებული ბუხჰალტერი არ მოხსნა. ერთხანს ორთავე ამუშავა, ორთავეს ჯამაგირი აძლია, ხოლო 1 დეკემბერს, ერთი თვის შემდეგ, ცხვედიანი ისევ მოხსნა. ამრიგად დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ჩიქვილაძის ღირსეული მიმდევრები სასამართლოსთანაც პირწმინდათ გამოვიდნენ (თუმცა 900 მანეთი ნაღდური ხელფასი და სასამართლოს ხარჯები გაიღეს) და თავისიც გაიტანეს. აი, კოოპერატორები! მოდი და ნუ „შეიჭრები ასეთი ხალხის ეკონომიკაში"!

წოწკა.

ერთნი ამცირებენ—მეორენი აფართოებენ

ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება მარტო შტატების შემცირებას არ გულისხმობს. იქ კი, სადაც შტატი გაბერილია, ცხადია, მისი შემცირება აუცილებელია. მაგრამ აღსანიშნავია ერთი რამ. რაც უნდა უმტკიცოთ დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელსაც ერთი კაცის საქმეზე სამი უზის, ან რომლის დაწესებულებაშიც ხელოვნურად იჭრება საქმეები, თქვენ მას ვერ დაარწმუნებთ იმაში, რომ აუცილებელია შტატის შემცირება. ისეთ სურათს დაგიხატავს, რომ საკმაოა მაგალითად, რომელიმე ზედმეტ თანამშრომელს სავარძლის ცალ ფეხს შეეხოთ, რომ დაეცეს მთელი საბჭოთა ხელისუფლება. მოდით და ამის შემდეგ, შეამცირეთ შტატი.

მაგრამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შორის ბევრია ისეთებიც, რომლებიც საქმეს კეთილსინდისიერად და შეგნებით ეკიდებიან. ისინი ყოველნაირად ცდილობენ შეამცირონ ხარჯები. თუ სამუშაო ბევრია, გადასინჯავენ სამუშაოს მისი გამარტივებისა და გაიაფების მიზნით. თუ შტატი გაბერილია, გადასინჯავენ შტატს მისი შემცირებისა და შერჩევის მიზნით. ასე მოიქცა ტყიბულის მაღაროების გამგე ამხ. კვანტალიანი. მან შტატის შემცირებით სამსახურიდან დაითხოვა: სამუშაოების გამგე ჟღენტი, სააღმშენებლო აგენტი ნაკაიძე, მოამარაგე კოზმავიძე და სხვანი. საქმეს ამით არავითარი ზარალი მიჰყენებია. მაგრამ საკმარისი იყო კვანტალიანი გადაეყენებინათ ტყიბულის მაღაროებიდან, რომ შტატის საკითხი კვლავ დასმულიყო. და უკვე არა შემცირების, არამედ მისი გადიდების მიზნით. თუმცა სამუშაოები ამ ხნის განმავლობაში ოდნავადაც არ გადიდებულა.

შტატის შემცირებით დათხოვნილი სპეცებული პირები ხელადვე აღადგინეს თავიანთ თანამდებობაზე. თან იმდენი გაქანება გამოიჩინეს, რომ ორი ახალი კანტორის მოხელე: კახაძე და ნიჟარაძე დაუმატეს შტატს. კახაძეს, სხვათა შორის, ორგანიზაციული სახელწოდების თანამდებობა გამოუძებნეს „ინსტრუქტორი მოანგარიშე".

გარდა ამისა მაღაროებში შენდება მუშათა საცხოვრებელი ბინები. სამუშაოები სადაცაა თავდება. სამისოდ აყვანილი შტატი დღითიდღე ზედმეტი ხდება. მაგრამ ადმინისტრაციას თავისი შეხედულება აქვს საგანზე. მისი პირადი შეხედულების თანახმად საჭიროა ორი კაცის დამატება შტატზე. და დაუმატეს კიდეც აბესაძე და მახარაძე. ან კი რატომ არ დაუმატებენ, რატომ არ მოიმადლიერებენ კაცს? მე თქვენ გეტყვით, თავიანთ ჯიბიდან აძლევენ მათ ჯამაგირს!

ახლა, ზოგიერთი გულუბრყვილონი ტყიბულის მაღაროებში მაგარი სიტყვით იხსენიებს ამხ. კვანტალიანს და მის „მიმავალ-მომავალს". სამაგიეროდ მადლობას არ აკლებენ სხვებს, რომლებიც ასეთ გულუხვობას იჩენენ სახელმწიფოს ხარჯზე. იმედია, არც მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებული მოაკლებს თავის „მადლობას" ტყიბულის მაღაროების მეთაურებს.

ლექტორი.

პარტიული ცხოვრება

ეროვნული

საქ. ცენტ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში

მ. ოკუჯავას და თ. კალანდაძის გამორიცხვა პარტიიდან

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა, განიხილა რა მიხეილ ოკუჯავას და თედორე კალანდაძის საქმე მათი ფრაქციული მუშაობის შესახებ, გამოარკვია შემდეგი:

1. მიხეილ ოკუჯავა—პარტიის წევრი, მოსამსახურე, ინტელიგენტი, უმაღლესი განათლებით, ყოფილი ქართველი უკლონისტი, რის გამო პარტიულ პასუხისგებაში იყო მიცემული და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ გამოუცხადა საყვედური. ტროცკისტული ოპოზიციური ბლოკის დაარსების დღიდან მიხეილ ოკუჯავა ითვლებოდა საქართველოს ადგილობრივი ოპოზიციის ფრაქციონურ-დეზორგანიზატორულ მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად. 1926 წლის ნოემბერში შემოიტანა წერილობითი განცხადება, რომ თავს ანებებს ფრაქციულ მუშაობას, მაგრამ შემდეგში დაარღვია ეს დაპირება.

სხვა ოპოზიციონერებთან ერთად, რომელნიც ეხლა პარტიიდან გამორიცხულნი არიან, ეწეოდა აქტიურ არალეგალურ მუშაობას პარტიის წინააღმდეგ, არღვევდა ამით პარტდისციპლინას და თავისი დეზორგანიზატორული მოქმედებით ცდილობდა მეორე პარტიის შექმნას. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის შემდეგ დაკითხვის დროს განაცხადა, რომ თავის შეხედულებებს არ უარჰყოფს, სდგას ოპოზიციის პლატფორმაზე და მიაჩნია ის სწორათ.

2. თედორე კალანდაძე, პარტიის წევრი, მოსამსახურე, ინტელიგენტი. ბრალად ედება აქტიური ფრაქციულ-დეზორგანიზატორული მუშაობა. ითვლება ოპოზიციონურ მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად საქართველოში. თავის წერილობით განცხადებაში უარს არ ამბობს ოპოზიციურ შეხედულებებზე და მიაჩნია ისინი სწორად.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა,—მიიღო რა მხედველობაში ზემოაღნიშნული და გამოდის რა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებიდან,—დაადგინა: გამორიცხულ იქნენ კომპარტიის (ბ) რიგებიდან მიხეილ ოკუჯავა და თედორე კალანდაძე, როგორც ფრაქციულ-ოპოზიციონური მუშაობის მთავარი ორგანიზატორები საქართველოში და როგორც გაუსწორებელი ტროცკისტები, რომელნიც არღვევენ ლენინური პარტიის მთლიანობას.

საქ. კომპ. (ბ) ცენტრ. კომისიის პრეზიდიუმი.

ბათომის პარტაქტივის ხმა

ბათომი, 30 დეკემბერი. 28 დეკემბერს შესდგა საქართველოს კომპარტიის (ბ) ბათომის ორგანიზაციის აქტივის კრება გარნიზონის პარტაქტივის თანდასწრებით. კრებაზე მოსმენილ იქნა ამხ. ფანცხავას მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის შედეგების შესახებ. მოხსენების გამო კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ბათომის პარტაქტივი სავსებით უერთდება ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს. რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია: „ის გარემოება, რომ ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ოპოზიციის შესახებ, მოწმობს ლენინური პარტიის შეურყევლობას და სიმტკიცეს.

აქტივი სცნობს, რომ პარტიას შეუძლია დასვას საკითხი ზინოვიევ-კამენევის ჯგუფის ოპოზიციონერების პარტიის რიგებში დაბრუნების შესახებ, თუ ისინი მართლაც სინდისიერად, ბოლშევიკურად შეასრულებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს. ხოლო ტროცკისტების შესახებ, რომელნიც კვლავ დგანან ძველ თვალსაზრისზე, აქტივი უერთდება ყრილობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით ისინი გამორიცხულ უნდა იქნან პარტიიდან". (ადს).

ოქტომბრის გაწვევით მიღებულთა აღზრდა

ოქტომბრის გაწვევამ საკავშირო კომუნისტურ პარტიის ლენინურ რიგებს შემატა 100 ათასი საუკეთესო პროლეტარი. საქართველოს ორგანიზაციებშიაც წარმატებით მიმდინარეობს ოქტომბრის გაწვევა. ამრიგად პარტია გაიზარდა და იზრდება ათეულ ათას პროლეტარებით. კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის ეს უაღრესად დამახასიათებელი მოვლენა მთელ რიგ ახალ ამოცანებს აყენებს ჩვენი ორგანიზაციების წინაშე. ის ფაქტი თავისთავად. რომ ჩვენს პარტიას შემატა ასი ათასი პროლეტარი, ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს, თუ ახლად მიღებული პროლეტარები არ იქნა პარტიის მიერ სავსებით შეთვისებული და ბოლშევიკურ ქვაბში გადახარშული.

ამისათვის საჭიროა პირველყოვლისა ახალ მიღებულთა გარშემო უჯრედებმა შექმნან მტკიცე ამხანაგური განწყობილება; ამასთან ერთად ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები პარტიაში ახლად შემოსულთა პოლიტგანათლების ქსელში ჩასაბმელად.

წინასწარი სტატისტიკის მიხედვით ოქტომბრის გაწვევის ლენინელთა შორის მეტად საგრძნობია დიდ საწარმოო სტაჟიანი მუშები. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობა ამათგანი კულტურულად და პოლიტიკურად თვითშეგნების მხრივ გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე სოფლიდან ახლად გამოსული მუშა. პარტორგანიზაციებმა უნდა ისარგებლონ ასეთი მდგომარეობით. მათ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ, რა თქმა უნდა ნებაყოფლობით პრინციპზე, პარტიაში ახლად შემოსულთა დანაწილება პოლტგანათლების სხვადასხვა ჯგუფებში.

გარდა ამისა პარტიაში ახლად მიღებულნი ჩაბმულ უნდა იქნან პარტიულ მუშაობაში. ყველა მათგანს უნდა დაეკისროს თუნდაც მცირე პარტიული მოვალეობა. ერთი სიტყვით პარტიულ ორგანიზაციებმა, და განსაკუთრებით პარტიულ უჯრედებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულ მუშაობაში ჩაბმით სავსებით შეისისხლხორცონ და შეითვისონ ოქტომბრის გაწვევით პარტიაში შემოსული ამხანაგები.

დ. ბ—ძე.

მუშა-პროპაგანდისტების კურსები

(ლენინის რაიონი)

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მასების პოლიტგანვითარებას.

ჩვენ ამ საკითხს ხშირად ვერ ვაქცევთ სათანადო ყურადღებას. უნდა ითქვას, რომ დღემდის ისეთ პროლეტარულ რაიონში, როგორიც არის ლენინის რაიონი—არ მოიპოვება მუშური პროპაგანდისტთა საკმაო კადრი.

მუშაობა პოლიტგანვითარების დარგში მუდამ მოისუსტებდა. ლენინის რაიონში წელს აღებულია კურსი ამ ნაკლთა გამოსწორებისაკენ. მუშა-პროპაგანდისტთა კადრის მომზადების საკითხი, დღეს უკვე პრაქტიკულად ტარდება ცხოვრებაში.

ნოემბრის თვის უკანასკნელ რიცხვებში გაიხსნა პროპაგანდისტთა კურსები. ეს კურსები მიზნად ისახავენ წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებულ მუშა-პროპაგანდისტების მომზადებას. ამიტომ პროპაგანდისტთა კურსების მსმენელების შერჩევის დროს რაიკომი ცდილობს კურსებში ჩაბმულ იქნენ მხოლოდ და მხოლოდ დაზგის მუშები.

კურსები მეცადინეობენ კვირაში ორჯერ. პირველი მეცადინეობა უკვე ჩატარებულია დეკემბრის პირველ რიცხვებში. მსმენელები უზრუნველყოფილია, როგორც ხელმძღვანელობით, აგრეთვე სახელმძღვანელოებით. მეცადინეობა დამთავრდება 1928 წლის გაზაფხულის დამდეგს.

ნ. ფ—ძე.

რა გვიჩვენა გამოკვლევამ

(სახმედვაჭრობის უჯრედი, თბილისი)

სახმედვაჭრობის უჯრედის მუშაობა უკანასკნელ ხანებში ძლიერ შესუსტდა. ამის მიზეზი იყო უმთავრესად ის გარემოება, რომ უჯრედი არ აწარმოებდა გეგმიან მუშაობას (თუმცა გეგმა კი იყო შედგენილი). ამასთანავე უჯრედი დიდ დროს ანდომებდა შემთხვევით წამოჭრილ წვრილმან სამეურნეო საკითხების გარჩევას, რაც შეეხება „სახმედვაჭრობის" სამეურნეო მუშაობის ძირითად საკითხებს, უჯრედი მათ მხოლოდ გაკვრით ეხებოდა.

სამეურნეო საქმიანობის ცალკე დეფექტების განხილვა არ ატარებდა საქმიან ხასიათს. მათ გარშემო მიღებულ დადგენილებებში ვერ შეხვდებით რაიმე კონკრეტიულ წინადადებას, რაც ცხადია დიდ ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს.

წვრილმანი საკითხების გამოკიდება, როგორც აღვნიშნეთ, კომუჯრედს დიდ დროსა და ენერგიას ართმევდა. რის გამოც მუშაობის სხვა დარგები ძლიერ მოისუსტებდა.

ასე მაგალითად: მასიური მუშაობის გაძლიერებას, მიუხედავად საერთო-პარტიული დირექტივისა უჯრედმა არ მიაქცია სათანადო ყურადღება. სხდომაზე განხილულ იქნა ცირკულიარი ამ საკითხის შესახებ, მაგრამ გამოტანილი რეზოლიუცია არ ჩატარებულა ცხოვრებაში. მთელი წლის განმავლობაში მოწვეული იყო 13 დახურული და 6 ღია კრება. ყველა ამის შედეგი არის ის რომ მუშებში ძლიერ შესუსტდა პარტიისადმი ლტოლვა და ინტერესი (ერთი წლის განმავლობაში მიღებულია მხოლოდ 7 კაცი).

ბიუროს მუშაობის ერთ-ერთი ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ის მოსულ ცირკულიარებს კითხულობდა და ღებულობდა ცნობად. რაიმე პრაქტიკული ღონისძიებები კი მათი შინაარსის მიხედვით ბიუროს არ გამოჰქონდა.

სუსტი იყო საუჯრედო კომისიების მუშაობაც. მათი სხდომის ოქმები არაა შენახული, კომისიების ანგარიში ბიუროზედ არ მოუსმენიათ. უჯრედის ბიურო უყურადღებოდ ეპყრობოდა კომკავშირის უჯრედის მუშაობას. მთელი წლის გამავლობაში უჯრედზედ ერთხელაც არ დასმულა ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივნის ან პარტმიმაგრებულის მოხსენება.

კანდიდ.

საქ. ექიმთა ყრილობა

მეოთხე დღე

ამხ. ვეისბროდის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ექ. სტეპანოვის მოხსენება ექიმებს შორის კულტურული მუშაობის ამოცანების შესახებ.

თავის მოხსენებაში, ექ. სტეპანოვი აღნიშნავს, რომ საჭიროა ექიმთა მასის გათვითცნობიერება პოლიტიკურად, რომ ისინი უფრო ახლოს მივიდნენ ხელისუფლებასთან და ითანამშრომლონ მასთან.

მოხსენების დამთავრების შემდეგ შეტანილ იქნა რამოდენიმე შეკითხვა.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ, საღამოს შესდგა ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განხილული და მიღებული იქნა რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებების შესახებ.

რეზოლიუციების დამტკიცების შემდეგ ყრილობამ აირჩია ექიმთა სექციის რესპუბლიკანური ბიურო 23 წევრის და კანდიდატის შემადგენლობით.

დასასრულ, ყრილობამ მოისმინა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

ამხ. ფ. მახარაძის გამოჩენას ტრიბუნაზე ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება.

— ამხანაგებო, უპირველეს ყოვლისა ნება მიბოძეთ მივესალმო თქვენს ყრილობას, იწყებს ამხ. ფ. მახარაძე.

ჩემს ამოცანას შეადგენს გავაშუქო თქვენს წინაშე ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. მიმდინარე მომენტი, ამხანაგებო, სერიოზულია. მხედველობაში რომ არ მივიღოთ ომის საფრთხე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საერთაშორისო მდგომარეობა მაინც ძალიან დახლართული და დაჭიმულია იმ წინააღმდეგობათა გამო, რომელიც თანდათან ძლიერდება კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

ჩქარა ათი წელი შესრულდება იმპერიალისტური ომის დამთავრებიდან. ოთხი წლის სისხლის ღვრამ დაშალა და დაანგრია მსოფლიო მეურნეობა. მოელოდნენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ კაცობრიობა თავისუფლად ამოისუნთქავდა, რომ ომის მწვავე შედეგები ჩქარა იქნებოდა აღმოფხვრილი. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ომის მძიმე შედეგები ეხლაც არ არის აღმოფხვრილი.

დაარსეს ერთა ლიგა, რომელიც თითქოს მოწოდებული იყო მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის; ამის მაგივრად მან კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთ დამოკიდებულება ცალკე სახელმწიფოებს შორის. ის, რაც დღეს ხდება ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, პოლონეთში, ლიტვაში; — ყველაფერ ამაში ერთა ლიგას თავისი დანაშაულის წილი უძევს.

ერთა ლიგა უძლურია მოაგვაროს კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის. პირიქით, იგი ხელს უწყობს ამ კონფლიქტების გამწვავებას. ავიღოთ, მაგალითად, პოლონეთ - ლიტვის კონფლიქტი. ამ ორი სახელმწიფოს მორიგება აქამდე შეუძლებელი შეიქნა, რადგან მათ უკან სდგანან დიდი სახელმწიფოები, რომელთა შორის წინააღმდეგობა დღითიდღე მწვავდება.

კაპიტალისტური სახელმწიფოები ბევრს ლაპარაკობენ განიარაღებაზე, იარაღების შეზღუდვაზე, ამავე დროს კი გაცხარებით ემზადებიან ომისათვის და აძლიერებენ სამხედრო ტექნიკას და შეიარაღებას. ისინი მასებისათვის თვალის ასახვევად იწვევენ განიარაღების კონფერენციებს ქმნიან განიარაღების მოსამზადებელ კომისიებს და სხ. ამ კომისიის კონფერენციაზე ჩვენც ვიყავით მიწვეული. ჩვენ იქ გამოვედით სრული განიარაღების წინადადებით. ისინი ამას არ მოელოდნენ. ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ან უნდა მიეღოთ ჩვენი წინადადება, ან კიდა ჩაეშალათ კონფერენცია. მათ ეს უკანასკნელი არჩიეს. საკითხის არსებითი განხილვა გადასდეს კომისიის მომავალ კონფერენციაზე.

აშკარაა, რომ ყოველგვარი ლაპარაკი განიარაღებაზე და შეიარაღების შეზღუდვაზე მხოლოდ ლაყბობა და ხალხის მოტყუებაა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ჩინეთის ამბებს და აღნიშნავს, რომ სწორი არ არის შეხედულება, თითქოს ჩინეთის რევოლიუცია ჩაკვდა. ჩინეთის რევოლიუცია სცოცხლობს მიუხედავად იმ სიმძიმისა, რომლითაც ჩააქრეს კანტონის მუშების აჯანყება. კომუნისტური ჯარები ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას; არის ქალაქები და მთელი პროვინციები, სადაც საბჭოთა მთავრობა სუფევს. ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმის, რომ ჩინეთის რევოლიუცია კიდევ უფრო განვითარდება, გაძლიერდება და [illegible] როგორც შინაურ, ისე გარეშე კონტრრევოლიუციას.

მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვებს მქუხარე ტაში ფარავს.

საბჭოთა არჩევნებისათვის

სას. საბჭოების სექციების მუშაობა ადგილებზე

მიმდინარე წლიდან ქუთაისის მაზრის რამოდენიმე თემის საბჭოსთან მოწყობილ იქნა სამართლის სექცია, რაც პირველ ცდას წარმოადგენს საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში. თუ რა ნაყოფი მოიტანა ამ ცდამ, ამის დამამტკიცებელია ბაღდადის რაიონის თემსაბჭოებთან მოწყობილ სამართლის სექციების მუშაობა. ამ რაიონში თემსაბჭოებთან სექციებმა მოიწყო მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან.

სექციების შემადგენლობაში შევიდნენ თემსაბჭოების თავმჯდომარეები და წევრები და აღმასკომის პრეზიდიუმის ერთი წევრი. სექციების სხდომების დღეები განსაზღვრული არ ყოფილა. ზოგიერთ თემებში სამართლის სექციები კვირაში ორ სხდომას ართავდნენ, ზოგან კი ერთხელ სხდომას, მაგ. ბაღდადის თემში სექციის სხდომა კვირაში ორჯელ იმართებოდა. ვთითეულ სხდომაზე ირჩეოდა 10-20 საქმე. გარჩეულ საქმეების მეტ ნაწილს შეადგენს სამოქალაქო საქმეები, ხოლო ამ საქმეებში კი უმრავლესობას წარმოადგენს სატყეო კოდექსის დარღვევის შემთხვევები, დიდი პროცენტი უჭირავს აგრეთვე გარჩეულ საქმეებში სარჩელებს სიმინდის ყანების, ბაღების და ბოსტნების გაფუჭების შესახებ. კერძო სარჩელების გარჩევა მეტ წილად თავდებოდა მორიგებით. ოქტომბრიდან დეკემბრამდე ბაღდადის თემის სასამართლოს სექციის, სახალხო სასამართლოსაგან გადაეცა და უშუალოდ სექციაში შევიდა გასარჩევად 472 საქმე. აქედან უკვე გაირჩა 227 საქმე, გარჩეულ საქმეებში გასაჩივრებულ იქნა 12, ხოლო სისრულეში მოყვანილია 47. დანარჩენი—245 საქმე გარჩევის პროცესში იმყოფება. სექციის სხდომების ოქმებს აწარმოებენ მდივნები. განაჩენი ცხადდება იმავე დღეს. სექციების სხდომებს დიდძალი გლეხობა ესწრება.

სამზადისი ადგილებზე

ღარიბ გლეხთა ჯგუფების თათბირი

ახალციხე 29 დეკემბერი. დღეს ღარიბ გლეხთა ჯგუფების სამაზრო თათბირი თემაღმასკომების თავმჯდომარეთა და უჯრედების მდივანთა მონაწილეობით. თათბირის დღის წესრიგში დასმულია ღარიბ გლეხობის დამხასიათებელი ჯგუფების მოხსენებები ადგილებიდან, მოხსენება ღარიბ გლეხობის ჯგუფთა როლის შესახებ მომავალ საბჭოთა არჩევნებში და სხვ. თათბირი მეტად ცოცხლად მიმდინარეობს. (ადს).

ახალციხის სამაზრო-საარჩევნო კომისია

ახალციხე, 29 დეკემბერი. მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოჰყო სამაზრო საარჩევნო კომისია 11 კაცის შემადგენლობით, რომელშიაც შედიან მაზრის აღმასკომის, კომკავშირის, გლეხკომის, წითელი არმიის და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი.

პრეზიდიუმმა დანიშნა აგრეთვე სათემო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარენი. (ადს).

ცენტ. საარჩევნო კომისიის მუშაობა აჭარისტანში

დეკემბრის დამდეგიდან აჭარისტანში უკვე მუშაობს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელმაც გამოიმუშავა დადგენილება არჩევნების ჩატარების შესახებ. ამ დადგენილებით მოსამზადებელი კამპანია არჩევნების ჩასატარებლად იყოფა ორ პერიოდად — ტექნიკურ - ორგანიზაციულ და საანგარიშო კამპანიის პერიოდად. საანგარიშო პერიოდი დაიწყება იანვრის პირველ რიცხვებიდან და გაგრძელდება მარტის დამდეგამდე. თვით საარჩევნო კამპანია დაიწყება პირველი მარტიდან და დამთავრდება 15 აპრილისათვის, ამასთანავე მაზრებში არჩევნები უნდა დამთავრდეს პირველ აპრილისათვის. აპრილის პირველ რიცხვებიდან ჩატარდება ცენტრალური ორგანოების არჩევნები. უკვე ამომუშავებულია და სამაზრო-საარჩევნო კომისიების სახელზე დაგზავნილია ცირკულიარები საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ. ცირკულიარები შეეხება საარჩევნო კომისიების თათბირების მოწყობას, საარჩევნო სიების შედგენას, არჩევნების უფლება-მოკლებულთა სიების გამომუშავებას ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობის აქტივის წინასწარ კრებებს.

მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებას ეროვნულ უმცირესობათა შორის, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წინადადება მისცა სამაზრო კომისიებს გადაუხვევლად იხელმძღვანელონ მის მიერ მიცემული დირექტივებით ადგილებისთვის საარჩევნო კამპანიის საკალენდარო გეგმის შედგენის შესახებ, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

ყრილობები და თათბირები

ავიაქიმის ორგანიზაციის მდივნების თათბირი

მეორე სხდომა

30 დეკემბრის დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. ეგოვის მოხსენება სექციების მუშაობის შესახებ. აღნიშნული იყო არსებულ სექციების სუსტი მუშაობა, რაც გამოწვეულია იმით, სექციას არა ჰყავთ მომზადებული ხელმძღვანელები.

მომხსენებელი საჭიროთ სცნობს შემდეგი სექციების დაარსებას: საავიაციო - საპროპაგანდო, სასოფლო ამეურნეო, საჰაერო - ქიმიურ თავდაცვის, სროლის, საჰაერო სპორტის, საფინანსო - სამ., ქალთა შორის მუშაობის, სამეცნიერო-გამოკვლევითი და სამხედრო მომზადების.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ლეჟავას მოხსენება ფინანსურ საკითხების შესახებ. მომხსენებელმა ნიშნა, რომ ორგანიზაციების ფინანსიურად განმტკიცებისათვის საჭიროა მოწესრიგდეს საწევრო გადასახადის აკრეფა, ანგარიშწარმოება; ყურადღება უნდა მიექცეს თანხების სწორ ხარჯვას. გამონახულ უნდა იქნეს შემოსავლის წყაროები, როგორიც არის ფასიანი ლექციის და საღამო - წარმოდგენების მოწყობა და სხვა.

ყურადღება უნდა მიექცეს სარევიზიო კომისიის შემადგენლობის შერჩევას.

მოხსენებებზე გაიმართა გაცხოველებული კამათი და აზრთა გაცვლა - გამოცვლა.

მესამე სხდომა

თათბირის მესამე სხდომაზე პირველად მოსმენილ იქნა ა. ს. ეგიკოვის მოხსენება მშრომელთა სამხედრო მომზადების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა რა სამხედრო მომზადების უდიდესი მნიშვნელობა დღევანდელ პირობებში, სთქვა, რომ სამხედრო მომზადება უნდა იდგეს თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. სამხედრო მომზადება უნდა წარმოებდეს ორგანიზაციების სამხედრო სექციების საშუალებით. ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო ცოდნათა წრეების მუშაობას, რადგან ეს წრეები წარმოადგენენ სამხედრო ცოდნის შეძენის მთავარ საფუძველს. შექმნილ უნდა იქნეს წრეების პროგრამები, ხელმძღვანელებათ მოწვეულ უნდა იქნან სამხედრო საქმის კარგათ მცოდნე პირები.

საჭიროა, რომ სამხედრო ცოდნათა წრეები იღებდნენ მონაწილეობას წითელი ჯარის მანევრებში, დღესასწაულებში და თვითონაც, დამოუკიდებლად, აწყობდნენ ლაშქრობას.

ყურადღება უნდა მიექცეს ქალების სამხედრო მომზადებას. მათთვის ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს სამხედრო სანიტარული წრეები.

სამხედრო სექციები და სამხედრო ცოდნათა წრეები აგრეთვე დახმარებას უნდა უწევდნენ ტერიტორიალურ ნაწილებს ცვალებად წითელ არმიელების და წვევამდელების მომზადების საქმეში.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ზარკიას თანამომხსენებლის კომკავშირის გასამხედროების შესახებ. ნათქვამი იყო აზრი, რომ საჭიროა კომკავშირელთა შორის სამხედ. მუშაობა [illegible] თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებამ. საჭიროა სათანადო წრეების შექმნა, ხელმძღვანელების შერჩევა და ლიტერატურის გამოცემა ეროვნულ ენებზე.

ამავე სხდომაზე ამხ. სტურუამ გააკეთა მოხსენება თავდაცვა - ავიაქიმის მუშაობის დაკავშირების შესახებ პარტიულ, პროფესიონალურ და სხვ. ორგანიზაციების მუშაობასთან.

დღეს დილის 11 საათზე შესდგება თათბირის უკანასკნელი სხდომა.

შინამრეწველთა კონფერენცია

მესამე სხდომა

გუშინდელ სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. დ. ნასარიძის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო 17 კაცმა.

კამათში მონაწილენი აღნიშნავდნენ შინამრეწველთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მიღწევებს საორგანიზაციო და კულტურულ დარგში.

ზოგიერთი ორატორები საჭიროთ სცნობდნენ საექიმო დახმარების გაძლიერებას მომავალში და ურთიერთდამხმარე სალაროს დაარსებას.

კამათში მონაწილენი მოითხოვდნენ აგრეთვე კავშირის გაწმენდას ზოგიერთ უცხო ელემენტებისაგან. აღნიშნავდნენ, რომ ერთი წლის წინათ კავშირში ადგილი ჰქონდა გაფლანგვას და ინტრიგებს. ამჟამად, ახალი გამგეობის ღონისძიებებით, ეს ფაქტები აღმოფხვრილია.

კონფერენციამ შინამრეწველთა კავშირის ცენტრალურ მმართველობის მუშაობა სცნო სრულიად დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. დ. ნასარიძის მოხსენება შინამრეწველთა საზოგადოების წევრთა კრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობაში ჩაბმის შესახებ.

როგორ იზრდება ზაჰესის ენერგიის მოხმარება

რამდენიმე ციფრი

ჩვენმა თანამშრომელმა თელასის სტატისტიკურ განყოფილებაში მიიღო ზოგიერთი ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ ზაჰესის ენერგიის მოხმარების ზრდას. მაგრამ ეს დამუშავებული ცნობები განყოფილებას მოეპოვება მხოლოდ პირველ ოქტომბრამდე, ოქტომბრისა და ნოემბრის ცნობები მზად იქნება მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ. მაისში ზაჰესი მუშაობდა მხოლოდ 10 დღე და ეს თვე შედარებისათვის მხედველობაში არ მიიღება.

ზაჰესთან პარალელურად მაშინ მუშაობდნენ ქალაქის ელექტრო სადგურებიც.

ივნისში ქალაქის სადგურებმა მოგვცეს 45.765 კილოვატ-საათი, ზაჰესმა კი —354,144. **ივლისში** ქალაქის სადგურებმა მოგვცეს 19.161 კილოვატ-საათი, ზაჰესმა—348.360. **აგვისტოში**—ქალაქის სადგურებმა—23.541 და ზაჰესმა—363.156. **სექტემბერში** —ქალაქის სადგურებმა—23,541 და ზაჰესმა—525.156 კილოვატ-საათი. შესაძლებელია, რომ აგვისტოს ციფრი რამდენათმე ნაკლებია ნამდვილ ციფრზე, ვინაიდან ამ თვეში არ იყო ჩაწერილი აბონენტების მიერ ნაჩვენები ზედმეტი დახარჯული ენერგია. სექტემბრის ციფრი კი შესაძლებელია გადაჭარბებულია აგვისტოში აღურიცხველად დარჩენილ ენერგიის ხარჯზე. ელექტრო-სადგურები დღემდე უმთავრესად მუშაობენ ენერგიის მისაწოდებლად მოტორებისათვის (მაგალითად—სტამბებში). საერთოდ, როგორც ამ ციფრებიდან ჩანს ზაჰესის ენერგიის მოხმარება თვიდან თვემდე თუმცა იზრდება, მაგრამ არც ისე სწრაფად.

ამის მიზეზ უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ არ იყიდება მოტორები წარმოებების გადასაყვანად ზაჰესის ენერგიაზე.

ამ უკანასკნელ დროს მდგომარეობა გამოკეთდა, ვინაიდან მიღებულია 300,000 მან. მოტორები.

მაგრამ საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზაჰესის აშენებამდე, ქალაქის ელსადგურებას ძლიერ არ ყოფილა დიდად დატვირთული მოტორებით. თელასის სტატისტიკური ცნობებით, ეს დატვირთვა (ე. ი. ელექტრო-ენერგიის მოხმარება სამრეწველო მიზნებისათვის) შეადგენდა არა უმეტეს 7 პროც. იმ ენერგიასთან შედარებით, რომელიც განათებაზე იხარჯებოდა. ივნის-სექტემბერში ეს პროცენტი შეიძლებოდ რომ შემცირებულიყო კიდევ.

ახალი აბონენტები

თელასის საკონტროლო განყოფილებაში ინჟ. მიროვიჩმა ჩვენ თანამშრომელს აცნობა, რომ დღემდე [illegible] ფაქტიური მუშაობის [illegible] ბაში („ელექტრო[illegible]ტროი" მონაწილეობას იღებს ზაჰესის [illegible] გაყვანაში ქალაქის განათების მიზნით), [illegible] ებულ იქნა [illegible]0,000-დე გეგმა და შევსებულ აბონენტებს 12.700 პირადი ბარათი.

დღემდე თელასმა [illegible] ჰესის ენერგია გაიყვანა 4.000 სახლში. [illegible] ში თანდათანობით გაადვილდება აბონენტებისათვის ზაჰესის სინათლის გაყვანა, ვინაიდან ბევრ სახლთან უკვე არის გაყვანილი [illegible] ტრალები. უნდა ითქვას, რომ 40 [illegible] გაყვანა უფრო ადვილია, თუ მაგისტრალი გაყვანილი, ვიდრე ერთი წერტილის გა[illegible] განაპირა უბანში მდებარე სახლში.

მაისამდე (ზაჰესის [illegible] ვების დრო) აბონენტებიდან ცოტა გან[illegible] ებები შემოდიოდა, აპრილში, მაგალითად [illegible] 50 განცხადება შემოვიდა. სამაგიეროდ [illegible] სში აბონენტები ერთბაშად მოგვაწყდნენ [illegible] თვეში 3000 მეტი განცხადება მივიღე[illegible] ივნისში, ივლისში და სხვა თვეებში ამდე[illegible] განცხადება შემოდიოდა.

მიუხედავად ამისა, რ[illegible] ც აღვნიშნეთ შესრულებულია 4.000 და[illegible]. ამას მიემატება კიდევ წელს 6.000 პი[illegible] რიგში საჭირო იქნება ზაჰესის ენერგიის [illegible] ყვანა 12.000 სახლში. საკონტროლო გან[illegible] ლება ფიქრობს, რომ მარტიდან სინათლის [illegible] ვანის საქმე უკეთ წავა.

მუშაობის საჩქარეზე გა[illegible] ს ახდენს აგრეთვე გასანათებელ ქსელ[illegible] ის [illegible] ქაოტიური შეერთება, რომელსაც ა[illegible] ჰქონდა წინად, როცა ენერგიას მხ[illegible] ელექტრო-სადგურები იძლეოდნენ. ზ[illegible] სახლში ენერგია გააყვანდათ მეტად პრიმიტ[illegible] წესით. სახლის სახურავს ხვრეტდენ [illegible] 5—6 ადგილას და სახურავზე იქმნებოდა [illegible] ულების ქსელი, რომელშიც არც [illegible] ოლია გარკვევა.

ეხლა კი მხოლოდ ორი ა[illegible] იდან შეიძლება ელექტროენერგიის გაყ[illegible] გერმანული სისტემის მიხედვით. საჭირო [illegible] პირველ ყოვლისა, ეგრედ წოდებულ, ნეიტ[illegible] ურ ადგილის მონახვა და გაყვანილობა [illegible] მოეწყოს ამ წერტილში, რაც საკმოდ [illegible] თულო საქმეა.

შეერთების წესი

დასასრულ, ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა თელასის გამგე ამხ. ცანავასთან.

ამხ. ცანავა აღნიშნავს, რომ ამჟამად ზაჰესის სინათლის გაყვანაზე თბილისში მუშაობს 250 მონტიორი. ყოველდღიურად ამათ გაჰყავთ 125 წერტილი, თვეში—4.000 დღემდე გაყვანილია 50.000 წერტილი. ამასთანავე არის ისეთი სახლები, სადაც მთელი თვეა საჭირო მუშაობა.

მონტიორებს ხელფასი ეძლევათ გაყვანილ წერტილების რაოდენობის მიხედვით. ამიტომ ისინი დაინტერესებული არიან იმით, რომ ჩქარა დაასრულონ მუშაობა, რაც უფრო მეტი იქნება აბონენტები, მით უფრო მეტი იქნება თელასის შემოსავალი; ამიტომ ის, ცხადია, ეცდება არ შეაფერხოს ქსელის გაყვანა.

იმ მიზნით, რომ მუშაობა რაც შეიძლება დაჩქარებით სწარმოებდეს, შემოღებულია ასეთი წესი: როგორც კი თელასის მონტიორი შევა სახლში სინათლის გასაყვანად ერთ-ერთი აბონენტის ბინაში, ყველა მის მეზობლებს შეუძლიათ მოელაპარაკონ მონტიორს შეერთების შესახებ და შეიტანონ სათანადო განცხადება თელასში. მათი დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება. ასეთი წესის წყალობით, ყველა დაკვეთების ორი მესამედი სრულდება რიგს გარეშე.

გარდა ამისა, თელასი დახმარებას უწევს იმ აბონენტებს, რომლებიც სინათლის გასაყვანად მიმართავენ კერძო მონტიორებს მაგალითად უმუშევარ სტუდენტების არტელს, სტუდენტების არტელი მუშაობს თელასთან შეთანხმებით და სახლების გეგმის გადაღებას ასრულებს ნორმალურ ფასში (55 კ.), ამ არტელთან არც ერთ აბონენტს არ ჰქონია რაიმე გაუგებრობა. არტელს ქსელი გაჰყავს ისე, როგორც ამას მოითხოვს თელასის ნორმები. მაგრამ ზოგიერთი კერძო მონტიორები არ იქცევიან ისე, როგორც საჭიროა: იყო შემთხვევები, როცა გეგმის შესრულებისათვის მონტიორმა აიღო 8 მან.—55 კ. მაგიერ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კერძომონტიორების მუშაობა ხშირად არაა დამაკმაყოფილებელი. სანამ აბონენტი კერძო მონტიორს მოელაპარაკებოდეს, ზედმეტი არ იქნება, რომ ამის შესახებ აცნობებდეს თელასს—თელასი არ ფიქრობს კერძო მონტიორების წინააღმდეგ ბრძოლას, ვინაიდან ეს არსებულ მდგომარეობაში არ იქნებოდა მიზანშეწონილი, მაგრამ შეძლებისდაგვარად სურს დაიცვას აბონენტების ინტერესები.

ნ.

საბჭოთა საქართველო

გემ „პინაის" შეკეთება

ფოთი, 29 დეკემბერი. ამას წინათ სოხუმის სანაპიროებთან დაზიანებული გემი „პინაი", რომელსაც საჭე გაუფუჭდა, ნავთსადგურის ქარხანამ შეაკეთა; გემი უკვე ზღვაში გავიდა.

ზვანის ჩაის ფაბრიკა

ოზურგეთი, 29 დეკემბერი. საზოგადოება „საქართველოს ჩაის" ზვანის სხივი ფაბრიკაში სწარმოებს მუშაობა დროებითი ლაბორატორიის მოსაწყობად.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რათა მან ნება დართოს, რომ მოეწყოს რკინის გზის ბაქანი მგზავრებისათვის და აგრეთვე იმ მიზნით, რომ დასავლეთი გურიის პლანტატორებს გაუადვილდეთ ჩაის ნედლი ფოთლების მიზიდვა ფაბრიკაში.

სასკოლო მშენებლობა

ახალსენაკი, 29 დეკემბერი. წინასწარ ცნობებით, წარსულ საბიუჯეტო წელში მაზრის მოსახლეობამ თვითდაბეგვრის გზით სასკოლო მშენებლობაზე დახარჯა 45.355 მან., საექიმო დახმარებისათვის 5.772 მან. (ადს).

აჭარისტანი

ჭოროხის ნაპირების გამაგრება

ბათომი, 29 დეკემბერი. რომ თავიდან იქნას აცილებული მდ. ჭოროხის ადიდება, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ხოლმე კახაბერის მინდორს და მახლობელ სოფლებს, აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა მდ. ჭოროხის ნაპირების გამაგრებას 10 კილომეტრის მანძილზე სოფ. კაპანდიბიდან შავ ზღვამდე (ადს).

წერილები

მიზანშეწონილი საქმიანობა

მიმდინარე წელში საქართველოს ზოგიერთი რაიონები, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში ჭირნახულის მოუსავლიანობის მხრივ ძლიერ დაზარალდნენ. მოსახლეობის უმრავლესობას დასჭირდება საკვების შეძენა. მოუსავლიანობამ საგრძნობლად აწია სიმინდის ფასები და დღეს მისი შეძენა ძნელდება ღარიბ გლეხობას. გაზაფხულიდან კი თუ აქედანვე არ იქნა გადამჭრელი ზომები მიღებული, მოსალოდნელია მდგომარეობის კიდევ უფრო გართულება, მაგრამ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული ორგანოები თავიდანვე შეუდგნენ სამზადისს [illegible] იაფ ფასებში სიმინდის მისაწოდებლად.

ცეკავშირი ამიერ-კავკასიაში ამზადებს დიდძალ სიმინდს სოფლად კოოპერატივების მოსამარაგებლად, ეს სიმინდი გაიყიდება ორჯერ უფრო იაფად არსებულ ფასებთან შედარებით.

თავის მხრივ არც სამაზრო აღმასკომები არიან გულხელდაკრეფილნი. ისინიც შეუდგნენ სამზადისს შიმშილობის თავიდან ასაცილებლად. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით სენაკის სამაზრო აღმასკომმა გადადგა, რომელმაც შეადგინა განსაკუთრებული კომისია ამ მუშაობის ხელმძღვანელობად. კომისიამ წინადადება მისცა სათემო აღმასკომებს შეადგინონ სათანადო სიები იმ პირების, რომელთაც სიმინდის შეძენა დასჭირდებათ და აგრეთვე მოაგროვონ ფული ფუთზე მანეთნახევარი და გადასცენ კოოპერატივებს.

გლეხკომებს კი ევალებათ აღრიცხონ ის საშუალებანი, რომელნიც მათ გააჩნიათ, რათა ეს თანხები გამოყენებულ იქნეს ღარიბი გლეხობის დასახმარებლად, რომელთაც არ ძალუძთ წინდაწინ სიმინდის საფასურის გაღება.

სენაკის აღმასკომის ეს ნაბიჯი ფრიად დროულია და მიზანშეწონილია. ასეთი კომისიების შექმნა უსათუოდ საჭირო იქნება კიდევ ზოგიერთ მაზრებში, რომელნიც მოუსავლობით დაზარალებულნი არიან.

საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ ყოველგვარი დიდი საქმე კეთდება საზოგადოებრივი ინიციატივით. მოუსავლიანობით დაზარალებულ გლეხობის ჭირნახულით უზრუნველყოფაც სწორედ კოოპერატიულ და საბჭოთა ორგანოებმა უნდა იკისრონ. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე გლეხობის სათესლე სიმინდით მომარაგებას, რომ მომავალ წელში არ დარჩეს დაუთესავი არც ერთი დესეტინა სავარგისი მიწა.

დამშეული რაიონების საბჭოთა და კოოპერატიული ორგანოები აქედანვე უნდა შეუდგნენ შესაფერ მუშაობას ამ მიმართულებით.

ძურული.

მტკივნეული საკითხი

(წერილი ზემო-სვანეთიდან)

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ვიდრე გასაბჭოებამდე მთელ სვანეთს „ემსახურებოდა" ერთად-ერთი ისეთი საფერშლო პუნქტი, რომელშიაც საჭირო წამლების გარდა ყველაფერს იპოვიდით და 1908 წლიდან ამგვარ პირობებში მყოფი ერთი საექიმო პუნქტი, ამჟამად აქ გახსნილია ხუთი საფერშლო და ორი საექიმო პუნქტები, კბილის ექიმის კაბინეტი, ერთი ცენტრალური საავადმყოფო საჭირო შტატით და მედიკამენტებით.

მესტიის საავადმყოფოს გამგეს დოსტაქარ უკლებაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის სვანეთში, მაგრამ მის ნაყოფიერ მუშაობას აფერხებს საავადმყოფოს შენობის უვარგისობა. ამიტომ მაზრაღმასკომმა გადასწყვიტა მესტიაში ცენტრალური საავადმყოფოსთვის შესაფერის შენობის აგება, რასაც გაზაფხულიდან შეუდგება.

ამ წერილის მიზანს შეადგენს, ხაზი გაუსვას იმ გაჭირვებულ მდგომარეობას, რომელსაც ქმნის სვანეთში აბანოს უქონლობა.

სვანეთის მთებიდან მომდინარე მდინარეები იმდენად ცივია, რომ მოსახლეობა ზაფხულშიაც კი მოკლებულია მათში ბანაობის საშუალებას. ხოლო სუსხიან ზამთარში პრიმიტიულ სვანურ სახლებში ბანაობა შეუძლებელია. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას ქალების მდგომარეობა იქცევს. საუბედუროდ სვანეთის მოსახლეობა ისევ მისდევს ძველ მავნე ტრადიციებს, რომლის მიხედვით თვიურ ავადმყოფობისა და მშობიარობის დროს, ქალებს ხშირად ათავსებენ უკაცურ სახლებში, ან ჯახგლებში ამ ავადმყოფობისაგან განთავისუფლებამდე და სამჯერ ტანის დაბანამდე, სადაც ისინი ხშირად ცივდებიან, იძენენ ქალთა სხვადასხვა ავადმყოფობას და სამუდამოდ კარგავენ ჯანმრთელობას.

საჭიროა ყოველ მიზეზს გარეშე ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ჯანმრთელობის კომისარიატმა და გაიღოს სვანეთში ორ ადგილას: მესტიაში და ბეჩოში აბანოების ასაგებად 3.000 მანეთი. დანარჩენ თანხას სვანეთის მაზრაღმასკომი გადადებს თავის საშუალებებიდან. ხოლო საშენ მასალას: კირს, ქვიშას, ქვას, ხე-ტყეს ადგილობრივი მოსახლეობა მიიტანს ადგილზე.

სათანადო შუამდგომლობა ამ საქმისათვის, ჯერ კიდევ გასულ წელს იქნა აღძრული ჯანსახკომის წინაშე, რომელმაც თანხმობა განაცხადა დაკმაყოფილებაზე. მაგრამ დღემდე ეს საქმე არ განხორციელებულა. ვიმედოვნებთ, რომ მას მალე მოაგვარებს ჯანსახკომისარიატი.

ეგნ. გაბლიანი.

ქ. ონი, რაჭის მაზრა

გვიხსენით ჩარჩებისაგან

ქალ. ონში არსებობს კოოპერატივი, რომელიც წინეთ მომარაგებული იყო ყოველგვარი საქონლით. ნავთის გაყიდვის უფლება კი მარტო კოოპერატივის ხელში იყო მაგრამ ამ ბოლო ხანებში კოოპერატიული სავაჭრო დაცარიელდა. მას არა აქვს ნავთი და მარილიც კი, რაც აუცილებლობას შეადგენს გლეხობისათვის. ამით დრო იხელთეს კერძო ვაჭრებმა, ისინი დადიან სოფლებში, დააქვთ, როგორც ნავთი ისე მარილი, ისე ფართალეულობაც და როგორც მოეპრიანებათ ისეთ ფასებში ყიდიან.

თუ მალე დროში კოოპერატივს საქონელი არ მოუვიდა, გლეხები ძალზე დაზარალდებიან.

საჭიროა კოოპერატივის გამგეობამ მიიღოს ზომები ჩარჩების ალაგმვისათვის და სავაჭრო საქონლით მოსამარაგებლად.

მახვილი.

ფოსტა იგვიანებს

(სოფ. ძიმითი. გურია)

ჩვენი სოფელი საფოსტო ამანათებს ღებულობს ნაგომრის სარაიონო ფოსტიდან, მაგრამ ძლიერ ხშირად ოთხი-ხუთი დღე აგვიანებს გაზეთების მიღებას.

საჭიროა ნაგომრიდან ფოსტა იგზავნებოდეს ყოველდღე.

გ. მორჩილაძე.

შორაპნის მაზრა

ჩვენ რაღა დავაშავეთ

ყველა მუშა-მოსამსახურეებს ეკუთვნით ორი კვირის შვებულება, მაგრამ შორაპნის მაზრაში ხიზ-სამკითხველოების გამგეებს, საექიმო პუნქტებისა და აღმასკომების მიკროკები შვებულებით ვერ სარგებლობენ, რადგან ეს ხარჯები არ არის გათვალისწინებული სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტში. ზემოხსენებულ პირებს ისედაც ზედმეტი მუშაობა უხდებათ უსასყიდლოდ და შვებულებას მაინც რაღას ემართლებიან?

საჭიროა განათლების მუშაკთა პროფკავშირის შორაპნის სამაზრო განყოფილებამ მიიღოს ზომები ამის შესახებ და აიძულოს ადმინისტრაცია, რათა დაკმაყოფილებულ იქნენ შვებულებით ზემოხსენებული დარგის თანამშრომლები და მომავალში ბიუჯეტში იქნას გათვალისწინებული მათთვის შვებულების მისაცემი ხარჯები.

მექოხე.

ზესტაფონი, შორაპნის მაზრა

რისთვის მოხსნეს?

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო სკოლას განაგებდა სოსო გიორგაძე, რომელსაც დიდი შრომა მიუძღვის ამ სკოლაში. დღეს რატომღაც გიორგაძე მოხსნილია თავის თანამდებობიდან, რაც შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ალბად აქ რაღაც ინტერესებს აქვს ადგილი, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს შორაპნის მაზრის განათლების განყოფილებამ.

ვაკელი.

მზადება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის

გუშინ, 30 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში შესდგა სპეციალური თათბირი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ წარმოდგენილ დეკრეტის პროექტი განსახილველად. თათბირს დაესწრო განათლების კომისარიატის, ფინსახკომის, მიწად-მოქმედების კომისარიატის, საქ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს და განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები.

თათბირმა განიხილა წარმოდგენილი პროექტი და დაადგინა: საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებად სამზადისი მუშაობა დაიწყოს 1928—29 სასწავლო წლიდან და დამთავრდეს 1934 წ., ამ შვიდი წლის განმავლობაში იწარმოებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის ყოველგვარი სამზადისი მუშაობა და შეიქმნება პირობები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების დასაკანონებლად.

1934—35 წლიდან კი დაიწყება საყოველთაო-სავალდებულო სწავლება მთელ საქართველოში.

შემდეგ თათბირმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენი მოწაფე უნდა იყოს პირველ საფეხურის სკოლების თვითეულ ჯგუფში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების დროს.

ამ საკითხის შესახებ თათბირმა მიიღო განათლების კომისარიატის წინადადება და დაადგინა: ქალაქში 4 წლედების ჯგუფებში მოსწავლეთა რიცხვი განისაზღვროს 40 მოწაფით, სოფლად კი—30 მოწაფით.

ამის შემდეგ თათბირმა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებათ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი მიიღო საბოლოოდ.

შავ ზღვის რკინიგზა

როგორც ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს შავი ზღვის რკინიგზის საამშენებლო სამმართველოში, ამჟამად ინტენსიური მუშაობა სწარმოებს ქ. ზუგდიდის შესაერთებლად — რკინიგზის შტოთი — სადგურ [illegible]თან, სადამდისაც გაყვანილია შავი ზღვის რკინიგზა.

ამ შტოს გაყვანა 5 კილომეტრის სიგრძეზე დამთავრდება 1928 წ. მარტში.

მდ. ინგურზე ხიდის ასაგებად ყველაზე უფრო მთავარი და საძნელო სამუშაო — ქვის ბჯენების ამოყვანა — უკვე დამთავრებულია.

ინგურის ხიდი, რომელიც 2 წელიწადია, რაც შენდება, იქნება ყველაზე უდიდესი ა.-კ. რკინისგზის ხიდებთან. ამ ხიდის სიგრძე უდრის ნახევარ კილომეტრს.

ტყვარჩელის შტო

შავი ზღვის რკინისგზის საამშენებლო სამმართველო უკვე ამთავრებს ტყვარჩელის შტოს გასაყვანად წარმოებულ წინასწარ კვლევას, რაც დავალებული ჰქონდა საქ. ს. მ. ე. ს. მიერ: შტოს ექნება 35 კილომეტრის სიგრძე და ოჩემჩირეს შეაერთებს ტყვარჩელთან.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

საზღვარგარეთიდან და საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებიდან შემოტანილ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესამოწმებლად, თბილისში მოწყობილია გამომცდელი სადგური. სადგურის ხელმძღვანელად დანიშნულია პროფ. ამირაჯიბი. სადგურის მიზანია მანქანების ღირსებასთან ერთად გამოიკვლიოს,—საქართველოს რომელ მაზრაში რა სისტემის მანქანა უფრო იქნება გამოსადეგი ამის მიხედვით სადგური ახდენს მანქანების განაწილებას მაზრებს შორის.

მიმდინარე საანგარიშო წლის დამდეგს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მუშაობდა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო მანქანები: 56 ტრაქტორი, 2665 გუთანი, 170 სათესი მანქანა, 120 სამკალი, 40 ტრიერები, 100 სანიავებელი და 150 სალეწი მანქანა. ყველა ეს მანქანები შემოწმებულია აღნიშნულ სადგურის მიერ. ტრაქტორზე მუშაობის შესასწავლად წელს თბილისში მოეწყო 5 თვიანი კურსები, სადაც სწავლობდა 120 კაცი, უმთავრესად სას.-სამ. არტელების წევრები. წელს ჩატარებული იქნა ტრაქტორების მდგომარეობის გამოკვლევა და მათი შეკეთება.

მიწსახკომმა გადასწყვიტა მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად მოძრავი სახელოსნოები რომლებიც გადაგზავნილი იქნებიან მაზრებში.

კოლექტიური ხელშეკრულება

გავითვალისწინოთ ეს გარემოება

ტყავ-ტრესტისტრესტთან არსებობს ქეჩა-ნაბდეულობისა მატყლის სარეცხის განყოფილებით. ერთად-ერთი ქარხანაა ჩვენს ტრესტში, რომელმაც მოგვცა ყველაზე მეტი პროდუქციასთან მოგებაც, რომლითაც დაიფარა ქარხნების ზარალი.

აღნიშნულ ქარხნის მუშები, ისე ხელმძღვანელები. ოსტროვი და ქურქჩიევი, მეტად მხნე ეკიდებიან საქმეს და სერიოზულ რაღლება აწყობენ წარმოებას, მაგრამ სამწუხაროდ მთავარი ადმინისტრაცია ქარხანას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს, რაც არ დაუშვებელია.

ქარხანაში 100 მუშა მუშაობს, მოთხოვნილება იმდენია, რომ ქარხანა მას ოდნავადაც ვერ ფილავს. ერთხანს დაიწყეს მუშაობა ორად. მაგრამ ერთი თვის შემდეგ ისევ შეამცირეს მიღებულ 40 მუშას დაუთვლელად ხელფასი და ფეხსაცმელები, რომლებიც თხოვნისას უკანვე ჩამოართვეს და დღეისათვის არის ცნობილი. ეს მოხდა დაბოლი, რამაც საგრძნობი ზარალი მიაყენა. გარდა ამისა ადმინისტრაცია ქარხ. აძლევს თავის დროზე ნედლ მასალებისათვის დარბიან იმ დროს, როცა უკვე კილო ილევა და მუშები ეგრეთწოდ. „პრასტოიში" ვარდებიან. ოთხ თვეზეა მატყლის სარეცხის საშრობს ორთქლმავალს უცდიან რაღაც კომისიას. მშრალ სუსტია და ვერ აშრობს მატყლს გავდიდათ ქარხანაში მთლიანად უნდა ისე დეს მუშაობა.

ვერ იქნა და ვაგვარეს ამ ქარხნისათვის ტრანსპორტიც, რაც დიდად აბრკოლებს ქარხნის მუშაობას. ვერ არის მიზანშეწონილი ნ, რაც უკმაყოფილებას ქმნის მუშებში. ვიკატორი ალიხანოვი საათით ხელში უსვამს მუშებს ნორმას. უნდა ითქვას, რომ მოყვარე და ენერგიულ მუშებთან ერთად არ არის დასაშვები, არ ექცევიან იმას, რომ ზოგი მატყლი ადვილია და ზოგი კი ძნელი. ყველა ჯურის ერთ ხარისხად ირჩევა, რის გამოც მუშები ვერ იღებენ თანასწორმიდგომილობრივ მატყლის სარეცხ განყოფილ უნდა დაიგოს ცემენტის ფილები ტაკებისათვის, რაც საგრძნობლად გაფისებს განყოფილებაში მატყლის გადაადმოტანას.

ყოველივე ამას ყურადღება უნდა მიექცეს ახალ კოლხელშეკრულების დადების დროს და მიღებული იქნება ყოველგვარი ნაკლის გამოსასწორებ.

რისხვა.

„[illegible]ბაში"

8 დეკემბერს, „თემქა"-ს მუშა-მოსამსახურეების საე. კრება, სადაც ახალი კოლხელშეკრულების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფირალმა. კრებამ განიხილა აგრეთვე ახალი სატ. ცხრილი. მუშებმა კოლხელშეკრულების განხილვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. მოითხოვდნენ შრომის პირობების [illegible] ჩამორჩენილ მუშების ხელფასის გადიდება ხელფასის სხვადასხვაობის მოსპობ. აღნიშნეს ძაფი მუშების ხელ სიმცირე და მოითხოვეს ამ ნაკ. გამოსწორება ახალი სატარიფო ცხრილებისა და დამტკიცების დროს. მუშა ბევრი შეეხო ქარხანაში შრომის პირობების [illegible] საკითხს და მოითხოვა ქართან მოეწყოს აბანო. მუშები უმთავრესად აღნიშნავდნენ ჩამორჩენილ მუშების ხელფ. სიმცირეს.

კოლხელშეკრულება მოაგვარებს

ფაბრიკა-ქარხნებში და უმთავრესად ა.-კ. რკ. გ. მთ. სახელოსნოში ბევრია კვალიფიციური მუშები, რომლებიც ჩამორჩენილი არიან ხელფასის მხრივ. ეს იმ დროს, როდესაც ისინი ეწევიან თავდაუზოგავ შრომას და ერთ წუთსაც არ კარგავენ უსაქმოდ. ზოგიერთი მუშები კი, თუმცა ისინიც კვალიფიციურები არიან, მაგრამ უფრო კუთხეში მასლაათობაში და პაპიროსის მოწევაში გატყავთ 8 საათის თითქმის მესამედი დრო ხელფასით მაინც უზრუნველყოფილნი არიან. რატომ, ან რისთვის ხდება ასე? იმიტომ, რომ ჯერ თანრიგი დიდი აქვს, მეორეც ნარდი მუშაობის შეფასების დროს ხშირად აქვს ადგილი ჯგუფურ, ან უფრო სწორად, კუთხურ გადახრას, რაც მუშებში იწვევს ქიშპობას და უკმაყოფილებას ერთმანეთისადმი. ჩამორჩენილი მუშები თხოულობენ შეფასების გადასინჯვას და თანრიგის აწევას, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.

საჭიროა ახალ კოლხელშეკრულებაში მაინც მოგვარებული იყოს ეს საკითხი. ამისთვის საჭიროა კვალიფიციური მუშები დაშვებულ იქნენ გამოცდებზე და თანხმად გამოცდის ჩაბარებისა მოემატოთ მათ ხარისხი. მეორეც, გადასინჯულ იქნეს შეფასებები და მოსპობილ იქნეს შეფასებების სიჭრელე.

მ. ღ. ტ. ი.

ტრამვაელებში

ოთხშაბათს, 7 დეკემბერს, ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გაბაშვილი. დღის წესრიგში იყო კოლექტიური ხელშეკრულების პროექტის განხილვა.

მოხსენებით გამოვიდა კომუნალურ მეურნეობის კავშირიდან ამხ. მარიამიძე. მან საერთო კრებას გააცნო ხელშეკრულების პროექტის ყველა მუხლები და მოუწოდა მუშებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი და ხელშეკრულებაში შეეტანათ რაიმე ახალი მუხლები. კოლექტიური ხელშეკრულება განხილულ იქნა მუხლობრივად. მუშებმა ხელშეკრულებაში შეიტანეს მრავალი საჭირბოროტო გადაუჭრელი საკითხები. მაგალითად, მე-14 მუხლის განხილვის დროს საერთო კრებამ შეიტანა წინადადება, რათა შეტანილი ყოფილიყო მუხლი ტრამვაის მუშა-მოსამსახურეების ოჯახის წევრებზე ცალ-ცალკე უფასო წიგნაკების გაცემის შესახებ. ხელშეკრულების განხილვის შემდეგ, მომხსენებელმა წაუკითხა ციფრები მუშების სატარიფო განაკვეთისა.

დასასრულ გაიმართა წერილობითი შეკითხვები, რომლებზეც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა მომხსენებელმა. კამათში გამოსული მუშები აღნიშნავდნენ საჭირბოროტო საკითხებს და მოუწოდებდნენ როგორც კომუნალურ მეურნეობის კავშირს, ისე ადმინისტრაციას, დაეცვათ კოლექტიური ხელშეკრულება.

ამხ. მარიამიძე საბოლოო სიტყვაში კავშირის სახელით შეპირდა მუშებს, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

ბ. ხ.

სესხის საკითხი კოლხელშეკრულებაში

ახალი კოლხელშეკრულებაში შეტანილი მუხლი, რომლის მიხედვით მუშა-მოსამსახურეებს კოოპერატივებიდან მიეცემათ გრძელვადიანი სესხი. აგრეთვე მიეცემათ შეშა ნისიათ. ცოლშვილიანებზე ნახ. საჟენი, მარტოხელებს, რომლებსაც ჰყავთ სარჩენი 1/4 საჟენი, ხოლო მარტოხელებს 1/8 საჟ. შეშის გაცემა იწარმოებს ზაფხულის პერიოდში.

კოლხელშეკრულების პროექტში შეტანილია აგრეთვე მუხლები წარმოებებში მუშების შრომის სანიტარულ და ტექნიკურ პირობების გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის რუქა

საბჭოთა საქართველოს დღემდე არ გააჩნია ერთი მთლიანი ეკონომიური რუქა.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად იკისრა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა და 1924 წ. დაწყებულ იქნა მთელი საქართველოს რესპუბლიკის კილომეტრიანი ეკონომიური რუქის შესადგენად. რუქის შედგენა დაევალა ტოპოგრაფ ევსევი ბარს, რომელიც შეუდგა ამ საქმეს კავკასიის ტოპოგრაფიულ კორპუსის ყოფ. თანამშრომლის მონაწილეობით.

მუშაობა დღემდე უწყვეტლად მიმდინარეობს.

საქართველოს რესპუბლიკის რუქის შედგენას საფუძვლად დაედო არსებული კარტოგრაფიული მასალა. მასალები შეივსო და შესწორდა ადგილზე აგეგმვის და დათვალიერების საშუალებით. რადგან რუქის შედგენა საგრძნობ [illegible] ებს მოითხოვს, რაც მიწად-მოქმედების კომისარიატს არ გააჩნია, ამიტომ განზრახულია მაზრების რუქების გამოცემა სამაზრო აღმასკომების ხარჯზე.

ამჟამად დამზადებულია თბილისის, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის, დუშეთის, გორის, შორაპნის, რაჭა და ლეჩხუმის მაზრების და სამხრეთ-ოსეთის რუქების ორიგინალები. დანარჩენ რუქების შესადგენად სწარმოებს მუშაობა. საბოლოოდ მივიღებთ საქართველოს ტოპოგრაფიულ ატლასს, რომელიც მოთავსებული იქნება 24 ფურცელზე.

თბ. მაზრის რუქა

ტოპ. ბარამიძემ თბილისის აღმასკომის დავალებით შეადგინა თბილისის მაზრის რუქა რომელიც უკვე გამოცემულია. ასეთი რუქა პირველია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. რუქა მეტრიულ სისტემითაა შედგენილი, მთები აზნეულია ჰორიზონტალებით (მეტრის გაკვეთით) და დაბეჭდილია ფერად. ამრიგად შედგენილი რუქა საშუალებას გვაძლევს ცხადად წარმოვიდგინოთ ზღვის დონთან შეფარდებით ჩვენი ქვეყნის სიმაღლე სხვადასხვა ზომები.

თბ. მაზრის რუქის მეორე ღირსება ის არის, რომ მასზე აღნიშნულია ყველა დასახლებული პუნქტები. ძველი და ახალი გზები, არხები და სხვა, რაც ძველ რუქებზე არ არის. რუქას დართული აქვს გეოგრაფიული ნომენკლატურა. აღდგენილია ისტორიული პუნქტები.

რუქას მნიშვნელობა აქვს როგორც ტოპოგრაფიულ, ისე ადმინისტრატიულ და პოლიტიკურ თვალსაზრისით. მასზე აღნიშნულია საზღვრები რესპუბლიკის, მაზრის, სამილიციო რაიონების და თემების. აღნიშნულია ბაღ-ვენახები, სათიბ-საძოვარი ადგილები და სხ.

შედგენილი რუქა მიიღო თბილისის აღმასკომის მიერ დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ: ამხ. გავაშელი. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ა. ბენაშვილი, ინჟ. ქურდიანი, აგრ. ვაწაძე და იურისკონსულტი ჯუღელი. კომისიამ რუქა ფრიად დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და მოიწონა.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ასეთი რუქა ჯერ არ გამოცემულა საქართველოში. იგი მიუთითებს, რომ რუქაზე სისწორით არის აღნიშნული ახალი და ძველი გეოგრაფიული სახელწოდებები, ნასოფლარები, სოფლის ნანგრევები და ისტორიული პუნქტები.

პროფ. ბენაშვილის აზრით ტოპოგრაფ ბარამიძეს დიდის გამოცდილებით დაუმუშავებია რუქა და შეუტანია შიგ შესწორებები საერთაშორისო გეოგრაფიულ საზოგადოების გეგმის თანახმად.

პროფ. ბენაშვილის სიტყვით, რუქა საქართველოში და საერთოდ საბჭ. კავშირში დღემდე გამოცემულ რუქებზე უკეთესად არის დამზადებული.

ამრიგად საქართველოს ტოპოგრაფიულ ატლასის შედგენის საქმის ერთი ნაწილი უკვე შესრულებულია.

ფანერის ექსპორტი

ა.-კ. სახვაჭრობაში მიღებულ ცნობების თანახმად ახლო აღმოსავლეთის ბაზარზე (სადაც გაგზავნილი იყო ჩვენ ფანერის ნიმუში) მოთხოვნილება ფანერზე ჩვენდათან იზრდება. ა.-კ. სახვაჭრობამ მიიღო მეტი ფანერის წარმოების გასაფართოებლად

საქართველოს ტყეო მრეწველობის ტრესტს დაევალა 500 კუბ. მეტრი საექსპორტო ფანერის დამზადება.

გარდა ამისა ა.-კ. ვაჭრობის სამმართველომ მიიღო ყუთების მასალის მოთხოვნილება ალექსანდრიიდან და ჩრდილო ამერიკიდან. ახლო მომავალში ა.-კ. სახვაჭრობის სამმართველო აღნიშნულ ადგილებზე გზავნის ყუთების მასალის პირველ პარტიას.

სასამართლო

ნატალია წიკლაურის საქმე

ამ რამდენიმე წლის წინ ნატალია წიკლაური მოითხოვა ვინმე გიგი არაბულს სოფელ პალდოში (თბილისის მაზრა).

პირველ ხანებში ცოლქმარს კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ ჩქარა გიორგი არაბულმა „გუნება" იცვალა. შეუგუებელი და უკმეხი გახდა ცოლს რაც რომ გაეკეთებინა, ავად ჩაუთვლიდა. ეჩხუბებოდა, აგინებდა და არ ზოგავდა არაფერს ოღონდ ცოლისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა.

აუწერელ შევიწროვებას იტანდა ქალი. ყოველმხრივ ცდილობდა არ მიეცა ქმრისთვის გაჯავრების საბაბი, მაგრამ ქმრის გულის მოგება არ იქნა.

ერთ მშვენიერ დღეს გიორგიმ თავის ცოლს აუკრა ბარგი და გარეთ გამოაგდო.

სად უნდა წასულიყო ქალი. ერთად-ერთი გზა იყო —მშობლებთან დაბრუნება.

— რაღა გამიგდო. ისევ ჩემ მშობლებს ჩამოვეკიდო კისერზე? მერე რას იტყვიან? ავე მე გამამტყუნებენ. ფიქრობდა ქალი. ხელი ვერ შეუწყო ქმარსო. დედასთან კიდევ გავბედავ მისვლას, მაგრამ მამინაცვალს როგორ უნდა დავეხსნა?.. ეჰ! მეტი რა ჯანია!

ასე ლაპარაკობდა თავისთავის ქალი და მიდიოდა თავის მშობლების სახლში. ავათ იყო, თუ კარგად ქალი მიიღეს მშობლებმა, თუმცა მამინაცვალი—პავლე ბადრიაშვილი—უკმაყოფილოდ უყურებდა თავისთვის, რომ სარჩენი სხვაც ბევრი ყავს და სხვ...

ცოტა ხნის შემდეგ მშობლებმა შეამჩნიეს, რომ ქალი ფეხმძიმეთ არის. ეს ამბავი ყუმბარასავით გასკდა მთელ ოჯახში. ასტყდა ერთი დავიდარაბა.

— სხვისი ცოლშვილი კი არა. ჩემი ვერ მირჩენია. მაგიც მე ვარჩინო, მაგისი შვილიც? იქნება შემდეგ ისი ქმარის რჩენაც დამავალოს. მიბრძანდი,საიდანაც მობრძანებულხარ...

ასეთი იყო მშობლების წინადადება.

რა ჰქნას ქალმა, სად წავიდეს, ვინ მიიღებს?

—რა ჯანდაბისთვის გავიჩინე ეს შვილი, რა ღმერთი გამიწყრა. ფეხმძიმეთ რომ არ ვიყო, იქნებ მშობლებს არაფერი ეთქვათ,—ასეთ ფიქრებში გართული ნატალია მივიდა ერთ მეტად მძიმე და საშინელ გადაწყვეტილებამდე.

უკვე მოახლოვდა მშობიარობის დღე. სწორედ იმ დღეს, როცა ქალს ბავშვი ეყოლა, სახლში მის გარდა არავინ იყო.

ჯერ დედამ მიუალერსა პაწაწა ჩვილს გულზე, შემდეგ აიღო ცხვირსახოცი, რომლითაც ცრემლებს იწმენდდა, ჩასჩრა ბავშს პირში, დააფარა ხელი და დაახრჩო.

ასე გამოაკლო მშობლების ოჯახს ერთი „სარჩენი".

ნატალია წიკლაურის ქალი მიცემულია პასუხისგებაში. მისი საქმე გაირჩევა სამაზრო სასამართლოში 30 იანვარს.

ვერ.

„შენ შენთვის, მე ჩემთვის"

— ხომ ხედავ, ჩვენ ერთმანეთს ვერ ვეწყობით. ჩემსა და შენს შორის ისეთი უფსკრული გაითხარა, რომლის ამოვსება ყოვლად შეუძლებელია. უმჯობესია დავშორდეთ. თუ ჩემში კაციობაა, ჩემი ჯამაგირის ნახევარს შენ დაგითმობ. იცხოვრე შენ—შენთვის, მე—ჩემთვის.

მეტი რა ჯანი იყო—ნადეჟდა ლარიბოვისამ თავისი წვრილი ქალ-ვაჟი თან წაიყვანა და სხვაგან გადასახლდა.

პირველ ხანებში ქმარი—რუბენ ლარიბოვი—პატიოსან სიტყვას არ ღალატობდა, მაგრამ ბოლოს სამი თვე ისე გაქიდა, რომ სამი კაპეიკიც არ გაუგზავნია ბავშვებისა და ყოფილ ცოლისათვის.

ნადეჟდა დაავადმყოფდა.

აღიძრა საჩივარი სასამართლოს წინაშე. ქალი ითხოვდა ბავშვების სარჩოსა და ამასთანავე სამკურნალოთ ერთდროულ დახმარებას.

— მე მომეცი ბავშვები. მე უკეთ მოუვლი და თვითონ სადაც უნდა იქ წავიდეს. მე ხაზინა კი არა ვარ, რომ რამდენიც მაგას მოეპრიანება იმდენი ვაძლიო. ეს სამკურნალოო, ეს ბავშვებისაო... ასე გამოდის, რომ მე მაგის რჩენის მეტი არაფერი არ უნდა ვაკეთო, სადაური სამართალია?—გაკვირვებით გაიძახოდა სასამართლოში რუბენ ლარიბოვი.

სასამართლომ დაადგინა: რუბენმა ერთდროულად თავისი ყოფილი ცოლის სამკურნალოდ გაიღოს 120 მანეთი, ხოლო ყოველთვიურად ხელი აიღოს ჯამაგირის ნახევარზე, რომელიც უნდა მოიხმაროს ნადეჟდამ ბავშვების გამოსაზრდელად.

— ეხლა „შენ—შენთვის და მე—ჩემთვის", გაუმეორა ნადეჟდამ თავის ყოფილ ქმარს.

გაფლანგვა

ნიკოლოზ ხვედელიძე და სევერიან დათუაშვილი მსახურებდნენ მოლარეებად თბილისის სამარგო სადგურში.

1925 წლის 1 იანვრიდან ა.-წ. ივნისის ბოლომდე ნიკოლოზ ხვედელიძეს გაუფლანგავს 9000—მანეთამდე. ხოლო სევერიან დათუაშვილს—2000 მანეთ.

მათ მიუთვისებიათ აღმასკომის სარგებლოდ დაწესებული საფუთო გადასახადი.

საქმე მალე გაირჩევა.

მანე.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

თბილისის მილიციის უფროსმა ამხ. ხმალაძემ, წინადადება მისცა ქალაქის ყველა რაიონების მილიციის უფროსებს, რათა ახალი წლის ღამეს, წესრიგის დაცვის მიზნით გააძლიერონ პატრულები ქალაქის ყველა უბნებში.

ყოველი მოქალაქე სროლისათვის მიცემული იქნება სასტიკ პასუხისგებაში.

ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანა

წარმოებების ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანის დაჩქარების მიზნით, თბილისში არსებულ ყველა ფაბრიკა-ქარხნებს და წარმოებებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ შეუდგენ სათანადო წინასწარ მუშაობას. იმ წარმოებებმა, რომელთაც უკვე მიიღეს საჭირო მანქანები, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მათი დადგმა, ხოლო იმ წარმოებებმა, რომელთაც ჯერ მანქანები არ მიუღიათ უნდა დაიწყონ ელექტრო გამტარ მავთულების გაყვანა და შესაფერი არმატურის მოწყობა.

ადგილებმა სათანადო ახსნა-განმარტებისათვის უნდა მიმართონ ს. მ. ე. ს.-თან არსებულ სპეციალურ კომისიას.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის დავალებით, კომისარიატის სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტის ელექტრო-ტექნიკურმა სექციამ დაამტკიცა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის გეგმა, რომლის მიხედვით სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია მოხდება ზაჰესის ენერგიით. ამ მიზნით რკინისგზის ხაზის გასწვრივ გაყვანილი იქნება ელექტრონის გამტარებელი ქსელი.

რიონჰესის დამთავრების შემდეგ ზაჰესის ენერგიას შეუერთებენ რიონჰესის ენერგიას და მოხდება მთელი რკინისგზის ელექტროფიკაცია საქართველოში.

საქარხნო მოწყობილობის დამზადება

თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ შეადგინა საქარხნო მოწყობილობის დამზადების გეგმა 1927—28 წლისათვის.

ამ გეგმის მიხედვით, წელს ქარხანა დაამზადებს 300.000 მანეთის ნაწარმოებს. მათ შორის 1560 ფანჯრის ჩარჩოს, 1000 კარს, 446 ეტლის და ფურგუნის ბორბალს, 40.000 ყუთს [illegible] ამას გარდა ქარხანა შეაკეთებს [illegible] -რთეულს. ეს გეგმა [illegible] დაამტკიცა თბ. აღმასკომის სა[illegible] კომისიამ.

შეშის დამზადება

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტი შეუდგა თბილისის სახელმწიფო დაწესებულებების და მცხოვრებლების სათბობ მასალით მომარაგებისათვის საჭირო შეშის დამზადებას.

რათა დანამდვილებით იყოს გამორკვეული ყველა დაწესებულების საჭირო შეშის მარაგი და შეტანილ იქნას ტრესტის საწარმოო გეგმაში, სატყეო ტრესტმა მიმართა სახ. კომისარიატებს, ტრესტებს, ქალაქის აღმასკომს და ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს წარმოადგინონ შეშის წლიური მოთხოვნილებები და შეკრან სატყეო ტრესტთან სათანადო ხელშეკრულება, რათა მომავალ 1928—29 წელში არ დარჩნენ უშეშოთ.

საამშენებლო კომიტეტების თათბირი

10 იანვრისათვის თბილისში მოწვეულია რესპუბლიკანურ საამშენებლო-ტექნიკურ კომიტეტების და ა.-კ. ტექნიკურ საამშენებლო კომიტეტის წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: აღმშენებლობის პერსპექტივები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, ღონისძიებები და მიღწევები აღმშენებლობის გაიაფების დარგში, რესპუბლიკანურ საამშენებლო-ტექნიკურ კომიტეტების მოხსენებები, ა-კ. საამშენებლო-ტექნიკურ კომიტეტის მოხსენება და სხვა.

ქუნთრუშას და ხუნაგის ეპიდემია

26, 27 და 28 დეკემბერს თბილისში ავად გახდა ქუნთრუშის ეპიდემიით 6 ბავში და ხუნაგით 7. სიკვდილის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

თბილისის აღმასკომში

◆ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად თბილისის აღმასკომი ვაკეში აგებს სპეციალურ სახლს.

◆ წყალსადენი. სოფ. პავლიანში წყალსადენის გასაყვანად თბ. აღმასკომმა გადასდო 7223 მან.

სხვადასხვა

◆ ახალი საწყობი. სახ. ვაჭრობის სამმართველო თბილისში აწყობს ბოსტნეულის კოოპერატიულ საწყობს.

◆ ბრინჯი. ბათომში ინდოეთიდან მიღებულია დიდძალი ბრინჯი.

◆ ვაჭრობა კვირას. კვირას, პირველ იანვარს თბილისში ივაჭრებენ: ქ-ტ 16 სურსათ-სავაჭროები, მეტი სხვა დუქნები; „ზაქროვაგისა დაზ.", სანოვაგის და პურის სავაჭროები, საკონდიტრო და სასადილოები. სამხედრო კოოპერატივის: სამი ხორცის და ბოსტნეულის სავაჭრო, სამი სანოვაგისა და გასტრონომიული დუქანი. ერთი ხილის და საკონდიტრო დუქანი და კაფე-საკონდიტრო.

ჩაუბარებელი დეპეშები

სოხუმიდან—პატარაიას, მოსკოვიდან—პოდოსენოვს, ლენინაკანიდან—ჯებანიანს, ოდესიდან—ცომოხცევს, მერვიდან—მუსელის, პილენკოვიდან—ედუარდს, ერევნიდან—მელიქსეტიანცს, გორიდან—ბებუთოვს ქ. № 48.

ხელოვნება

მუშათა თეატრი

(რუსული სექტორი)

„ხელობა ბატონ კიურესი"

დადგმა რეჟ. ქ. მარჯანიშვილის მხატ. ვიაჩ. ივანოვის.

დე-ლორდის ეს სატირიული კომედია საბჭოთა სცენისათვის გადააკეთა მოსკოვის სატირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ტიპოტმა.

საზღვარ გარეთიდან შემოსულ ახალ პიესებს, უმთავრესად ახასიათებს აბსტრაქციულ-რევოლიუციონური პათოსი, წვრილ ბურჟუაზიულ სულისკვეთებით. ასეთი პიესების რევოლიუციონური მნიშვნელობა, საბჭოთა რეპერტუარისათვის, დაძველებულია.

მკვეთრი ენა-მახვილობით, ცოცხალი დიალოგებით და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სატირიული ტონით,—პიესა იზიდავს მსმენელს.

ამ სატირაში გამოტანილია ერთი მხრით ნუვორიშების სიჩლუნგე და მათი ძლევამოსილება იმ ფულების შემწეობით. რომელიც შეიძინეს იმპერიალისტური ომებით; მეორეს მხრივ —საფრანგეთის სასულიერო წოდების თვალთმაქცობა ღმერთის სახელით. საბჭოთა სინამდვილეში კაპიტალიზმის ამ ორი ჟანდარმის ხსენებაც აღარ არის და ჩვენი მაყურებლისათვის ეს პიესა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კარგი სატირის შემწეობით ნათლად ხედავს საფრანგეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის სამართლიანობას და თავისუფლებას.

ამ გაგების განსახიერებისათვის მუშათა თეატრის უგრძვნია სრული პასუხისმგებლობა.

სცენის ორი მარჯვე ოსტატის, რეჟ. მარჯანიშვილის და მხატ. ვიაჩ. ივანოვის მიერ, პიესის გაფორმებაში მოსჩანს დიდი მხატვრული მუშაობა. მთავარი კი ის არის, რომ მცირე მატერიალური ხარჯით მოცემულია სინამდვილის ეფექტების მაქსიმუმი.

რუსულ სექტორს, სეზონის დაწყებიდანვე ახასიათებს აქტიორების კარგი და ხალისიანი თამაში.—ეს ღირსება, ამ პიესის თამაშში, გამჟღავნებულია.

ომით გამდიდრებული მეწვრიმალე, ოჯახურ ცხოვრებაში რეგვენი, დღევანდელ საფრანგეთის ერთ-ერთი მმართველი, ტლანქი ნუვორიში, ზედმიწევნით არის განსახიერებული ბორინის თამაშით.

ბატონ კიურეს ჯანსაღი და ბუნტარული ტემპერამენტი თუმცა ოდნავი თავდაჟინებით, მაგრამ მაინც შეგნებით გატანილია ბოლომძის ლიუბომის მიერ.

ლოცვასავით უსულო და გამოფიტულ ეპარქიის მმართველის როლში კარგი იყო გორელოვი.

უნაკლოდ მოსჩანდა ლეშჩინსკაიას თამაში, მგრძნობიარე, და სცენიური უბრალოების ათვისებით. ჩვეულებრივად კარგი იყო ლიუბიმოვი, კლიმოვი, ლაკონსკაია და ჩარსკი, თუმცა უკანასკნელს შესამჩნევად აკლდა რუსული ხელი.

ბ. ზ.

ხელოვნების ქრონიკა

მუშათა თეატრის ქართულ დრამაში

ამ ჟამად მუშათა თეატრის ქართული დრამა გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს შემდეგი დადგმებისთვის: ოთხშაბათს, 4 იანვარს წავა პიესა „ბრბო" 4 მოქმედებათ, 6 სურ. შაპოვალენკოსი, რეჟისორ გ. ჯავაშვილის დადგმით.

მზადდება და მოკლე ხანში დაიდგმება „ყველაზე სულელი"—ვიდ-ვოგელისა, რეჟისორ მიხ. ჭიაურელის დადგმით.

რეჟისორი დ. ანთაძე ამზადებს ანტონოვის პიესას „ქმარი ხუთი ცოლისა".

რეპერტუარში შეტანილია და დასადგმელად გამზადებულია ახალი ორიგინალური პიესა გუგულისა „ასე იყო"!—წარსულის ქრონიკა ცხრა სურათად.

— ემილ ზოლას გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების აღსანიშნავად სახელგამმა ქართულ ენაზე გამოსცა მისი რომანი: „მაღაროებში მომუშავენი".

— ოპერის თეატრში დღეს მეორეთ წარმოდგენილი იქნება „სიცოცხლე—სიხარულია".

— ახალი კინო-თეატრი. პლეხანოვის მუშათა სახლობის კლუბთან ეწყობა ახალი კინო-თეატრი რკინისგზელებისათვის.

— რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია".

— წითელარმიელთა კლუბში 1 იანვარს გაიმართება მსახიობ-ქალის ა. რასკაზოვას გასტროლი.

— მუშათა ახალ კლუბში პირველ იანვრიდან არსდება არფის კლასი. სტუდენტების მიღება დაიწყო.

— სახკინმრეწვის სახცენო სახელოსნოში მორიგ სხდომაზე, სამშაბათს 3 იანვარს, შესდგება გრ. რობაქიძის მოხსენება „ფორმის პრობლემა". დასაწყისი საღ. 7 საათზე.

ახალი კინო-თეატრი ლენინის უბანში

ლენინის (ყოფ. ნაძალადევი) უბანს აქამდე არ ჰქონდა სათანადოთ მოწყობილი კინო-თეატრი.

ეხლა ეს ნაკლი გამოსწორებულად შეიძლება ჩაითვალოს. რკინის გზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტი პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის ეზოში ამ ჟამად აგებს კინო-თეატრს.

კინო-თეატრის შენობა

თეატრი შენდება ქვისაგან. საამშენებლო სამუშაოები უკვე შესრულებულია 85 პროცენტით.

თეატრი შესდგება მთავარი დარბაზისაგან, აქვს ორი (ქვედა და ზედა) ამფითეატრები, გვერდის ბალკონები და ფოიე. თეატრი დაიტევს 600 მაყურებელს.

კინო-თეატრის აშენებას ხელმძღვანელობს სპეციალური საამშენებლო კომისია თბილისის საუბნო კომიტეტის პ. მგ. მდივნის ამხ. ვანო ბეჟანიშვილის თავმჯდომარეობით. თეატრს აშენებს ინჟ. დანდუროვი, რომელსაც ეკუთვნის თვით შენობის პროექტიც.

ამხ. ბეჟანიშვილის სიტყვით კინოს აშენება დაჯდება არა უმეტეს 10 000 მანეთისა.

კინო-თეატრის აგების დამთავრება და გახსნა განზრახულია 1928 წლის 25 თებერვლისათვის (საქართველოს გასაბჭოების დღეს). საამშენებლო კომიტეტი იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა კინო-თეატრის აგება და მოწყობა უსათუოდ იქნეს დასრულებული ამ დღისათვის.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინ დილით კოოპერატიული ამხანაგობის სახლს (მთის შესახვევი № 4) გაუჩნდა ხანძარი.

ხანძარი დაიწყო მეორე სართულიდან. ჩქარა დიდი ალი ამოვარდა, რომელიც ემუქრებოდა მთელ შენობას.

ცეცხლი შენიშნა გამვლელმა მოქალაქემ. სასწრაფოდ გამოიწვიეს ცეცხლისმქრობელი რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 10 წუთის განმავლობაში.

ხანძარი გაჩნდა საკვამლე მილის გაუწმენდლობის გამო.

ხანძარით მიყენებული ზარალი უდრის 300—400 მანეთს.

დაჯახება

გუშინ დილით ავტომობილი № 359 რიყის ქუჩაზე დაეჯახა მოქ. მუზარი გალუსტის ასულ სარქისიანცს და მსუბუქად დაშავა.

რეციდივისტების დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ნიკოლოზ მიხეილის ძე ზვერევი, ივანე გრიგოლის ძე ომაროვი, ტიგრან თედორის ძე სტეფანოვი. ხსენებულ პირებს აქვთ ჯიბგირობის და ქურდობის რამდენიმე რეგისტრაცია.

ქურდობა

გუშინწინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 11 შემთხვევას. დაპატიმრებულია 5 ქურდი.

ქურდობის სიმულიაცია

ხუთი დღის წინად მოქ. ალი მურად-მამედოვმა განაცხადა მილიციაში, რომ მისი სახლში არ ყოფნის დროს იგი გაქურდეს. ბოროტმოქმედებმა წაიღეს ძვირფასი ნივთები.

მილიციამ ეჭვით დააპატიმრა მამედოვის ძმა ანგილი.

მოქ. ალი მამედოვმა იმ მიზნით, რომ ძმა გაენთავისუფლებია პატიმრობიდან დაარიგა მისი ცოლის და ვარასალამბეგოვა და სიკვდილის მუქარით აიძულა იგი ქურდობა აეღო თავის-თავზე.

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელმა გ. თუხარელმა გამოარკვია, რომ ქურდობას ადგილი არ ჰქონია.

მთელი რიგი მოწმეების ჩვენებით დადასტურდა რომ, ალი მამედოვმა ნივთები განზრახ გადამალა. მას სურდა განშორებოდა ცოლს და თანაც ფიქრობდა, რომ ნივთები მას დარჩებოდა საკუთრად, მაგრამ მისი ოინება გამომჟღავნდა.

ალი მამედოვი პასუხისგებაშია მიცემული.

ელექტრო-მექანიკური
ქარხანა

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა ელექტრო-მექანიკურ ქარხნის 1927—28 წლის საწარმოო გეგმა, რომლის მიხედვით მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში ქარხანა დაამზადებს და ბაზარზე გამოუშვებს 582,000 მანეთის ნაწარმოებს. აქედან ქარხნის ძირითადი საამქრო დაამზადებს 238.000 მანეთის სხვადასხვა ელექტრო-მექანიკურ ხელსაწყოს, სამონტაჟო საამქრო—184.000 მანეთის ნაწარმოებს და სახელოსნოები—107.000 მანეთისას.

ამას გარდა ქარხანა დაამზადებს 37.000 მანეთის ელექტრონის 3000 ცალ უთოს, 1000 ცალ ქურას (პლიტა), ღუმელებს და სხ.

საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა გაუმჯობესებული იქნას ამ ნაწარმოებათა ხარისხი და ამასთან ერთად მიიღოს ზომები მათ გასაიაფებლად, რომ მოსახლეობის ფართო მასებს მიეცეს მათი შეძენის საშუალება.

საწარმოო გეგმის გარდა, საგეგმო კომისიამ განიხილა ქარხნის გაფართოების საკითხი და მიზანშეწონილად სცნო მისი გაფართოება და ახალი სახელოსნოების აგება.

ქალაქის წყალსადენი

წყალსაზომების გამოწერა

ქალაქის წყალსადენის სამმართველომ მოსკოვიდან გამოიწერა 45 ცალი დიდი წყალსაზომი ქარხნებთან და სხვადასხვა წარმოებებთან დასადგმელად. დიდი წყალსაზომები გამოყენებული იქნება ხანძართან ბრძოლის საქმეში.

სასმელი წყალის გაწმენდა

წყალსადენის სამმართველომ მიიღო ლენინგრადიდან ქიმიური ქარხნებიდან გამოწერილი 43.000 კილო სასმელი წყალის საწმენდი თიხა. აღნიშნული თიხით წყალის წმენდა დაიწყება მომავალი გაზაფხულიდან.

მომავალ წყალსადენის იუბილე

წყალსადენის არსებობ[illegible]ულდება. თბილისის წყალსადენის სამმართველოს განზრახულია იუბილე აღნიშნოს რომელიმე უბანში [illegible] წყალსადენის გაყვანით.

წყალსადენი მაუდის ფაბრიკასთან

თბილისის მაუდის ფაბრიკასთან ახალი წყალსადენის გაყვანა დამთავრდება ამ დღეებში. წყალსადენის გაყვანაზე ყოველდღიურად მუშაობს 100 კაცი.

რკინისგზებზე

გრიგალი ბაქოს ხაზზე

ბაქოს უბანზე 30 დეკემბერს მძვინვარებდა ძლიერი გრიგალი, რომელიც ხელს უშლიდა მატარებლების მოძრაობას.

გრიგალი იმდენად ძლიერი იყო, რომ სადგ. საგანჩალიდან გაგზავნილი მატარებელი გაჩერდა გზაში. ის დააბრუნეს უკან სადგურში; ნახევარ საათის შემდეგ მატარებელი წავიდა ორი ორთქლმავალით.

სახელოსნოების მოსაწყობად

თბილისის მთავარ სახელოსნოების და ამავე თანავე საუბნო სახელოსნოების გაფართოებასთან დაკავშირებით, ახლო ხანში ა.-კ. რკ. გზა ჩრდილოეთ-კავკასიის და ეკატერინეს რკ. გზებიდან მიიღებს საჭირო მოწყობილობებს და დაზგებს.

ამერიკული პროჟექტორები მთავარ სადგურებზე

სადგურებში ღამით მუშაობის წარმოების მიზნით, გზათა კომისარიატი მიმდინარე წელს ოთხ მთავარ განმწესრიგებელ სადგურზე სდგამს 150 ამერიკულ პროჟექტორს.

ასეთ პროჟექტორებს ხმარობენ ევროპის და ამერიკის რკინის გზებზე.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 31 დეკემბერი

დღეს, 31 დეკემბერს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი „ახალი სოფელი"—ქართულ ენაზე.

ფიზკულტურის მნიშვნელობა მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში—რუსულ ენაზე.

გაზეთი „ენიკენდ"—თურქულ ენაზე.

სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობა თბილისში—რუსულ და სომხურ ენებზე.

ამიერ-კავკასიის ძირითადი საექსპორტო საქონელი—ქართულ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობები.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტი.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა, დღეს, 31 დეკემბერს, სამუშაოზე გზავნის, შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

საგარანტიო სექციიდან: ვარლამ ჯანელიძე და ვერა სვანიძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ოლღა რადკო. რკინის გზელთა სექციიდან: ვალენტიევა, სოფიო დუდანოვა, ალექსანდრა გოცალსკაია. მშენებელ მუშაკთა მე-5 სექციიდან: ბეგლარ გულამიანცი. მედიკურ მუშაკთა სექციას სჭირდება ერთი ექიმი მაზრაში საექიმო-სანიტარიო ცოდნის გასავრცელებლათ.

სესხი მხატვართა კოლექტივ „თემინიატ"-ს

შრომის ბირჟამ ხელოვნების მუშაკთა სამუშავლო ბიუროს, მხატვართა კოლექტივ „თემინიატი"-სათვის, ერთი წლის ვადით, სესხათ მისცა 500 მანეთი.

ბიბლიოგრაფია

„პროლეტარული მწერლობა" საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო, № 9—10, სახელგამი 1927 წ.

ჟურნ. „პროლეტარულ მწერლობის" ეს ნომერი მიძღვნილია ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისადმი. რედაქციის მიერ შედგენილი მოწინავე წერილი ზოგადი ფრაზეოლოგიით არის დაწერილი, როგორც მაგალ. „ოქტომბრის გადატრიალების დღეები სტიქიურ მოვლენების პლანეტარული-განყენებული ათვისებით".

ან კიდევ:

„საბჭოთა მეცნიერების განვითარება ბუნებრივათ შესდგა დიალექტიურ მატერიალისტურ მეთოდის პრინციპიალურ საფუძვლებზე". რას ნიშნავს ეს „დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდის პრინციპიალური საფუძვლები"? აშკარა უაზრობაა, ტერმინების უპასუხისმგებლოდ ერთმანეთში არევა.

მხატვრული ლიტერატურა იწყება კალე ბობოხიძის ლექსით „უკანასკნელი შეხვედრა", თემა არ არის ახალი. დაუძლეველი [illegible] ტრადიციული ფორმები. სახელი „ლი[illegible]" [illegible] ძველ ტრადიციის მიხედვით, [illegible] ბურუსითაა მოსილი. მსგავსად მერისა. [illegible] ლექსის უილაჯობას ამართლებს უკანასკნელი [illegible] ფერმკრთალი ტაეპი, სადაც ავტორი ამბობს, რომ წითელი არმიელი არ გასცვლის გადაგვარებულ ქალზე, ბრძოლაში გაცვეთილ თავის ჩექმებს, „რომელსაც კვლავ ახლავს მზეურ რიგზე გარება". საკვირველია, რად დაჰირდა რედაქციას ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისადმი მიძღვნილი ნომერის გახსნა კალე ბობოხიძის ლექსით „ლილის" სიყვარულის შესახებ.

სანდრო ეული „საიდუმლო კარავში" აგვიწერს ოქტომბრის დღეებს. დროებითი მთავრობის დასამხობად ლენინი მიდის ქალაქის ახლოს კარავში

„...ცეცხლით ავსებულ გულით
და ბინად ნახა მინდვრად კარავი,
სად მუშებია ცელით და ცულით
და სად მენავე დაცურავს ნავით".

მეორე ლექსში „ჰანრი ბარბიუსისადმი", ეული დარიალით, სამხედრო გზაზე მეგობრებთან ერთად, უცდის ფრანგ მწერალს, რომ გადასცეს მას პროლეტარული სალამი.

აქ საყურადღებოა ტაეპი, რომ „თანამგზავრების" მანქანა ვერ დაეწია პროლეტარულ მწერლებს—გაფრენილთ ერთის იდეით და მისწრაფებით. ამ ალეგორიულ თქმის გამართლებაზე მუდამ უნდა ფიქრობდენ—პროლეტარული მწერლები, ჩვენ გვინდა, რომ ზემოაღნიშნული ალეგორია სავსებით გამართლდეს.

იონა ვაკელი. იონა ვაკელი უკვე თვალსაჩინოდ იწყებს ლექსის დასრულებულ ფორმების მოცემის გარანტიას. „ოქტომბრის რევოლიუციაში" ავტორი აყალიბებს შინაგანი გრძნობით გამთბარ სტრიქონებს.

„დღეს კი, როდესაც ათი წლის თავზე
არის ზეიმი, არის არული,—
ისევ წკრიალებს პოეტის ხმაზე
ხალისი, ცეცხლი და სიყვარული".

შემდეგ მიდის ელიზბარ პოლუმორდვინოვის მოთხრობა „წარმოდგენა", მეტად სუსტ და უფერული ხაზებით არის გაშლილი.

შაქრო ნავთლუღელი „ოქტომბერს ვუმღერ დში" თავს ვერ აღწევს ძველ ფორმებს, მაგრამ მასში უნდა აღინიშნოს ხალისით სავსე მუშის დიდი რწმენა.

„ახალ ქვეყანას ვაშენებთ
გვეწვიეთ, მოიჯარენით,
ძველს ვანგრევთ დამყაყებულსა,
მომმენო დაგვეხმარენით!!".

ს. ჯავშანიძის მოთხრობა „ურჯულოებზე" დაუძლეველი ნაწარმოებია, აკლია პროვინციალური ტიპების მოცემის დროს კონკრეტიზაცია. ამ შემთხვევაში მას ბევრს რასმეს შემატებდა დ. კლდიაშვილის ტიპების ცოდნა.

ფრიდონ ნაროუშვილის „ზარი" სუსტია.

პეტრე ქუთათელაძე (სამსონიძე) „სიტყვას ოქტომბრის ათი წლის თავზე" იწყებს მეტად აწეული ტონით.

დღეს მე ისე მძურს ასიმღერება
როგორც არას დროს, როგორც არასოდეს...

პოეტის ეს „ასიმღერება" გადადის საკუთარ თავის დაუსრულებელ ქებაში:

მე ბევრი ლექსი დამიწერია.
. . . .
რევოლიუციის რომ ვარ პოეტი,
. . . .
ეს იმიტომ, რომ ავოქტომბერდი
კიდით კიდემდე ცეცხლის მოდებით
და რო ავმღერდი, აღამღერვარე
ამ უდიადეს ეპოქის ჰიმნი...

ეს მის „ავოქტომბერება" და „ასიმღერება" თავდება იმით, რომ შემდეგი საუბარი ისეთი ტონით იმღერება, რომ ავტორს არაფერი არ შეუშლიდა ხელს დაეწერა იგი პროზით, მაგალითისათვის: „მეუბნებოდენ მაშინ დაცინვით: ამ გულს რაღაცა რომ ქარიშხალს ატან, რას ეუბნები შენს თავს უბედურს, ან რაღა დაგრჩა ამ გულის გარდა..."

სიმონ წვერავას „ოქტომბრის დღეებში" სტოვებს აჩქარებულ ნაწარმოების შთაბეჭდილებას.

გ. შინატეხელის—„ოქტომბერი" დაწერილია ძველი ხერხით, მანერით, მეტრით და თქმით, მაგრამ გამართლებულია თავისი გულწრფელი ტონით.

გ. ქუჩიშვილის „აღარ ჩადგება" ვიხარია, რომ პოეტის მიერ მართებულად გაისმის დარწმუნებული და იმედებით სავსე გამართლებული სტრიქონები

აღარ ჩადგება,
არც მოდუნდება
დიდი ოქტომბრის
დიდი გრიგალი
და უფრო მძაფრად
აგუგუნდება,
ძველ მსოფლიოსთან
შეურიგალი!

„ოქტომბრის მარში" [illegible] მჟღერული სულით არის გამსჭვალული.

ვერა ახელის გავარჯიშება პროზში სუსტია.

განსაკუთრებულ ყურადღებას ღირსია კონსტანტინე ლორთქიფანიძის პიესა „მესამე გზა" 6 სანახაობად.

პიესის სიუჟეტი იშლება საბჭოთა აღმშენებლობის ფონზე.

პიესის განზრახვა მეტად თანადროული და მოსაწონია. ავტორმა უნდა ითქვას, რომ ბედნიერად მიაგნო თანამედროვობის თემას და რომ ის მხატვრულად შესრულებული იყოს ჩვენ მოულოდნელი ქართულ დრამატურგიის უდიდეს გამარჯვებას. მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით, პიესა არ არის გამართლებული, იგი დაწერილია ცრუ კლასიური ტონით და ყალბი პათოსი წითელი ზოლივით მიყვება ვითომდა დრამატიულ კოლიზიების გაშლას.

ხასიათები პერსონაჟების არ არის გამოკვეთილი. ტიპებს ახასიათებს თვით ავტორის მანერა ლაპარაკისა, გამოთქმებისა და შეხედულებათა, განსაკუთრებით გაჭიანურებულ მონოლოგების დროს.

ავტორმა უნდა იცოდეს რომ მონოლოგები და გრძელი დიალოგიური შეხვედრები ხელს უშლის პიესის დინამიურობას: ავტორზე დიდი გავლენა მოუხდენია, რა თქმა უნდა უარყოფითი გაგებით, შექსპირს. გავლენა ეპიგონებამდეა დასული და ავტორი კარიკატურულ მდგომარეობაში ვარდება, როდესაც იწყებს შექსპირის პიესების მსგავს ასეთ ფრაზებს:

არარაობა
უნდა მერქვას მე, რომ ამ ჩვენებს ის შევადარო
. . . .
ჰოი, განგებამ გადმოხარა ჩემსკენ სასწორი
და მიადვილებს შესრულებას ჩემის მიზნისას.
გულო დამშვიდდი, მოიკრიბე მეტი სიფრთხილე.

ან კიდევ:

ო, მომისმინე გვედრებ, კაცის გონება ხშირად წააგავს ახალგაზრდას მოუმწიფებელს, რომელიც ფუძით ის იღებს, იმას აზროვნებს, რაც უკანასკნელ წიგნებიდან ამოიკითხა...

თქმები მეტად დიდაქტიურის და სქოლასტიურს ხასიათს ატარებს.

ავტორის, როგორც ეს სჩანს რემარკებიდან, პიესა მგონი სცენისათვის განუზრახავს, მაგალითისათვის მოვიყვანოთ ერთი სანახაობის ბოლო რემარკა: „კედელთან მდგომი ელექტრონის მავთულს ჩამოკრავს ხელს და ჩამოგლეჯს. სიბნელე. სირბილი. ხმაური. ძახილი. წყევა. მიუხედავად იმისა რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავის სერიაში „მოლარეებთან" აფრთხილებს მკითხველს ასეთ კრიტიკოსებისაგან, რომლებიც ხოლოთ მარტო „ლანძღვა-ქების საზრდელი", რომელსაც ტკბი თხველმა არ უნდა დაუჯეროს, ჩვენ მაინც ვდგებით რა ობიექტიურ თვალსაზრისზე მკითხველს მოვაგონებთ შემდეგს: დრამატიული ფორმა შემოქმედებისა მოითხოვს სინამდვილის უაღრეს ცოდნას და პოეტურ ხერხების გამოყენებას, აღებულ ნის დასამუშავებლად. ამას კი ვიმედოვნებთ, ავტორი მიაღწევს ხანგრძლივი გათვითცნობიერებისა და მუშაობის შემდეგ.

ჟურნალში წარმოდგენილია აგრეთვე კრიტიკული წერილები: ბ. ბუაჩიძის, ლუარსამიძის, სუტირინის, რადიანის დაონდელის.

საერთოდ ჟურნალის შინაარსი იძლევა იმედს, რომ მომავალში პროლეტარული შემოქმედების პრაქტიკა უფრო მეტს დადებით შედეგს მოგვცემს და გახდება მძლავრი ფაქტორი ახალი სოციალური ყოფის შექმნისა.

დ. მ—ძე.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი სათეატრო-საესტრადო რეპერტუარის განხილვისა და დამტკიცებისა და მისი აღსრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევის შესახებ

რათა სათეატრო-საესტრადო რეპერტუარი სრულის სავსებით შეესაბამებოდეს თეატრისათვის დასახულ პოლიტიკურ და კულტურულ-განმანათლებელ მიზანს, და რათა სათანადო ზედამხედველობა გაეწიოს ამ რეპერტუარის აღსრულებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე—საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო და სამხატვრო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოსთან სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭო.

შენიშვნა: სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს შედგენილობას, მისი წევრების დანიშვნის წესს და აგრეთვე აღნიშნული საბჭოს მოქმედების წესს განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარიატი.

2. ყველა სამხატვრო, სასცენო, სამუსიკო და საესტრადო ნაწარმოებს განიხილავს ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარი სამმართველო (მთავლიტი), რომელიც ნებასა რთავს ამ ნაწარმოებათა დაბეჭდვას და სცენაზე დადგმას და აგრეთვე თვალყურს ადევნებს, რათა მის მიერ ნებადართული პიესები და სხვა, სცენაზე დასადგმელი ნაწარმოები აღსრულებულ იქნეს მთავლიტის მიერ დადასტურებული ტექსტის მიხედვით უცვლელად.

3. მთავლიტის უფლება აქვს აკრძალოს დასადგმელად და აგრეთვე მოხსნა რეპერტუარიდან ის პიესა, რის დაბეჭდვისა და დადგმისათვისაც წინასწარ გამოთხოვილ არ იყო მთავლიტის სათანადო ნებართვა.

შენიშვნა: ისეთი პიესის დადგმისათვის, რაც აკრძალულია ან მოხსნილია რეპერტუარიდან, დამნაშავე პირი მიეცემა პასუხისგებაში საქართველოს ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის 230 მუხლისამებრ.

4. მთავლიტი შეადგენს და გამოაქვეყნებს დასადგმელად ნებადართულ და აკრძალულ პიესათა სასცენო, საესტრადო, სალიტერატურო და მუსიკალურ ნაწარმოებთასას.

5. სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭო განიხილავს მთავლიტის მიერ გამოსაქვეყნებლად ან დასადგმელად ნებადართულ ყველა პიესას, სალიტერატურო სამუსიკო და საესტრადო ნაწარმოებს და აგრეთვე ნებართვას გასცემს ამ პიესისა და ნაწარმოების საჯარო აღსრულებისათვის.

6. სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს უფლება აქვს მოხსნას რეპერტუარიდან ეს თუ ის პიესა, ან საესტრადო და სამუსიკო ნაწარმოები.

შენიშვნა: სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს შეუძლიან აუკრძალოს ამა თუ იმ სათეატრო დაწესებულებების ადმინისტრაციას თვის მიერვე სხვა თეატრის სცენაზედ დასადგმელად ნებადართული პიესის დადგმა.

7. სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს დაეკისრება მთავლიტის მიერ ნებადართული პიესებისაგან რეპერტუარის შემუშავება.

ის ნაწარმოები, რაც ამ რეპერტუარში მოთავსებული არ არის, სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს ნებართვოდ, არ შეიძლება მიღებულ იქნეს დასადგმელად ან აღსასრულებლად რესპუბლიკის ამა თუ იმ სათეატრო და სხვა სანახაობის დაწესებულებაში.

8. ადმინისტრაცია სათეატრო და სხვა სანახაობის დაწესებულებისა და ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც საჯაროდ პიესებს სდგამს და სამხატვრო და სამუსიკო ნაწარმოებებს ასრულებს, მოვალეა, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, წარუდგინოს თავისი რეპერტუარი, მთავლიტის მიერ ნებადართულ პიესებისაგან შედგენილი, სამეცნიერო და სამხატვრო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოსთან არსებულ სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს დასამტკიცებლად.

შენიშვნა: ამ მუხლის მოთხოვნის აღუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამ დადგენილების მე-3 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებული წესით.

9. მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისრება: ქალაქ თბილისში სამეცნიერო-სამხატვრო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს და მთავლიტს, ხოლო სხვა ადგილებში—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების პოლიტიკური განათლების ორგანოებს.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ.
ს. ჯ. ჯუღელი.
საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
პ. მეგრელიშვილი.
1927 წ. დეკემბრის 16.
თბილისი—სასახლ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 1928 წლის 2 იანვარს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. სვანიძის კაბინეტში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ლენინის რაიონიდან ალექსანდრე გიორგის ძე ოქროაშვილი, ისაკი გიორგის ძე მიქელაძე, ზაქ. ჯიქურაძე, აბრამ მიხეილის ძე ხიზანაშვილი, აპოლონ სიმონის ძე რაზმაძე, სერგო გიორგის ძე დავითაშვილი, ზაქ. ქვრივიშვილი, ნიკოლოზ გაბრიელის ძე პაპიკოვი, ლეონტი სპირიდონის ძე ქორიძე, ანდრო ლაზარეს ძე ხარაბაძე, იოსებ გიორგის ძე გერკეული, იოსებ ზაქარიას ძე თეთრაძე, გიორგი ალექსის ძე მერაბიშვილი, მიხეილ იოსების ძე ფათარკალაშვილი, იოსებ ფარსადანის ძე ნემსაძე და გალაქტიონ ივანეს ძე კოდუა.

არსენალის რაიონიდან: სიგიზმუნდ იოსების ძე გარდაშკო, ნიკოლოზ მანუკოვი, მიხეილ გიორგის ძე არჯევანიძე, მიხეილ გრიგოლის ძე ავინესოვი.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონიდან: გიორგი სოლომონის ძე საქევრაშვილი.

ქალაქის რაიონიდან: პლატონ ირაკლის ძე ლეჟავა (საბ. პოლიტსამმართველო), მარიამ მიჩიანის ასული აბაშმაძე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მიქაძე.

სახ. უნივერსიტეტის სამ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ დღეს 31 დეკემბერს საღამოს 6 საათზე შესდგება ამავე უჯრედის დახურული კრება, წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. ბიუროს წევრები გამოცხადდებიან ერთი საათით ადრე.

სახ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებული პირველი და მეორე კურსის ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 31 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის კრება.

წევრების და კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

დღეს 31 დეკემბერს საღამოს 6 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს 31 დეკემბერს აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში შესდგება შემდეგ პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების მეცადინეობა.

საღამოს 5 საათზე ახ. ლ. კ. კ. მეორე საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების, საღამოს 6 საათზე—პარტსკოლის პირველ საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების. ხოლო პარტსკოლის მეორე საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების მეცადინეობა შესდგება საღამოს [illegible]ზე.

ყველა ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

სახელმწიფო [illegible] ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს (შაბათს), საღამოს [illegible] საათზე მოწვეულია ეკონომიურ ფაკულტეტის პარტიის და კომკავშირის უჯრედთა ერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა.

სახ. სამ. ტექნიკუმის ჰიდრო ტექნ. განყოფილების [illegible] მასწავლებლები: ი. მესხი, ე. გვეტაძე, ნ. ნოვაიცკი და მ. კრასოვსკი; 1927 წელში კურს დამთავრებული ამხანაგები: ი. ჩორგოლაშვილი, ა. ყალაბეგაშვილი, ი. ქვიქვიძე, ვ. ზაბალაშვილი და ლ. შურღაია; მეგობრები: ძ. სეხნიაშვილი, ა. კვიკძე, ა. გაგოშიძე, ვ. ტუხარელი აუწყებენ მეგობართ, ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ა | წ. დეკემბრის 30-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი ამხანაგ სახ. სამ. ტექ. კურს დამთავრებული

ევგენი ალფესის ძე
მესხაძე

გამოსვენება მოხდება შაბათს, 31 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე. საბჭოთა ქუჩა № 102 თბილისის სადგურზე. დაკრძალვა მოხდება რაჭის მაზრაში, სოფელ ქვედა-შავრაში. (ე)

დავით ლევანის ძე ლალანიძე და მეუღლე ანა შვილებით—ქსენია, ვერა და თამარა აცნობებს ნაცნობს და მეგობრებს ძვირფას

შალვა კონსტანტინეს ძე
ლალანიძის

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ბინიდან—ქიზიყის ქ. № 20. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე კვირას, პირველ იანვარს, დღის პირველ საათზე. 944

ეკატერინე კიკნაძე შვილებით: მიშა, გიგო, ნიკო, ილია, გოგლა; გულისაშვილები: ვანო, ლიზა და ქეთო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

სანდრო ანდრიას ძე
გულისაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს 31 დეკემბერს წ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება—კამოს საავადმყოფოდან (კოოპერაციის ქ. № 15) დღის 3 საათზე. ნ. 416

ღრმა მწუხარებაში მყოფი შვილი გრიგოლ ცეცხლაძე აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 29 დეკემბერს გარდაიცვალა მისი საყვარელი მამა

მოსე პეტრეს ძე ცეცხლაძე

დაკრძალვა მოხდება დღეს, 31 დეკემბერს, კუკიის სასაფლაოზე, მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან (კამოს ქუჩა № 49) დღის 3 საათზე. 942

მიიღება ხელის მოწერა „კომუნისტი" 1928 წლისათვის

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მ.—კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.
2 „	2 „ — „	8 „	7 „ 65 „
3 „	2 „ 90 „	9 „	8 „ 60 „
4 „	3 „ 85 „	10 „	9 „ 55 „
5 „	4 „ 80 „	11 „	10 „ 50 „
6 „	5 „ 75 „	ერთი წლით	11 „ 50 „

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80
2 „	2 „ 60 „	8 „	10 „ — „
3 „	3 „ 80 „	9 „	11 „ 30 „
4 „	5 „ — „	10 „	12 „ 60 „
5 „	6 „ 25 „	11 „	13 „ 80 „
6 „	7 „ 55 „	ერთი წლით	15 „ — „

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მანეთი

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ დოლარი
3 „	4 „
6 „	8 „
1 წლით	16 „

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 34.
0—1

ვინაიდან 1927 წლის 1-ლ დეკემბრიდან
ამხ. სტალინის სახელობის
ავტოსახელოსნოები
გადავიდა
ზაკავტოპრომტორგის გამგებლობაში,
საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ლითონის ტრესტთან შექმნილია
სალიკვიდაციო კომისია
ხსენებულ სახელოსნოების საქმეების შესახებ.

ყველამ, ვისაც რაიმე პრეტენზიები აქვს ამხ. სტალინის სახელობის ავტოსახელოსნოების მიმართ, უნდა მიმართოს სალიკვიდაციო კომისიას (მისამართით: თბილისი, საბჭოთა ქ., № 115),
ორი კვირის განმავლობაში,
დაწყებული 1928 წლის 1-ლ იანვრიდან.
აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ არავითარი განცხადებები და პრეტენზიები განხილული არ იქნება (ჲს).
ნ. 415 2—1 სალიკვიდაციო კომისია.

ცირკი „კოლოს" (ცოცხალი ჭადრაკი)
ორშაბათს 2 იანვარს 1928 წ.
პირველად თბილისში ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის ოდესის მაგალითის მიხედვით
გრანდიოზული არტისტიული
მოჭადრაკეთა ტურნირი
პარტია ქ. თბილისის უძლიერეს მოთამაშეებს შორის თბილისის ჩემპიონი გოგლიძე - სოროკინის წინააღმ. თამაში სწარმოებს ცირკის არენაზე, რომელიც წარმოადგენს ჭადრაკის დაფას, ჭადრაკის ფიგურების ადგილები უკავია ხელოვნების ყველა დარგების წარმომადგენლებს. ტურნირი სწარმოებს ჭადრაკის თამაშის ხელოვნების ყველა წესების მიხედვით
ტურნირის ორგანიზატორი მ. ვოლსკი
ნ. 411—2—1 დაწვრილებით აფიშებზე

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1928 წელს 16 იანვარს, ბანკის შენობაში (პუშკინის ქუჩა № 3) საქართველოს ს.ს.რ. სახკომსაბჭოს 28 | 12 1922 წ. გამოცემულ დეკრეტის № 16 მე-10 მუხლის ძალით, სავალო გადასახადების ჯამით 7.147 მან. 83 კაპ. (შვიდი ათას ას ორმოც და შვიდი მანეთი და 83 კაპ.) შემოუტანლობის გამო საჯარო ვაჭრობის წესით გაიყიდება ქუთაისის ყოფილ საადგილმამულო ბანკში დაგირავებული მოქ. სიმონ სიმონის-ძის აბაშიძის, ქალ. თბილისში, კლარა ცეტკინის ქ. № 167 მდებარე მამულის ნაწილი, შემდგენლობით 5 საცხოვრებელი ოთახი თავის და ხმარე ბინებით. მეორე და საბოლოო ვაჭრობა მოხდება იქვე 1928 წ. 31 იანვარს. ნ. 414

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ.-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის მიერ 1926 წლის 5 ნოემბრის თარიღით დამტკიცებული გრძელვადიან სარემონტო-სამშენებლო სესხთა შესახებ დებულების თანახმად 1928 წლის 15 იანვარს ნაშუადღევის 2 საათზე ბანკის ბინაზე (პუშკინის ქუჩა № 3) საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდული იქნება მოქ. ეკატერინე დიმიტრის ასულ არაბიძის ქალ. თბილისის მე-2 სამილიციო უბანში, ტრიბუხალის ქუჩაზე მდებარე სახლი № 27, რომელზედაც ირიცხება 2022 მან. 87 კ., რა თანხაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს ისევე, როგორც სახლზე ირიცხული ქალაქისა, სახელმწიფო და სხვა გადასახადნი. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მსურველთ შეუძლიათ მ | ბანკის სარემონტო სესხთა განყოფილებას მიმართონ. ნ. 414

გაზეთი „ფუხარა"
საქ. კომპარტიის აჭარკომის და აჭარისტანის ცაკის ორგანო
მიიღება
ხელისმოწერა
1928 წლისათვის
გაზეთ „ფუხარა" თვეში ღირს აჭარისტანში—50 კაპ.
აჭარისტანის გარეთ—1 მან.
3—1

აპოლო	არფასტი	სოლეი	დარბაზი
გლორია სვენსონი მხატვრულ სურათში „რა საჭიროა ცოლის გამოცვლა"	ფრანჩესკა ბერტინი და ჟ. ანჟელო („ატლანტიდა"-ს გმირი) მხატვრულ სურათში „მონტე-კარლოს აღსასრული"	პარიზის უკანასკნელი მხატვრული სურათი „კულისებში" მარჩელა ალბანის და ვერნერ კრაუსის მონაწ.	ამერიკის საყვარელი არტისტი ქალი პირლ უაიტი სურათში „სამეფო ბრილიანტი" 1 და 2 სერია ერთად

ცირკი „კოლოს" ტელ. 8—64
შაბათს 31 დეკემბერს და კვირას 1 იანვარს
სადღესასწაულო რეპერტუარის სანახაობანი
დასის მთელი შემადგენლობა
შაბათს, 31 დეკემბერს, შეხვედრა ახალი წლის
კვირას დილით წარმოდგენა ბავშვებისათვის
დასაწყისი დღის 2 საათზე.
ნ. 409 3—2
დირ. ი. ზ. კუდრიავცევი რწმუნებ. კ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ზ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 3 იანვარს 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 41 ანდრეევის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ტოროიანცის და პაპაიანცის მოძრავ ქონებას: საუკეთესო ჯიშის ცხენებს, ძროხებს, ქერს და ფურგუნებს შეფასებულს 1300 მანეთად, სიმონ სოხაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 26 დეკემბერს 1927 წ. თარიღით, № 4221 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 413

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნო ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ბაქოდან დაბრუნდა და მსგავსათ წარსულ წლებისა (პრაქტიკა 1910 წ.)
მათემატიკის
მასწავლებელი
ი. მაჩაიძე
ამზადებს სამხედრო აკადემიაში, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენის გაკვეთილები პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი კუთხიდან: ალექსის ქ. № 5), 2—7 საათ. კვირა უქმე დღეებში 9—12 3—5. 10—3

მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყოლღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელ. 12—6

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერისხიდთან. ტელ. № 15 № 07—8

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" ყოფ. „ნოეს", პირდაპირ ჩოდრიშვილის [illegible] ყ. პლეხანოვის მოსახვევი № 8.

ექიმი
არს. ხ. ვადაჭკორია
ღებულობს ავადმყოფებს დილაობით 9—12 საათამდე, საღამოთი 4—6 საათამდე. ლენინის ქ. № 35, ყოფ. ოლღის). 13—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიისველე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 1 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე 25—1

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—7

ექ. თოდაძე
დაბრუნდა საზღვარ გარედან და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. უროლოგია (თირკმელები, საშარდე ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხ. ა). ქირურგია. ცისტოსკოპია, დიატერმია (ახალი კაბინეტი). მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13—1

ექ. ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულებანი და ბებიობა. მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25—1

ექიმი
პ. ი. მგალობლიშვილი
სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი
ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

მედიც. დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ხიაყალის ქ. № 1.) 25—1

დავკარგე სააღრიცხვო წიგნაკი ზაქარია ტოჩის-ძე ნიკოლაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 938

დავკარგე სახელმწიფო დაზღვევის ფურცელი № 3241 მიხეილ ალექსანდრეს-ძე გრიგოლიას სახელზე. ჩ. გ. ნ. 412

დავკარგე მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 26418 ვლადიმერ დიმიტრის-ძე აღლაძეს სახელზე. ჩ. გ. 939

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 1775 | 1552 ლევან გიორგის-ძე ტატულოვის სახელზე, ჩ. გ. 939

დავკარგე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნი № 24044 ოლღა ლუარსაბის ასულ პატა[illegible]ლის სახელზე, ჩ. გ. 941

დავკარგე პირადობის მოწმობა მე-10 რაიონის უფროსის მიერ მიცემული სევასტი ივანეს-ძე კალანდაძის სახელზე, ჩ. გ. 940

დავკარგე მეტრიკულ ამონაწერი ნინა და ქეთო იმადაძეს სახელზე, ჩ. გ. 943

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68